PRIME Time

N38 (236), ორშაბათი 23 სექტემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

# მიხეილ სააკაშვილი ლევან გაჩეჩილაძის წინააღმდეგ

სანდრო ბრეგაძე: „სააკაშვილი შეიძლება მერობის კამპანიაში ჩაერთოს“ EXCLUSIVE

## რას გეგმავენ ნაციონალები მერის არჩევნებზე

## „ალასანიას თითქმის უუფლებო პრეზიდენტის პოსტი არ ანდეს და პრემიერმინისტრობას ანდობენ?“

EXCLUSIVE

## თამარ ჟვანია: „ეს საკმაოდ სკანდალური და საშიში თანამდებობაა“

EXCLUSIVE

## საზმაუწყებელში ვითარებას ნაციონალები ძაბავენ

## გია კორკოტაშვილი: „ნაციონალებს ბორდში ჰყავთ თავიანთი კადრები... რა საზოგადოება დაინიშნებოდა?! ის ადამიანები, ვინც ერთგულად ემსახურებოდნენ „ნაციონალურ მოძრაობას“

EXCLUSIVE

## სოზარ სუბარი თანამდებობას ტოვებს

EXCLUSIVE

## გიორგი გაჩეჩილაძე („უცნობი“): „დღევანდელი პარლამენტი არაადეკვატურად არის წარმოდგენილი“

EXCLUSIVE

# სად „შეუკვეთა“ სოსო პავლიაშვილმა მეგობრის მკვლელობა?

EXCLUSIVE

**გარდაცვლილის ძმა:** „ივნისში თურქეთში იყვნენ ჩასულები ვახო ჩხაპელია და მისი ცოლი მაკა, მოსკოვიდან ჩავიდა სოსო პავლიაშვილი. ყველაფერი სწორედ იმ საოჯახო თავყრილობაზე დაიგეგმა“

## არის თუ არა მერაბიშვილი რუსული სპეცსამსახურების პროექტი

### რა კავშირშია ექსპრემიერი ციხის სკანდალური კარდების გავრცელებასთან

EXCLUSIVE

### ყოფილი თანამოაზრეები მერაბიშვილს უპირისპირდებიან

## ნინო ბურჯანაძის საიდუმლო გეგმა

### რა აქვს ჩაფიქრებული ბურჯანაძეს ინაუგურაციის დროს და როგორ აპირებს ის კრიზისის შექმნას

EXCLUSIVE

**ლევან ალაფიშვილი:** „ეს კონსტიტუცია კრიზისების საფრთხის წარმომშობი უფროა, ვიდრე დამარეგულირებელი...“

## სკანდალური დოკუმენტი გრიფით „საიდუმლო“

### რა გარიგება შედგა ინა გუდავაძესა და სააკაშვილის ხელისუფლებას შორის და ვისი დაპატიმრება მოითხოვა პატარკაციშვილის ქვრივმა

EXCLUSIVE

**გოგი ჯაოშვილი:** „დადებული გარიგების გამომზეურება არ აწყობს წინა ხელისუფლებას“

# რა ავანტიურით დაბრუნდა პოლიტიკაში თემურ ხაჩიშვილი?

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**

# პარლამენტმა კანონი გაამკაცრა

## რა ელით ცრუ განგაშის ავტორებს?

## ათ დღეში ტერორიზმის შესახებ 16 ცრუ შეტყობინება განხორციელდა

**ბოლო დღეები თითქმის არ ყოფილა საინფორმაციო გამოშვება, სადაც რომელიმე ორგანიზაციაში ბომბის არსებობის შესახებ არ ეცნობებინათ საზოგადოებისთვის. გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში ანონიმური ზარები ზოგჯერ დღეში რამდენჯერმე შედიოდა. ძირითადი სამიზნეები წამყვანი ტელეკომპანიები იყვნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ სამსახურებს ლამის პირდაპირ ეთერში უწევდათ ტელევიზიებიდან თანამშრომლების ევაკუაცია. მედიასაშუალებების გარდა, „112“-ში შეტყობინებები შევიდა პარლამენტთან, ბანკებსა და სკოლებთან დაკავშირებითაც... არც ერთ შემთხვევაში ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობა არ დადასტურდა. „პრაიმტაიმმა“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ოფიციალური სტატისტიკა, მიმდინარე თვეში რამდენი ცრუ შეტყობინება განხორციელდა ოპერატიულ ცენტრ „112“-ში. შსს-დან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ირკვევა, რომ 12 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით დაფიქსირდა ნაღმის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინების 16 ფაქტი. 16-ვე შემთხვევა გახსნილია და დადგენილია ცრუ შეტყობინების 17 ავტორი (ერთ შემთხვევაში სკოლაში ნაღმის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინება ორმა მოსწავლემ განახორციელა. ცრუ განგაშის თითოეული შემთხვევა შეტყობინების განხორციელების დღესვე ოპერატიულად იქნა გახსნილი).**

შსს-ის ინფორმაციით, გამოვლენილი 17 პირიდან 5 სრულწლოვანია და ისინი უკვე მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ხუთივე მათგანს სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების გამო, მათ 3 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. შსს-ს მიერ ასევე გამოვლენილია 12 არასრულწლოვანი, 8 მათგანი სამართალდამცველებმა მშობლების თანდასწრებით დაკითხეს, რის შემდეგაც გაფრთხილება მიეცათ, 14 წელს მიღწეული 4 მოზარდი კი, ასევე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა.

გახშირებული ცრუ შეტყობინებების შემდეგ, როგორც ცნობილია, დღის წესრიგში დადგა კანონმდებლობის გამკაცრების საკითხი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ინიცირებული ცვლილებების პროექტი პარლამენტმა უკვე დაამტკიცა. ახალი რეგულაციის თანახმად, ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება დაისჯება ჯარიმით ან გამოსასწორებელი სამუშაოთი, ერთიდან ორ წლამდე ვადით, ან ორიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. თუკი აღნიშნული ქმედება დამამძიმებელ გარემოებებში იქნება ჩადენილი, სანქცია თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან შვიდ წლამდე განისაზღვრება. იმ შემთხვევაში, თუ ცრუ შეტყობინებას არასრულწლოვანი განახორციელებს, რომელიც ჯერ არ არის მიღწეული სისხლის სამართლებრივ ასაკს, მის მშობლებს ჯარიმის სახით სოლიდური თანხა დაეკისრებათ. „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილებებით, „112“-ის გამოყენება გადაუდებელი დახმარების მოთხოვნის მიზნით, ცრუ შეტყობინების განსახორციელებლად, რომელსაც შედეგად მოჰყვა შესაბამისი ექსტრემალური სამსახურის მიერ შემთხვევის ადგილზე გასვლა, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში აღნიშნული ქმედების განმეორება კი გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღე-ღამემდე ვადით.

დეპუტატებმა ღარიბაშვილის უწყების მიერ წარდგენილ ცვლილებათა პროექტს მხარი ერთხმად დაუჭირეს. მათი თქმით, კანონის გამკაცრება ხსენებული დანაშაულის პრევენციისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია.

„ამ კანონის გამკაცრება არის ერთერთი პრევენცია და სწორედ ამის გამო გავამკაცრეთ ცრუ შეტყობინებებისთვის დასჯადობა, როდესაც საქმე ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებას ეხება. ასევე, პრევენციაა ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველა პირი გამოავლინა, ვინც დაკავებულია ამ კანონდარღვევით. ორივე გზა არის პრევენციული. ჩვენ დავაკვირდებით, როგორი იქნება სამომავლო ტენდენცია და რამდენად არის ეს კარგი ფორმა და ამის შემდეგ ვიმსჯელებთ სხვა ფორმებზე“, – ამბობს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე კი დარწმუნებულია, რომ კანონის ძალაში შესვლა მსგავსი შემთხვევების შეწყვეტას გამოიწვევს. როგორც კობახიძე აცხადებს, მას არ ჰგონია, რომ ერთი ასეთი ზარისთვის ვინმემ 7 წლით საპყრობილეში ყოფნა მოისურვოს.

გარდა ამისა, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ცრუ შეტყობინებების კარგად ორგანიზებულობაზეც საუბრობს. მისი თქმით, არ არის გამორიცხული, ყველაფერი წინასწარ, კარგად გათვლილი გეგმის ნაწილი იყო, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს პარალიზებას ემსახურებოდეს.

„მე მართლა მაინტერესებს, ვინ არიან ამ არასრულწლოვნების მშობლები, რა კატეგორიას მიეკუთვნებიან და რა კავშირი აქვთ მათ „ნაციონალურ მოძრაობასთან“, – ამბობს კობახიძე.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მაგთი MAGTI

## 22 სექტემბერს „მაგთიკომს“ კომერციული საქმიანობის 16 წელი შეუსრულდა

ოპერირების 16 წლის განმავლობაში, ძლიერი კონკურენციის პირობებში, „მაგთიკომმა“ ქართული საკომუნიკაციო ბაზრის ლიდერობა მოიპოვა და მას ტრადიციულად ინარჩუნებს.

„მაგთიკომი“ დიდი ხანია, გასცდა მობილური კომუნიკაციის ფარგლებს და დღეისთვის მომხმარებელს სთავაზობს როგორც მობილური და ფიქსირებული ტელეფონის სერვისებს, ისე მაღალსიჩქარიან უსადენო ინტერნეტსა და თანამგზავრულ ტელევიზიას. „მაგთიკომის“ მომხმარებლების რაოდენობა დღითი დღე იზრდება და დღეისთვის 3 მილიონს აღემატება, სხვა მობილური ოპერატორებიდან პორტირებულთა რაოდენობა კი 172 100-ს შეადგენს.

„ჩვენს მომხმარებელს არა მხოლოდ საუკეთესო ქსელით უზრუნველვყოფთ, არამედ მუდმივად ვსწავლობთ ბაზარს, მომხმარებლის საჭიროებებს, ამის გათვალისწინებით ვთავაზობთ მათ დროისა და მოთხოვნის ადეკვატურ მომსახურებებს. მსოფლიოს უახლესი ტექნოლოგიები თუ მომსახურებები პარალელურ რეჟიმში ინერგება საქართველოში და გვეამაყება, რომ ამ პროგრესში „მაგთიკომს“ დიდი წვლილი მიუძღვის, ის ხშირ შემთხვევაში ნოვატორია ქართულ ბაზარზე სიახლეების დანერგვის კუთხით“, – აცხადებენ „მაგთიკომში“.

„მაგთიკომი“ თავის თითოეულ თანამშრომელს, აბონენტსა და პარტნიორს მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის, რომლის შედეგია წლების განმავლობაში მიღწეული დიდი წარმატება.

1997 ერთეულებიდან

2013 3 000 000 მომხმარებლამდე

16 წელი თქვენთან ერთად!

11 00 11
www.magticom.ge


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „პრაიმტაიმის“ კვლევებში გიო

## ვის აძლევთ ხმას საპრეზიდენტო არჩევნებში?




**რამაზ საყვარელიძე:**
„ბაქრაძე მეორე ადგილზე, თან თბილისში, იმ ქალაქში, რომელიც ყველაზე უფრო უარყოფითად არის განწყობილი „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ... ძნელია ასეთი შედეგის დაჯერება“

# „მაგთიკომმა“ თბილისში მომსახურების მე-11 ოფისი გახსნა

**მომხმარებლისთვის მეტი კომფორტის შესაქმნელად „მაგთიკომმა“ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლულის ქ. #5-7-ში მომსახურების ახალი ოფისი გახსნა. „მაგთიკომის“ მომხმარებელთა რაოდენობა დღითი დღე იზრდება და დღეისთვის 3 მილიონს აღემატება. სხვა მობილური ქსელებიდან პორტირებული აბონენტების რაოდენობა კი 172,100 შეადგენს და რამდენჯერმე აღემატება „მაგთიკომიდან“ პორტირებულთა რაოდენობას. პრეზენტაციას, კომპანიის წარმომადგენლები და მედიის წარმომადგენლები ვესწრებოდით. როგორც „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა, ნინო სურგულაძემ განაცხადა, ოქტომბერში „მაგთიკომი“ ბევრ სიახლეს შესთავაზებს მომხმარებელს.**

**ნინო სურგულაძე:**

– კომპანია „მაგთიკომი“, როგორც ყოველთვის, ახლაც ზრუნავს თავის მომხმარებელზე, რომელთა რაოდენობა უკვე სამ მილიონს აჭარბებს. ჩვენ მიზანია, „მაგთიკომის“ მომსახურება უფრო ხელმისაწვდომი იყოს ჩვენი აბობენტებისთვის. ამიტომაც კიდევ ერთი ოფისი გაიხსნა, ამჟამად უკვე ისნის რაიონში, მეტროსადგურთან, რომელიც ყოველდღე იმუშავებს და ყველა მსურველს მოემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ „მაგთიკომის“ სერვისების მართვა მომხმარებელს დამოუკიდებლად, ინტერნეტიდან ან მობილურიდანაც შეუძლია, ჩვენი ოფისების ქსელს მაინც ვაფართოებთ. ეს თბილისში მეთერთმეტე ოფისია. მთელ საქართველოში სულ 46 გვაქვს, მათ შორის, 35 რეგიონული ოფისია...

**– და რატომ მაინცდამაინც ისანი?**

– ეს ადგილი შემთხვევით არ შეგვირჩევია, გვინდოდა ჩვენი აბონენტებისთვის ჩვენი სერვისი მათთვის ხელმისაწვდომ ადგილას შეგვეთავაზებინა. ჩვენს მომხმარებელს საჭიროების შემთხვევაში ხშირად რუსთაველის პროსპექტზე უწევდა წასვლა, ეს ეხება როგორც ისნის, ისე ვარკეთილის, ისე ვაზისუბნისა და ლილოს დასახლების მცხოვრებთ. აქ ერთი ფანჯრის პრინციპი მოქმედებს, ყველა ტიპის მომსახურებას, გადახდის ჩათვლით, აქ მიიღებენ. ამ ოფისის გახსნით რუსთაველის პროსპექტი ძალიან განიტვირთება.

**– რაც შეეხება პორტირებულ აბონენტს, რამდენად ბევრია?**

– ჩვენს მობილურ ოპერატორში ყველაზე მეტი აბონენტში აკეთებს პორტირებას. ჩვენგან გადაპორტირებულებს რამდენჯერმე აღემატება.

კომპანია „მაგთიკომის“ პრეზიდენტის, დევიდ ლის განცხადებით, კომპანიისთვის მომხმარებლის მომსახურების გაუმჯობესება უპირველესი მიზანია.

**დევიდ ლი:** „ძალიან მიხარია, რომ „მაგთიკომს“ ქალაქის ცენტრში ახალი ოფისი აქვს. განსაკუთრებით მიხარია, რომ „მაგთიკომმა“ ქსელი კიდევ ერთი ახალი ოფისით გააფართოვა. ამაზე გაჩერებას, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ და შევეცდებით, მომხმარებელს მეტი და მეტი კომფორტი შევუქმნათ“.

„მაგთის“ ახალი ოფისის პირველ იღბლიან აბონენტს, გიორგი გაბაშვილს, კომპანიის პრეზიდენტმა მოდემი გადასცა საჩუქრად.

**გიორგი ბაბაშვილი:** „რადგან ისანში ახალი ოფისი გაიხსნა, გადავწყვიტე, „მაგთის“ აბონენტი გავხდე. ამიტომაც მოვედი აქ... ძალიან მიხარია, რომ პირველი ვარ, ყველას დავასწარი, ახალი ოფისის პირველი აბონენტის მომსახურებაც დავიმსახურე და საჩუქარიც. დიდი მადლობა „მაგთის“.

„მაგთიკომს“ შექმნილი აქვს მომსახურების ფართო ქსელი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე: თბილისში უკვე 11 ოფისი ფუნქციონირებს, რეგიონებში – 35, მომხმარებელს ემსახურება 4 მობილური ოფისი, დილერების ფართო ქსელი, ასევე იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრები. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მომხმარებელს დამოუკიდებლად შეუძლია სერვისების მართვა მობილურიდან ან ინტერნეტის საშუალებით, მომსახურების ოფისები სრული დატვირთვით მუშაობენ და დღეში ასობით დაინტერესებულ აბონენტს ემსახურებიან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რგი მარგველაშვილი ლიდერობს

**გიორგი მარგველაშვილი (ქართული ოცნება)**

| | |
|---|---|
| დასაქმება და სოციალური პრობლემების მოგვარება | 23,5 % |
| რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება | 11 % |
| ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა | 6 % |
| ნატოში გაწევრიანება | 0,5 % |

**დავით ბაქრაძე (ნაციონალური მოძრაობა)**

| | |
|---|---|
| ნატოში გაწევრიანება | 11 % |
| ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა | 2,5 % |
| ეკონომიკური კრიზისის დაძლევა | 3,5 % |
| კრიმინალური ვითარების გაუმჯობესება | 5 % |

**ნინო ბურჯანაძე (დემოკრატიული მოძრაობა)**

| | |
|---|---|
| სამართლიანობის აღდგენა | 3,5 % |
| ევრაზიული კავშირი | 2,5 % |
| ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა | 2,5 % |

## თორნიკე შარაშენიძე: „მარგველაშვილს ყველაზე მეტი ხმა ექნება პირველი ტურის შემთხვევაში. თუმცა მთავარი კითხვაა – გაიმარჯვებს თუ არა ის პირველივე ტურში“

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**სოციოლოგიური გამოკითხვა „პრაიმტაიმმა“ თბილისის სხვადასხვა რაიონებში მთელი კვირის განმავლობაში ჩაატარა. შედეგები არა მხოლოდ NDI-სა და IRI-ს კვლევებს ემთხვევა, არამედ ზურაბ ბიგვავას მიერ გამოქვეყნებულ გამოკითხვებსაც. რიცხვები, რა თქმა უნდა, განსხვავებულია, ის საქართველოს მთელი მასშტაბით ჩატარდა, ჩვენ კი მხოლოდ დედაქალაქი მოვიცავით, თუმცა, როგორც კვლევები აჩვენებს პირველი გიორგი მარგველაშვილია, მეორე დავით ბაქრაძე და მესამე ნინო ბურჯანაძე.**

**ამომრჩეველი კარგად აცნობიერებს იმას, თუ ვის და რისთვის უჭერს მხარს. გიორგი მარგველაშვილის შემთხვევაში ეს სოციალური ვითარების გაუმჯობესებაა, დავით ბაქრაძეს უფრო ნატოსთან და დასავლეთის კურსთან აიგივებენ, ასევე კრიმინალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან, ბურჯანაძის ბრენდი კი სამართლიანობის აღდგენაა. როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამ ბრენდმა გაუფასურება დაიწყო...**

**ვინ ხედავს ამ რეალობას და ვინ – არა, ვის სჯერა და ვის – არა. ყველა ერთად კი არჩევნების დღეს და საბოლოო შედეგს ელოდება. ასე რომ, გემოვნებაზე დაობენ, მით უფრო საქართველოში.**

**„პრაიმტაიმმა“ შედეგების შეფასება რამდენიმე ექსპერტს სთხოვა.**

**თორნიკე შარაშენიძე, ექსპერტი:**

– ნინო ბურჯანაძეს იმედი აქვს, რომ დებატებამდე მივა და დებატებში თავის რეიტინგს ამოქაჩავს სამართლიანობის აღდგენაზე საუბრით. იმედი აქვს, რომ ამომრჩევლებზე იმოქმედებს სიტყვები – „ოცნებამ“ ვერ აღადგინა სამართლიანობა და მე ამას გავაკეთებო. მაგრამ რამდენად მიაღწევს ასე მიზანს და რამდენად შემატებს ეს რეიტინგს, გაურკვეველია. ბურჯანაძეს ხმას არ მისცემენ ბიძინა ივანიშვილის ამომრჩევლები, ისინი მაინც მარგველაშვილს მისცემენ ხმას. ეს საკმაოდ დიდი რიცხვი იქნება. მეორე ნაწილი ნინო ბურჯანაძეს ხმას არ მისცემს იმის გამო, რომ ადამიანებს ჯერ კიდევ ახსოვთ, რა არ მოსწონთ მასში და რას არ პატიობენ. ნაციონალების დროს ბურჯანაძე რეალურად ორჯერ იყო პრეზიდენტი და ბევრი რამის გაკეთება შეეძლო. ამ ყველაფრის გამო მას გამარჯვების შანსი არ აქვს. ბურჯანაძეს შეიძლება შანსი გაუჩნდეს, მეორე ტური დაინიშნება.

**– მეორე ტურში შეიძლება გამარჯვების შანსი გაუჩნდეს?**

– მეორე ტურში თუ გავიდა, ეს მისთვის ძალიან დიდი მიღწევა იქნება. ვნახოთ, რამდენიმე კვირაში კიდევ უფრო გაირკვევა ყველაფერი. პირველ ტურში ბურჯანაძის გამარჯვება გამორიცხულია. პირველ ტურში ან მარგველაშვილი გაიმარჯვებს ან არავინ.

**– როგორ ფიქრობთ, პირველ და მეორე ადგილზე გამსვლელს შორის სხვაობა დიდი იქნება?**

– კი, სხვაობა, სავარაუდოდ, დიდი იქნება. მარგველაშვილს ყველაზე მეტი ხმა ექნება პირველი ტურის შემთხვევაში. თუმცა მთავარი კითხვა არის – გავა თუ არა პირველივე ტურში.

**რამაზ საყვარელიძე, ექსპერტი:**

– ამ შედეგების მე არ მჯერა.

**– რატომ?**

– ბაქრაძე მეორე ადგილზე, თან თბილისში, იმ ქალაქში, რომელიც ყველაზე უფრო უარყოფითად არის განწყობილი „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ... ძნელია ასეთი შედეგის დაჯერება.

**– ფიქრობთ, რომ ბურჯანაძე უნდა იყოს მეორე ადგილზე?**

– ნუ, ბაქრაძე არ უნდა იყოს, შეიძლება ბურჯანაძე არა და ნათელაშვილი იყოს, მაგრამ ბაქრაძის მეორე ადგილზე გასვლა ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისი „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი გახდა. ამაში კი ძალიან მეპარება ეჭვი. ზოგადად, არ ვიცი, როგორია რეიტინგები, NDI-ს კვლევები იყო გამოქვეყნებული, მაგრამ მე არ მინახავს, არ ვიცი როგორია.

**– იქაც ბაქრაძეა მეორე ადგილას...**

– არც NDI-ს არ ვენდობი, პოლიტიკური მოსაზრების გამო. თქვენ მიერ ჩატარებულ კვლევას თუ პროფესიონალური დარღვევის არსებობის გამო არ შეიძლება ვენდო, NDI-ს შედეგები სწორედ რომ პოლიტიკური მნიშვნელობით შეიძლება იყოს ისეთი, როგორიც არის.

**– ზურაბ ბიგვავას მიერ ჩატარებულ კვლევებს ენდობით?**

– არ ვიცი მისი შედეგები.

**– იქაც ბაქრაძეა მეორე ადგილას.**

– მაშინ ნაციონალების მომხრე გამხდარა თბილისი. ეს ფაქტი კი არ არის დამაჯერებელი. მაშინ ბურჯანაძესაც რომ არ სჯეროდეს ამის, ლოგიკური იქნება. ეს ის თბილისია, რომელიც მიხეილ სააკაშვილის დროს ყველაზე ოპოზიციურ ქალაქად იყო გადაქცეული.

**– რომელიმე კვლევით ორგანიზაციას ენდობით?**

– კი, არის ბევრი. ქართულ კვლევით ორგანიზაციებს ვენდობი, ასეთია „გორბი“, იაგო კაჭკაჭიშვილის ორგანიზაცია...

როგორც აღმოჩნდა, რამაზ საყვარელიძე მხოლოდ იაგო კაჭკაჭიშვილისა და კიდევ რამდენიმე კვლევითი ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებს ენდობა. კაჭკაჭიშვილი კი სხვადასხვა დროს სხვადასხვა პარტიებთან თანამშრომლობდა. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ის ახალი მემარჯვენეებს უტარებდა კვლევებს, ბოლოს ის სკანდალში მერების არჩევნებზე გაეხვია. მის მიერ ჩატარებულ კვლევებში მერობის ოპოზიციურ კანდიდატი ირაკლი ალასანია ლიდერობდა, თუმცა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას აღიარა, რომ გამოკითხვებში რეალურად გიგი უგულავა ლიდერობდა. შედეგიც ასე დაიდო. პირველი არჩეული მერი სწორედ გიგი უგულავა გახდა. დღეს კი ექსპერტი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ ენდობა იაგო კაჭკაჭიშვილს და არ ენდობა NDI-ს, იმიტომ რომ მას პოლიტიკური მიზნები ამოძრავებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სკანდალური დოკუმენტ

## ინა გუდავაძე: „მე არ შემიძლია იმაზე ლაპარაკი, რაზეც მაშინ შევთანხმდით. სიტყვა მივეცი და ხელიც მოვაწერე, რომ ეს არ გასაჯაროვდებოდა. ეს კონფიდენციალური შეთანხმება იყო და ამას დღესაც ვერ დავარღვევ“


მარიამ ნადირაძე


**ცნობისმოყვარე საზოგადოების დიდ ნაწილში შფოთია, ყველა იმის გარკვევას ცდილობს, რა წერია იმ კონფიდენციალურ გარიგებაში, რომელიც 2011 წლის 6 ივლისს ბადრი პატარკაციშვილის მეუღლეს, ქალბატონ ინა გუდავაძესა და მაშინდელ ხელისუფლებას შორის დაიდო. ცნობისმოყვარეობა კი პრემიერ-მინისტრის რეპლიკამ გაამძაფრა – „თმები ყალყზე დამიდგაო“. მართალია, ხელისუფლება ხალხს ამ დოკუმენტისთვის გრიფის მოხსნას დაჰპირდა, მაგრამ „პრაიმტაიმი“ მანამდე აპირებს, თავის მკითხველს შეატყობინოს, რის შესახებ შეიძლება საუბრობდნენ მხარეები და სწორედ მას შემდეგ მიხვდება ჩვენი მკითხველი, რატომ დააყენა ბიძინა ივანიშვილმა ერთ სიბრტყეზე ყოფილი ხელისუფლების ჩინოვნიკებთან პატარკაციშვილის ქვრივი.**

თუმცა, სანამ ამ პირობების შესახებ დავკონკრეტდებოდეთ, სხვა ისტორიებსაც შეგახსენებთ, რომელიც ჩვენს მკითხველს რამდენიმე ფაქტის გაანალიზების საშუალებას მისცემს.

გასული წლის ოქტომბრის ბოლოს ტელეკომპანია „იმედის“ მაშინდელმა გენერალურმა დირექტორმა დიდ თათბირზე დაიბარა ტელევიზიის თანამშრომლები და აცნობა, რომ მათთვის ჰქონდა ორი ინფორმაცია: ერთი ცუდი, მეორე კი ძალიან ცუდი.

ძალიან ცუდი იყო ის, რომ გია ხუხაშვილი, გოგი ჯაოშვილთან ერთად, რომელიც „ჯიემჯი კონსალტინგ გრუპის“ 70-პროცენტიანი წილის მფლობელი გახლდათ, სასამართლოს გზით აპირებდა ტელევიზიის დაბრუნებას. ცუდი კი იყო ის, რომ, როგორც ამ თათბირზე გაირკვა, არველაძე უკვე ესაუბრა ინა გუდავაძეს, რათა ის მისულიყო ტელევიზიაში თავის წარმომადგენლებთან ერთად და გადაებარებინა ფირმის აქტივები, რომლის შემადგენლობაშიც ტელეკომპანია იყო.

მოგვიანებით გაირკვა, რომ სამ ლარად გადაცემულ ამ ფირმის აქტივებში ტელეკომპანია „იბერიის“ ლიცენზიაც აღმოჩნდა, რომელიც ასევე მიტაცებული ჰქონდა მაშინდელ ხელისუფლებას. გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს ლიცენზია ინა გუდავაძემ „იბერიის“ მფლობელებს გადასცა.

ბუნებრივია, ეს გადაწყვეტილება ორივე მხარეს აწყობდა – სააკაშვილის ხელისუფლებასაც და პატარკაციშვილის ქვრივსაც, ვინაიდან სასამართლოს გზით რომ დაეწყო უკუსვლა, ტელევიზიის მფლობელად სულ სხვა პირი, ანუ გოგი ჯაოშვილი მოგვევლინებოდა, ხოლო ტელევიზიის გასხვისებაში მონაწილე პირები უპირობოდ აღმოჩნდებოდნენ გისოსებსმიღმა, რა თქმა უნდა, თუ ამ პროცესს ისევ კოჰაბიტაცია არ შეაფერხებდა. თუმცა იმ დროისთვის არავინ იცოდა ამ მოსალოდნელი „მშვიდობიანი თანაცხოვრების“ შესახებ.

კიდევ უფრო მოგვიანებით ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა იმ საიდუმლო შეთანხმების შესახებ, რომლის თაობაზეც სულ ახლახან „აუვიდა თმები ყალყზე“ ბიძინა ივანიშვილს და რომელიც გუდავაძესა და სახელმწიფოს შორის 2011 წლამდე შემდგარა. ამ ინფორმაციის შესახებ კი ცნობილი იმ განცხადებიდან გახდა, რომლითაც გასული წლის ნოემბერში გოგი ჯაოშვილმა მიმართა თეა წულუკიანს. განცხადებაში, რომელიც „პრაიმტაიმს“ კონფიდენციალურმა წყარომ მიაწოდა პროკურატურიდან, ვკითხულობთ: „...გამომდინარე იქიდან, რომ საქმე ეხება ჩემს იურიდიულ მფლობელობაში არსებული ტელეკომპანიის გასხვისებასთან დაკავშირებით დადებულ გარიგებას, რომლის გამომზეურებაც არავითარ შემთხვევაში არ აწყობს წინა ხელისუფლებას, მე, როგორც აბსოლუტურად დაინტერესებულ პირს, გთხოვთ, გამაცნოთ ზემოაღნიშნული გარიგება.

აქვე აღვნიშნავ, რომ გუდავაძისგან ვერ მივაღწიე გარიგების შინაარსის გაცნობას, მისი თითქოსდა კონფიდენციალობის გამო“.

ამ შეთანხმების შესახებ ტელევიზიის დაბრუნების შემდეგ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ქალბატონი ინა აცხადებს:

„მე არ შემიძლია იმაზე ლაპარაკი, რაზეც მაშინ შევთანხმდით. სიტყვა მივეცი და ხელიც მოვაწერე, რომ ეს არ გასაჯაროვდებოდა. ეს კონფიდენციალური შეთანხმება იყო და ამას დღესაც ვერ დავარღვევ. ეს შეთანხმების პირობა იყო, რომელიც 2011 წლის გაზაფხულზე შედგა. ჩვენ დაგვიბრუნეს რუსთავის ქარხანა და მთაწმინდის პარკი, რომელზეც გვქონდა საარბიტრაჟო დავა“.

იმავე დღეს, როგორც კი გარიგება დაიდო და შედგა მემორანდუმი, რის შესახებაც სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებებით აუწყეს ქვეყანას, 17:30 სთ-ზე მეტალურგიული ქარხნის ტერიტორიაზე ჯარი შევიდა. მენეჯმენტს გამოუცხადეს, 15 წუთში დაეტოვებინათ შენობა და დაეცალათ სამუშაო კაბინეტები. ამ პროცესს დაცვის დეპარტამენტის უფროსი, კახა ლეგაშვილი მეთაურობდა, რომელმაც პირადად არანაირი საბუთი, ნებართვა, ბრძანება არ წარადგინა და განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის, ვანო მერაბიშვილის სიტყვიერი ბრძანებით მოქმედებდა. „ქართული ფოლადის“ წარმოების მაშინდელი მენეჯმენტი ირწმუნება, რომ გასაიდუმლოებულ დოკუმენტში მეტალურგიული ქარხნის გუდავაძისთვის დაუყოვნებლივ გადაცემაზეა საუბარი, რომელსაც თურმე არც სასამართლო განხილვა სჭირდება და არც რაიმე იურიდიული პროცედურები.

ცოტა ხნით კვლავ შევწყვეტთ დოკუმენტში არსებული გარიგების პირობებზე თხრობას, ვინაიდან გიამბობთ იმას, რა უძღოდა წინ ამ უპრეცედენტო შეთანხმებას:

2011 წლის დასაწყისში მინსკის შემოგარენში მდებარე ბერეზოვსკის საზაფხულო სახლში შედგა შეხვედრა ოლიგარქსა და პატარკაციშვილის ყოფილ პარტნიორს, გოგი ჯაოშვილს შორის, რომელიც იმ დროისთვის ევროპაში იყო გაქცეული. ამ გაქცევის შესახებ კი, ალბათ, ყველას ახსოვს, თუ როგორ მიაცილეს ის საზღვრამდე სახალხო დამცველმა და ჟურნალისტებმა. მას შემდეგ უკვე სამი წელი იყო გასული. ბერეზოვსკიმ ჯაოშვილი დაარწმუნა, რომ ის უნდა შეხვედროდა ადეიშვილს. თუ მოლაპარაკება მოხერხდებოდა ხომ კარგი, თუ არადა, ისევ უკან დაბრუნდებოდა, რადგან ხელისუფლებას ბერეზოვსკისთვის სიტყვა ჰქონდა მიცემული, რომ ჯაოშვილს არ დააკავებდნენ.

ამ შეთავაზებაზე შეთანხმებას მხოლოდ ერთადერთი შედეგი აღმოაჩნდა საბოლოოდ: გოგი ჯაოშვილმა, რომელმაც გაქცევაში ყოფნის დროს გარდაცვლილი ძმის დასაფლავების ცერემონიაზე და-

სწრება ვერ მოახერხა, მისი საფლავის მონახულება შეძლო. მთავარი მოლაპარაკება კი უშედეგოდ დასრულდა. შეხვედრა მთავარ პროკურორ ზოდელავასთან შედგა, რომელიც პატარკაციშვილის ყოფილ პარტნიორს გამზადებულ დოკუმენტებზე ხელმოწერას სთხოვდა, რომლის საფუძველზეც „იმედი“ მათ სწორედ ჯაოშვილისგან გადაეცემოდათ. ეს ხელისუფლებას საშუალებას აძლევდა ამ დოკუმენტით იმ დროისთვის სტრასბურგის სასამართლოში დაწყებულ დავას დაპირისპირებოდნენ. ჯაოშვილმა ერთი დღე ითხოვა მოსაფიქრებლად და, პრაქტიკულად პასუხის გაუცემლად, ისევ ევროპაში დაბრუნდა.

საკითხი ისევ ღია რჩებოდა. ამიტომაც, როგორც ამბობენ, უგულავას უშუალო ჩარევით ხელისუფლებამ ისევ პატარკაციშვილის ქვრივთან მორიგებაზე დაიწყო მუშაობა, რომელიც, როგორც უკვე ირკვევა, წარმატებითაც დასრულდა. ხელისუფლება მზად იყო, ინა გუდავაძის ყველა პირობა დაეკმაყოფილებინა, ოღონდაც სტრასბურგიდან საქმე გამოთხოვილიყო.

„პრაიმტაიმს“ კონფიდენციალური წყარო უამბობს, რომ პატარკაციშვილის ქვრივის მხრიდან მოთხოვნათა ძალიან გრძელი სია დაიდო – ეს იყო ტელეკომპანიის გარდა საქართველოში არსებული ყველა ბიზნესინტერესის დაცვა ხელისუფლების მხრიდან და ყველა წამოწყებული სასამართლო დავის დაკმაყოფილება. 2012 წლის ოქტომბრამდე სააკაშვილის ხელისუფლება ამ პირობებს ასრულებდა.

საინტერესოა ერთი ფაქტიც: არსებობს კიდევ ერთი ხელშეკრულება, უფრო სწორად მინდობილობა, რომელიც 2008 წლის დეკემბერში გუდავაძესა და ჯაოშვილს შორის დაიდო. მიმნდობი ჯაოშვილია, მინდობილი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

**გოგი ჯაოშვილი: „დადებული გარიგების გამომზეურება არავითარ შემთხვევაში არ აწყობს წინა ხელისუფლებას. მე, როგორც აბსოლუტურად დაინტერესებულ პირს, გთხოვთ, გამაცნოთ ზემოაღნიშნული გარიგება“**

# რა გარიგება შედგა ინა გუდავაძესა და სააკაშვილის ხელისუფლებას შორის და ვისი დაპატიმრება მოითხოვა პატარკაციშვილის ქვრივმა

პირი – გუდავაძე. ამ მინდობილობაში ჩადებულია ერთი მკაცრი პირობა: „მინდობილ პირს ეკრძალება სარჩელის უარყოფა, ან გარიგებაში შესვლა ნაწილობრივ, ან სრულად“. მინდობილობას მოქმედების ვადა 2011 წლის დეკემბერში ეწურებოდა. ის სკანდალური გარიგება კი 2011 წლის 6 ივლისს შედგა

როგორც ამბობენ, ამ უპრეცედენტო გარიგებაში უნდა იდოს პუნქტი იმ ნოტარიუსის დაპატიმრების შესახებაც, რომელმაც ჯაოშვილსა და ქეის შორის ტელეკომპანიის გადაცემის შესახებ ხელშეკრულება ძალოვნების თანდასწრებით შეადგინა. ეს გახლავთ ქალბატონი მ. ბ. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ამ კაბალური გარიგების დადებისთანავე ნოტარიუსში პოლიცია შეცვივდა. ნოტარიუსს გული წაუვიდა. ამის შემდეგ ის დიდხანს იწვა საავადმყოფოში. ამასობაში კი გაირკვა, რომ მ.ბ. სააკაშვილის დაცვის ერთ-ერთი წევრის მეუღლე გახლდათ და შესაბამისად, მისი პატიმრობა დღის წესრიგიდან ამოვარდა. თუმცა, როდესაც „პრაიმტაიმი“ ამ სანოტარო ბიუროში მივიდა, გაარკვია, რომ ის აღარ არის ნოტარიუსი. მას საქმიანობის უფლება ჩამოერთვა. როგორც შევიტყვეთ, ის პირად საუბრებში აცხადებს, რომ ეს ყველაფერი მას მხოლოდ იმიტომ გადახდა, რომ ასე მოითხოვა ქალბატონმა ინამ.

ერთი სიტყვით, მთელი ამ ისტორიიდან იკვეთება მეტად საეჭვო სურათი: თუ ამ სკანდალურ დოკუმენტს გრიფი მოეხსნება და გაირკვევა, როგორ ხდებოდა ანგარიშსწორება პატარკაციშვილის ქვრივის იმ დროს არსებული, თუ პოტენციური მტრების მიმართ, როგორ ხდებოდა ზეწოლა სასამართლოებზე და ბიზნესზე, რომლის ასეთი სახით გადაწყვეტა ოჯახის ინტერესებში შედიოდა, წინ ძალიან საინტერესო პროცესები გველის, რომლის შედეგადაც არ გამორიცხავენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან ერთად ბევრ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა უკვე კბილაშვილის პროკურატურაში ქალბატონ ინა გუდავაძესაც. ამ პროცესების უკან კი იმ რუხ კარდინალად არაერთხელ ცნობილ გია ხუხაშვილს მოიაზრებენ, რომელმაც გასული წლის ოქტომბერში ძილი დაუფრთხო გიორგი არველაძეს და ამით, ნებსით, თუ უნებლიეთ, „აღდგენილი სამართლიანობის“ იშვიათ ფაქტებს შორის იმ ერთ-ერთ ფაქტს მისცა ბიძგი, რომელსაც ტელევიზიის ოჯახისთვის დაბრუნება ერქვა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როგორ და სად დაიგეგმა ავთან



## „ივნისში თურქეთში იყვნენ ჩასულები ვახო ჩხაპელია და მისი ცოლი მაკა, მოსკოვიდან ჩავიდა სოსო პავლიაშვილი. ყველაფერი სწორედ იმ საოჯახო თავყრილობაზე დაიგეგმა“

## „დავიჯერო, კითხვები არ უჩნდ



**my View**

მირიან ბოქოლიშვილი

**„ეს არის ჩემი ბოლო ინტერვიუ“, – ამ წინაპირობით დაგვთანხმდა საუბარზე ბიზნესმენ ავთანდილ ადუაშვილის ძმა, მევლუდ ადუაშვილი, რომელიც ძმის მკვლელობის შეკვეთაში კიდევ ერთხელ ადანაშაულებს რუსეთში მოღვაწე ქართველ მომღერალს სოსო პავლიაშვილს. „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში მევლუდ ადუაშვილი მკვლელობის თანამონაწილეობაში სდებს ბრალს მომღერლის დას, მაკა პავლიაშვილსაც. მევლუდ ადუაშვილი პროკურატურას და-ძმა პავლიაშვილების საქართველოში ჩამოყვანასა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას სთხოვს. სანამ ადუაშვილები სოსო პავლიაშვილის დაპატიმრებას ითხოვენ, თავად მომღერალი ხშირად სტუმრობს რუსეთის ელიტურ „ტუსოვკებს“. ბოლოს ის რუსულ ბომონდთან ერთად ქეთა თოფურიას ქორწილში გამოჩნდა... ქართულ მედიასთან პავლიაშვილი კონტაქტზე არ გამოდის, თუმცა რამდენიმე დღის წინ მან ადუაშვილის მკვლელობაზე ინტერვიუ ტელეკომპანია „ენტევეს“ მისცა. პავლიაშვილის თქმით, მის სიძეს, ვახტანგ ჩხაპელიას ადუაშვილის მოკვლა არ უნდოდა.**

**„მე მან მითხრა, რომ ადუაშვილის მოკვლა აზრადაც არ მოსვლია. ჩემს სიძეს მისი ცემა უნდოდა, მაგრამ ადუაშვილი მოკვდა და ამით ვიღაცამ კარგად ისარგებლა. რაც შეეხება მისი ნათესავების ბრალდებებს, რომელსაც მე მიყენებენ, ვფიქრობ, ისინი კარგად გამოიყენეს და დაამუშავეს. ისინი ამბობენ, რომ მე ადუაშვილთან ერთად ნავთობის, გაზის, ხორცისა და ცემენტის ბიზნესი მქონდა. ასე რომ ყოფილიყო, თვეში 20-35 კონცერტი არ მექნებოდა და 15-ჯერ თვითმფრინავში ჩაჯდომა არ მომიწევდა“. – აცხადებს მომღერალი, თუმცა ადუაშვილთან დაპირისპირების ფაქტს არ უარყოფს და ამბობს, რომ ან გარდაცვლილი 20 წელია ნარკოდამოკიდებული იყო.**

**რუსული ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუს თავის გადარჩენის მცდელობად აფასებს ავთანდილ ადუაშვილის ოჯახი და იმედს გამოთქვამს, რომ „მომღერალი მართლმსაჯულების წინაშე წარდგება“.**

**მევლუდ ადუაშვილი, გარდაცვლილის ძმა.**

– ეს არის ჩემი ბოლო ინტერვიუ, მაგ უსინდისო ადამიანს ამის შემდეგ აღარ გამოვეხმაურები. თუ ხელისუფლება ვერაფერს მოუხერხებს, მე თავად ვიმოქმედებ. სოსოს მოსკოვის სიტუაცია ჰგონია აქაც, სადაც ყველაფერი შეგიძლია გააკეთო ფულით. ძალიან დიდი ფული აქვს გამოგზავნილი ამ ყველაფრისთვის. ვინ იყო ჩხაპელია? აბსოლუტურად არავინ. მაშინ ეზოში რვა ოჯახი ვცხოვრობდით. პავლიაშვილებს ჰქონდათ ერთი ოთახი გაქირავებული, სადაც მოვიდნენ ქირით სტუდენტები – ჩხაპელია და მისი ძმა. ამ პერიოდში გაიცნო მაკა, სოსოს და. შემდეგ დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ცოლად მოიყვანა. თავიდანვე იმ დონეზე უყვარდა ფული, რომ მისგან ეს არ გამკვირვებია. რაც შეეხება სოსო პავლიაშვილს, ჩვენთან მეგობრობდა, განსაკუთრებით ახლოს იყო ავთოსთან. მაგათ ოჯახს საკმაოდ უჭირდა, სოსო დედაჩემის გაზრდილია. დედამისი მის დღეში სახლში არ იყო, მკერავი ქალი იყო. ცოტა ხნის წინ ინტერვიუ მისცა რუსულ პრესას, დედაჩემი სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი იყოო, არადა დირექტორის კაბინეტი სად იყო, არც კი იცოდა. იმდენად უსინდისო კაცია, რომ საკუთარი დედისაც რცხვენია. ავთო თვითონ გაჰყვა იურმალაში, პირველად რომ წავიდა. ის მფარველობდა ყველგან როგორც ეკონომიკურად, ისე სხვა კუთხით. 90-იან წლებში, ალბათ, გახსოვთ, რა სიტუაცია იყო და ავთოს ხათრით მას ვერავინ ეკარებოდა. გარდა ამისა, ავთო უკეთებდა კონცერტებს. პირველად ირინა პანაროვსკაია რომ ჩამოიყვანეს თბილისში, მარტო მაგათი „საგულაო“ ბენზინის საშოვნელად არც კი მახსოვს, რამდენი რეისი გავაკეთე ლარსიდან. მაშინ ბენზინიც კი დეფიციტი იყო ქვეყანაში. მოკლედ, ავთო ითვლებოდა, როგორც პავლიაშვილის ფინანსური დირექტორი და მთლიანად ის აფინანსებდა, ცდილობდა, მისგან წარმატებული პროექტი შეექმნა. მოსკოვში ბინა, სტუდია და რა ვიცი, რა აღარ... რომ არა ავთო, სოსო პავლიაშვილს ეს ყველაფერი არ ექნებოდა და ვერც ასეთ წარმატებას მიაღწევდა.

**– და უშუალოდ ბიზნესპარტნიორები როდის გახდნენ?**

– სოსომ ბინა გაყიდა მოსკოვში, რომელიც ავთოს შეძენილი იყო. ნახევარ მილიონად გაასხვისა. ავთო ჩაფრინდა, მოილაპარაკეს და ეს ფული ჩაიდო ბიზნესში. ეს ხდება 1998 წელს, მას შემდეგ, ცხადია, ეს ფული გაიზარდა ხომ?! სხვათა შორის, ეს ვაჟბატონი რუსულ ტელევიზიასთან ყვება, არანაირი ბიზნესი არ მაქვს და თავს სიმღერით ვირჩენო. აგერ, შეიძლება, განახოთ მისი ძმაკაცის, ზაზა გაბედავას ინტერვიუ. ეს გაბედავა, გეცოდინებათ, რუსეთში გაქცეული ცნობილი ტერორისტია, გოჩა ბახიას „პადდელნიკი“. ის წერს გაზეთში, რომ ვითომ ავთოსთან პავლიაშვილს არანაირი შეხება არ აქვს და ჭორებს უგორებენ, სოსოს მოსკოვში თავისი კაფე აქვს სამასკაციანიო. ახლა „ენტევეზე“ რომ იყო გადაცემა, ამბობს, არანაირი ბიზნესი არ მაქვსო. ან ეს კაფე ვისია მაშინ, ან ხარკოვის ხორცკომბინატი? სხვის სახელზე რომ აქვს გაფორმებული, არ ეგონოს, რომ არავინ არაფერი იცის. მოკლედ, ის ნახევარი მილიონი ჩადეს ბიზნესში, მათ შორის იყო მაღაზიათა ქსელი და სხვადასხვა საქმეები.

**– იმავე ინტერვიუში პავლიაშვილი ამბობს, რომ ავთო ადუაშვილი ნარკოტიკების მომხმარებელი იყო...**

– კი, ამბობს, რომ თითქოს 20 წელი წამალზე იჯდა ჩემი ძმა, ცალკე ქართულ გამოცემებთან ყვება, რომ ფულს სასეხლეულად უგზავნიდა ვითომ. აი, თქვენ გეკითხებით, რომ იცოდეთ, რომ ადამიანი 20 წელი წამალზე ზის და ხელიდან წასული ნარკომანია, მას ფულს ასესხებთ?! ცხადია, არა. ეს ყველაფერი მისი მოგონილი სისულელეებია. სხვა გამოცემაში, ამჯერად რუსულში, წერს, რომ თითქოს ფულს ჩუქნიდა ავთოს. მოკლედ, აჭრილია და თვითონაც ვერ გაუგია, რეებს ბოდავს. სოსო პავლიაშვილი საკუთარ დედას არ მისცემს ერთ კაპიკს, რომელ ჩუქებაზეა საუბარი. ვახო ჩხაპელიამ, საკუთარმა სიძემ სანზონაში სახლის საყიდლად 7 ათასი დოლარი სთხოვა და უარი უთხრა, ბოლოს ავთომ მისცა ის ფულიც. ზოგადად, ჩხაპელია გვეცოდებოდა, სოხუმიდან დევნილი იყო ეგ უბედური და ბევრჯერ გაუმართა ხელი ჩემმა ძმამ. რაც შეეხება სოსოს, ჩემი და ავთოს კონფლიქტი ძირითადად მის პერსონას უკავშირდებოდა. სულ ვეუბნებოდი ავთოს, დაანებე თავი, უმადური ადამიანია-მეთქი. ბოლოს თქვენც იცით, როგორც დამთავრდა მისი „მადლიერება“. ივნისში თურქეთში იყვნენ ჩასულები ვახო ჩხაპელია და მისი ცოლი მაკა, მოსკოვიდან ჩავიდა სოსო პავლიაშვილი. ყველაფერი სწორედ იმ საოჯახო თავყრილობაზე დაიგეგმა. ამ დროს სოსომ უკვე იცოდა, რომ ჩემს ძმას ბიზნესის გაყოფა უნდოდა და არცთუ ცოტა ფულის გამოტანას აპირებდა. ეს, რასაკვირველია, არ აწყობდათ პავლიაშვილებს. ჩხაპელია რომ ჩამოვიდა, თურქეთიდან სამსახურს თავი დაანება, „ყვითელ ავტობუსებში“ მუშაობდა უსაფრთხოების სამსახურში და საკმაოდ მაღალი ანაზღაურებაც ჰქონდა. მაშინ გამიკვირდა, თუმცა ახლა უკვე ვიცი, რატომ წამოვიდა სამსახურიდან. შემდეგ გავიგე, რომ 2000 ევრო დაუნიშნა ხელფასი სოსო პავლიაშვილმა. ასე დაიწყო ვახომ ხალხის მოგროვება. და მოხდა ის, რაც მოხდა. 24-ში უნდა წასულიყო ავთო სოსოსთან შესახვედრად, სადაც ეს ბიზნესსაკითხები უნდა გაერკვია საბოლოოდ, მაგრამ წინა დღეს მოიცილეს ჩემი ძმა.

**– ახლა რა ბედი ეწია ამ ბიზნესს?**

– არაფერი. ოფიციალური საბუთები არ არსებობს. ეს საბუთები სწორედ ერევანში უნდა შეედგინათ, მაგრამ... აქედან ავთოს მიჰქონდა თავისი დოკუმენტები, მანქანაში ჰქონდა ჩალაგებული, მკვლელობის დღეს მანქანიდან ეს საბუთებიც წაიღეს, დირექტივა ჰქონდათ, რომ მთლიანად გაესუფთავებინათ მანქანა. მათ იცოდნენ, რომ დოკუმენტები ავთოს მანქანაში ედო, რითაც ის ერევანში აპირებდა მეორე დღეს გამგზავრებას. პავლიაშვილი არ უარყოფს, რომ 24-ში ნამდვილად უნდა შეხვედროდა ავთოს, მაგრამ იმასაც ამბობს, თითქოს გზის ფულს ის უხდიდა. რატომღაც ბიზნესმენ ავთო ადუაშვილს 200 ლარი არ ჰქონდა სომხეთში ჩასასვლელად. ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა უსინდისო ადამიანთან გვაქვს საქმე. ამიტომაც მე უკვე აღარ ვაპირებ მასთან დაკავშირებით საუბარს. შეტყობინება გავუგზავნე ტელეფონზე და მინდა, თქვენი გაზეთი-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...Дილ ადუაშვილს მკვლელობა?



ავთანდილ ადუაშვილი

**„გარდაცვლილის ძმა: ეს არის ჩემი ბოლო ინტერვიუ... თუ ხელისუფლება ვერაფერს მოუხერხებს სოსო პავლიაშვილს, მე თავად ვიმოქმედებ“**

**„რომ იცოდეთ, რომ ადამიანი 20 წელი წამალზე ზის და ხელიდან წასული ნარკომანია, მას ფულს ასესხებთ?! ცხადია, არა“**



# ...ება პროკურატურას ამ ყველაფერზე?“

თაც მივმართო – დროა, თავი მოიკლა. თვითონ არავის ზარს არ პასუხობ, არც მე მეკონტაქტება, არც ავთოს შვილს. თუ მართალი კაცია, რატომ იმალება? ეგ რომ არაფერ შუაში იყოს, ბავშვობის მეგობრის დაკრძალვაზე არ ჩამოვიდოდა? მეგობრის, რომელთან ერთადაც, ერთ ეზოში გაიზარდა.

**– და პირადად ვახტანგ ჩხაპელიას ჰქონდა რაიმე კონფლიქტი თქვენს ძმასთან?**

– არანაირი, ავთო მამასავით ჰყავდა. მაგას სოსო დაჰპირდა ბევრ ფულს. ვახოს მძახალს შეკვეთილში აქვს 20 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. აპირებდნენ დიდი კომპლექსის გაკეთებას, კაზინოებს, სასტუმროებსა და ა.შ. ამაში სოსოს უნდა ჩაედო ფული და ვახოს დაჰპირდნენ, შენ იქნები ამ ყველაფრის ბატონ-პატრონი და უხელმძღვანელებ ამ ბიზნესსო. ამის გამო ვახო საკუთარ დედასაც კი მოკლავდა. არ ვაჭარბებ, მას იმდენად უყვარს ფული, რომ უკან არაფერზე დაიხევს. მოკლედ, ამაზე დახარბებულმა ჩხაპელიამ სოსო პავლიაშვილის დავალება თვალის დაუხამხამებლად შეასრულა. პავლიაშვილის და, მაკა ნაციონალების დროს ამბობდა, სანამ ეს მთავრობა იქნება, სოსო აქ არ ჩამოვაო, ახლა ხომ აღარაა ის მთავრობა, ჩამოვიდეს, თუ მართალი კაცია.

**– პროკურატურაში ამბობენ, რომ პავლიაშვილთან დაკავშირებით საქმე ცალკე გამოიყო და არ არის გამორიცხული, ის დაკითხვაზე დაიბარონ...**

– ამაზე გეტყვით ერთს – მე წინა ხელისუფლება ნამდვილად არ მომწონდა, არა იმიტომ, რომ კონკრეტულ პიროვნებებთან მქონდა რაიმე პრეტენზია, არამედ მიუღებელი იყო მათი პოლიტიკა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ისევ ისინი რომ ყოფილიყვნენ, პავლიაშვილი 9-ჯერ ეყოლებოდათ ჩამოყვანილი. ესენი რაღაც უმარილოები არიან. რა უნდა ამის გაკეთებას. ბოლოს და ბოლოს, არსებობს ჩხაპელიას პირველი ჩვენება, სადაც ის ასახელებს პავლიაშვილს. შემდეგ შეცვალა ეს ჩვენება. რატომ არ არის პასუხისგებაში მიცემული, ან მინიმუმ დაკითხული მაკა პავლიაშვილი, სოსოს და, რომელმაც კილერებისთვის გადასახდელი ფული პირადად წამოიღო ერევნიდან. როგორც მინიმუმ, ის პასუხისგებაში უნდა მიეცეს დანაშაულის დაფარვისთვის, თუმცა ის დანაშაულს კი არ ფარავდა, არამედ თავად იყო თანამონაწილე ამ დანაშაულის.

**– ამჟამად სად იმყოფება მაკა პავლიაშვილი?**

– როგორც კი ვახო აიყვანეს, მაკამ იმავე ღამეს დატოვა ქვეყანა. დედ-მამაც კი გახიზნა, თითქოს ვინმე რამეს ერჩოდა. მაგდენი შეგნება ნამდვილად გვაქვს. გაინტერესებთ, რატომ წაიყვანა სოსომ, პირველ რიგში, თავისი და ქვეყნიდან? იმიტომ რომ მაკა სვამს, მისი დაკითხვა და პირის გაღება ერთი და იგივე იქნებოდა. ეშინოდა, ყველაფერი არ დაეფქვა და სიტუაციას გაარიდა. ეს მკვლელობა დაგეგმეს და-ძმა პავლიაშვილებმა და მოვუწოდებთ პროკურატურას, ცოტა ადეკვატურად იმოქმედონ. ისიც ვიცი, როგორ და ვისი მეშვეობით „ჩალიჩობდა“ სოსო პავლიაშვილი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გავლენა მოეხდინა. მაგას ჭგონია, რომ არავინ არაფერი ვიცით, არც ის, რომ თურქეთში ჰყავს ამჟამად გახიზნული თავისი დაც და მშობლებიც. ოდესმე აუცილებლად მივაღწევ, რომ ორივე და-ძმა ციხეში ჩაჯდება და პასუხს აგებს იმისთვის, რაც გააკეთეს. თუკი ეს არ მოხდა, არსებობს სხვა გზებიც, რომელზეც ახლა არ ვისაუბრებ.

**– ჯერჯერობით ჩვენ ვხედავთ, რომ მკვლელობის დაკვეთისთვის გასამართლებულია მხოლოდ პავლიაშვილის სიძე – ვახტანგ ჩხაპელია, პავლიაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი კი გაურკვეველია. მაინტერესებს, თავად პროკურატურა რას გეუბნებათ, რა ინტერესი ჰქონდა ჩხაპელიას, რომ თქვენი ძმის მკვლელობა დაეკვეთა?**

– ვერაფერს ვერ ასაბუთებენ. აღმოჩნდა, რომ ადამიანმა მკვლელობა დაუკვეთა, გაასამართლეს და თითქოს არანაირი ინტერესი მას არ ჰქონია. ავთო ადუაშვილის მოცილების ინტერესი ჰქონდა მხოლოდ სოსო პავლიაშვილს, რომელმაც ამ მიზნის მისაღწევად საქმეში ჩართო საკუთარი ოჯახის წევრები. ესაა ფაქტი და ამ ფაქტს ვერავინ გაექცევა, ყველაფერს დრო უნდა და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანები, დაწყებული ვახო ჩხაპელიათი და დამთავრებული კილერებით, თავადვე ალაპარაკდებიან. პირველი ჩხაპელია დაადებს ხელს საკუთარ ცოლისძმას და ამის მომსწრენი ვიქნებით ჩვენ ყველა. ჯერჯერობით ადვოკატებს უჭირავთ ეს უბედურები, რომლებსაც ძალიან დიდი ფული აქვთ აღებული. ვაპირებ უახლოეს დღეებში მივმართო სასამართლოსაც და ადვოკატთა ასოციაციასაც ამ ადვოკატების წინააღმდეგ. როგორ შეიძლება, მათ ადვოკატის მოწმობა ედოთ ჯიბეში. გაზეთში წერს ერთ-ერთი ადვოკატი, ლევან ჯავახაძე, რომ თითქოს ჩემმა ძმამ გადააგდო „ნაციონალური მოძრაობა“. ცდილობდნენ, პოლიტიკური კუთხით წაეყვანათ საქმე, როგორც ახლაა მოდაში. მაგრამ არ გამოუვათ. მაკა ავთოს მკვლელობის წინა დღეს ერევანში შეხვდა თავის ძმას, იქიდან ჩამოიტანა ფული და მეორე დღეს კლავენ ჩემს ძმას და ამისთვის ასამართლებენ მაკას ქმარს. დავიჯერო, კითხვები არ უჩნდება პროკურატურას ამ ყველაფერზე? ჰკითხონ, თუ არადა, მერე მეც აღარ მკითხონ არაფერი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# Airzena

35 წუთი და თქვენ უკვე ბათუმში ხართ!

სიახლე ავიაკომპანია
აირზენასგან!

1 აგვისტოდან
ყოველდღიური ფრენები ბათუმში!

დაგვიკავშირდით **2 505 005**
ან ეწვიეთ საიტს www.airzena.com




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ შეცვლის გიგი უგულავას

# სააკაშვილი და გაჩეჩილაძე მერის პოსტზე იყრიან კენჭს?

ნინო დათაშვილი

**ჯერ პრეზიდენტის ვინაობა არ გარკვეულა, თუმცა უკვე აქტიურად საუბრობენ მომავალ ადგილობრივ არჩევნებზე. ვინ გახდება თბილისის მერი – ახლა სწორედ ეს არის მთავარი ინტრიგა. პოლიტიკური პარტიები და ექსპერტებიც ერთხმად აღიარებენ, რომ გამარჯვებულის ვინაობა მაინც ცნობილია – პრეზიდენტის საპატიო ტიტულს გიორგი მარგველაშვილი მიიღებს.**

მეორე ადგილისთვის ნინო ბურჯანაძე იბრძვის, შანსები კვლევების მიხედვით დავით ბაქრაძეს აქვს...

ნინო ბურჯანაძე პირველად გადის არჩევნებზე, შესაბამისად, მისთვის მნიშვნელოვანია შედეგი და ციფრი. ეს განსაზღვრავს შემდეგ უკვე მის მადასა და სტატუსს ადგილობრივი არჩევნებისთვის. ეს ინტერესი აქვთ, ასევე, სხვა არასაპარლამენტო პარტიებს. მათ მოუწევთ, დაამტკიცონ, რომ ისინი სიცოცხლისუნარიანები არიან. ამიტომაც სწორება მათ სწორედ ადგილობრივ არჩევნებზე აქვთ.

საპრეზიდენტო მარათონის მიუხედავად, საუბრები მომავალ მერზე მაინც მიმდინარეობს კულისებში. მიუხედავად იმისა, რომ ახლა ყველა უარყოფს რაიმე სახის კონსულტაციებს ამ თემაზე, ფაქტია, რომ დახურულ ფორმატში თითოეული პარტია მერის კანდიდატურას განიხილავს.

ცნობილია, რომ ნინო ბურჯანაძის მხრიდან მერის ტიტულისთვის იბრძოლებს გიგლა ბარამიძე, თუმცა ბურჯანაძის ოფისში ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ, ისევე, როგორც არც ნაციონალების ოფისში ან „ქართულ ოცნებაში“ კეთდება განმარტებები.

როგორც მიანიშნებენ, საუბარი მაინც შეიძლება იყოს იმ ფიგურებზე, ვინც თითოეულ პარტიას შტაბის უფროსად ჰყავს გამწესებული. ანუ ნინო ბურჯანაძის შემთხვევაში თუ ეს გიგლა ბარამიძეა, ნაციონალების შემთხვევაში საუბარია სანდრო კვიტაშვილზე. „ქართული ოცნების“ შტაბს კი დავით საგანელიძე ხელმძღვანელობს. ეს მხოლოდ ლოგიკური დასკვნებია.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ სხვა კანდიდატებსაც ასახელებენ. მაგალითად, გიორგი ვაშაძეს, რომელიც ერთ-ერთი ახალი სახეა.

გამოითქვა ვარაუდი, რომ მერის პოსტზე კანდიდატურა შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილმაც დააყენოს. პრეზიდენტის სამომავლო გეგმებზე ჯერ კიდევ მიდის მკითხაობა. მას ხან საზღვარგარეთ უშვებენ, ხან – ციხეში. თავად სააკაშვილმა კი რამდენჯერმე გაიმეორა, რომ არსად წასვლას არ აპირებს და პოლიტიკაში რჩება. შესაძლოა, მერის კამპანიაში ჩართვაც ამიტომ უწინასწარმეტყველეს. აბა, სხვა რა უნდა გააკეთოს?

მოკლედ, საპრეზიდენტო არჩევნები დასრულებული არ იქნება, ახალი ხმაურია მოსალოდნელი ქართულ პოლიტიკაში. სააკაშვილი თუ მართლა ჩაერთო მერობის მარათონში, ეს ნიშნავს, რომ სწორება ხმაურიან ფიგურებზე გაკეთდება და მაშინ „ქართული ოცნებაში“ ლევან გაჩეჩილაძის კანდიდატურას დაუჭერენ მხარს.

ლევან გაჩეჩილაძე და მიხეილ სააკაშვილი ერთხელ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს საარჩევნო ტატამზე. 2008 წლის არჩევნების დროს პრეზიდენტობის მოვალეობას ნინო ბურჯანაძე ასრულებდა. მას შემდეგ დიდხანს ედავებოდნენ იმის გამო, რომ „გაერთიანებულ ოპოზიციას“ არჩევნები გაუყალბა და სააკაშვილი „გააპრავა“. რესპუბლიკელებს და არც თავად გაჩეჩილაძეს ნინოს ცრემლების არ სჯეროდათ.

**სანდრო ბრეგაძე არ გამორიცხავს სააკაშვილის მხრიდან მერობის არჩევნებში ჩართვის შესაძლებლობას.**

– სააკაშვილი შეიძლება მერობის კამპანიაში ჩაერთოს, მას იმდენად სურს ხელისუფლების დაბრუნება, რომ მაგასაც გააკეთებს. ხელისუფლების გარეშე ხომ ის არაფერს წარმოადგენს, ცარიელი ადგილია. მაგრამ განწირულია, აუცილებლად ის დამარცხდება. მას ხალხის მხარდაჭერა არა აქვს.

სანდრო ბრეგაძის განმარტებით, მერობის არჩევნებზე ბევრ სიურპრიზს უნდა ველოდოთ და ჯერ საკმაოდ ძნელია იმის თქმა, ვისი კანდიდატურა იქნება მხარდაჭერილი თუნდაც „ქართული ოცნების“ მხრიდან. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იმ მომენტისთვის ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან უკვე წასული იქნება.

კულისებში ამბობენ, რომ მერობის კანდიდატი შეიძლება გახდეს ირაკლი ალასანია და სალომე ზურაბიშვილი, ლევან ვასაძე და რომელიმე პრორუსი რადიკალი. მოკლედ, ბიძინა ივანიშვილმა იმდენად წაშალა ზღვარი პროდასავლურ და პრორუსულ ძალებს შორის, ანუ პოლიტიკური ველი ორივესთვის თანაბრად გახსნა და რუსულმა რადიკალიზმმაც უკვე ენა ამოიდგა.

ასე რომ, ვინ დაეპატრონება თბილისს მომავალში, ეს ნამდვილად დაემსგავსება ტროას ომს.

არჩევნები შემოდგომაზე ჩატარდება. მანამდე კი, სავარაუდოდ, არასაპარლამენტო პარტიები იმაზე იზრუნებენ, რომ ცესკოში ადგილები მოიპოვონ და კანონმდებლობა შეცვალონ. ნინო ბურჯანაძემ პრეტენზიები ბევრჯერ წამოაყენა. „რვიანი“ და „ექვიანი“ რომ იქმნებოდა და სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებებისთვის იბრძოდა, ახლა ყველა ის პარტია ხელისუფლებაშია და რატომ არ ხორციელდება ცვლილებები იგივე პარტიების დაფინანსების წესზეო. ასე რომ, არ არის გამორიცხული, ბევრი რადიკალური თემა დადგეს დღის წესრიგში თავისი რადიკალური ფიგურებით.

## სანდრო ბრეგაძე:

## „სააკაშვილი შეიძლება მერობის კამპანიაში ჩაერთოს, მას იმდენად სურს ხელისუფლების დაბრუნება, რომ მაგასაც გააკეთებს. ხელისუფლების გარეშე ხომ ის არაფერს წარმოადგენს, ცარიელი ადგილია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

# გია კორკოტაშვილი: „როგორც ვიცი, კოკო გამსახურდიას დანიშვნა უნდოდათ თამაზ ტყემალაძის მაგივრად“

**საზოგადოებრივ მაუწყებელს ახალი ბორდი ზუსტად სამ თვეში ეყოლება. დიდი ალბათობით ახალი ბორდი ახალი წლების შემდეგ ახალ დირექტორსაც აირჩევს. თუმცა მანამდე დაპირისპირება სულ ახალ და ახალ ეტაპებს გადის და პიკს მაშინ მიაღწია, როდესაც ირაკლი კაკაბაძე ტელევიზიასთან ფუნის ტომრით მივარდა და სროლა დაიწყო.**

**ირაკლი კაკაბაძე:**

**– ეს არის ნატურალური პროდუქტი და ეს არის ნაციონალების სახე. ეს ფუნა არის ჰერმეტულად დაცული. ამ ფუნიდან ნაციონალები ვეღარ გამრავლდებიან. მე ვაცხადებ სამოქალაქო დაუმორჩილებლობას.**

**მაუწყებელს აქამდე ყველაზე დიდ ქაოსს გოგა ხაინდრავას ვიზიტი უქმნიდა. ის ერთადერთი იყო, ვინც ჟურნალისტებს მიკროფონებსაც კი გლეჯდა ხელიდან და ტელევიზიის მისამართით ისროდა. ხაინდრავას რეკორდი ამჯერად კაკაბაძემ მოხსნა.**

**უკვე მერამდენედ გაიმართა აქცია, შეხვედრა, შეკრება, დაპირისპირება თითქმის კულმინაციას აღწევს. მთავარი ლოზუნგი არხიდან ნაციონალური სახეების ჩახსნა და ძველი ხელისუფლების გავლენებისგან განთავისუფლებაა.**

**პირველი ეტაპი კაკაბაძე-კორკოტაშვილისთვის მისაღები აღმოჩნდა. ეკა კვესიტაძისა და დავით პაიჭაძის ირმა ლეჟავათი და ეკა ბერიძით ჩანაცვლება ბრძოლის პირველი ეტაპის წარმატებულად დასრულებად შეფასდა. შემდეგი ეტაპი, მათი აზრით, ნაციონალური ბორდის ჩანაცვლება უნდა გახდეს. მთელი ვნებათაღელვაც სწორედ ამ გეგმებს უკავშირდება.**

**გია კორკოტაშვილი, რადიოწამყვანი:**

– სამ თვეში იქნება ახალი ბორდი, მანამდე არჩევნებია, ამიტომ ცოტა რთულია პროგნოზების გაკეთება. ნაციონალებს ახლაც შეეძლოთ, საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც გამოეყენებინათ „პირველი არხი“, როგორც უნდოდათ. უბრალოდ, ისე ვერ დაალაგეს, საზოგადოება დროულად ჩაერთო ამ ამბავში. როგორც ვიცი, კოკო გამსახურდიას დანიშვნა უნდოდათ თამაზ ტყემალაძის მაგივრად.

**– ვისი იდეა იყო ეს?**

– კოკო გამსახურდია ვისი კანდიდატურაა, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ... ნაციონალებს ბორდში ჰყავთ თავიანთი კადრები. როგორ ფიქრობთ, „ნაციონალური მოძრაობის“ აღზევების პერიოდში საზოგადოებრივ ტელევიზიაში რა საზოგადოება დაინიშნებოდა?! კითხვას ვსვამ და ძალიან მარტივია პასუხი, ის ადამიანები, ვინც ერთგულად ემსახურებოდნენ „ნაციონალურ მოძრაობას“.

**– კონკრეტულად გვითხარით, რა არის თქვენი მოთხოვნა?**

– ჩვენ ვითხოვდით იმას, რომ გაწონასწორებულიყო თემატიკა. თამაზ ტყემალაძე ხომ დანიშნეს გენერალურ დირექტორად, მან შეცვალა, პრინციპში, ბადე, რისი უფლებაც მას ჰქონდა. ორი პოლიტიკური თოქშოუს წამყვანი – ეკა კვესიტაძე და დავით პაიჭაძე ნამდვილად არ უნდა დარჩენილიყვნენ, რადგან ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები იყვნენ, ფაქტობრივად.

**– მაგ ლოგიკით, ეკა ბერიძეც და ნანა ლეჟავაც გარკვეულწილად მხარეებს არ წარმოადგენენ?**

– სად არიან ეკა ბერიძე და ლეჟავა? სად არიან ეგენი, რატომ მისვამთ მაგ კითხვას? არიან ეგენი საზოგადოებრივ არხზე?

**– ახლა უკვე დანიშნულები არიან. ხელი მოეწერა შეთანხმებას.**

– არა მგონია.

**– როგორც თქვენ წეღან აღნიშნეთ, ბორდში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არიან, ტყემალაძე „ოცნების“ გეგმის მხარდამჭერია. როგორ უნდა მოგვარდეს პრობლემა? გამოსავალი რა არის?**

– პრობლემა არის შემდეგნაირი, საზოგადოებრივ მაუწყებელზე მომუშავე ყველა ადამიანი, ჩემი აზრით, უნდა იყოს საზოგადოებისთვის მისაღები ადამიანი. ის არ უნდა იყოს მხარე.

**– ანუ თვლით, რომ ბორდი უნდა შეიცვალოს?**

– ბორდი ყველა ვარიანტში უნდა შეიცვალოს.

**– რაც შეეხება ტყემალაძეს, ვინ შეიძლება შეცვალოს ის?**

– ის დროებით დანიშნული გენერალური დირექტორია. ერთ თვეში უნდა შედგეს ხელმეორე არჩევნები და დააყენებენ სხვა კანდიდატურას. ან თუ მოეწონებათ მისი მუშაობა, ბორდი დატოვებს ისევ.

კულუარებში და უკვე ღიადაც კოკო გამსახურდიას გვარმა გაიჟღერა. თავად გამსახურდია ოფიციალურად არსად არ ადასტურებს მაუწყებელზე მისვლას. თუმცა რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა ქართულმა საინფორმაციო სააგენტო „ტელეგრაფმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ კოკო გამსახურდიასა და ბორდის წევრებს შორის შეხვედრა შედგა. „ტელეგრაფის“ ინფორმაციით, გამსახურდიამ და ბორდის შვიდივე წევრმა საიდუმლო ვახშამი მცხეთაში გამართეს და სწორედ იქ განიხილეს გამსახურდიასა და მაუწყებლის სამომავლო გეგმები. შეხვედრის მთავარი თემა, როგორც ამბობენ, მაუწყებლის მონიტორინგის ხელმძღვანელის პოსტის ვაკანტური თანამდებობა იყო. გოგუაძის განცხადებით, კონსტანტინე გამსახურდიას კანდიდატურა სწორედ ამ თანამდებობაზე განიხილება. რესტორან „არმაზის წყაროში“ შეხვედრა დაადასტურეს რესტორნის თანამშრომლებმა და ოფიციანტებმაც. შეხვედრის შესახებ „ტელეგრაფთან“ ისაუბრა ასევე მაუწყებლის ბორდის თავმჯდომარემ, ემზარ გოგუაძემ.

**ემზარ გოგუაძე:**

– კონსტანტინესთან ვახშმობა დანაშაულია? მე მასთან ერთად გავიზარდე. ზვიადი ჩემი უახლოესი, უფროსი მეგობარი იყო, მე და მისი შვილი კი ბავშვობიდან ერთად მოვდივართ. კონსტანტინესთან ერთად პირველად ხომ არ მივახშმია? მასთან ერთად მცხეთაში კი არა, სად არა ვარ ნამყოფი. ჩვენი შეხვედრა ჩვენი პირადი საქმეა. ვის რაში უნდა აინტერესებდეს ეს? ბატონ კონსტანტინესთან საუბარია მონიტორინგის სამსახურზე და მომავალში მის უფროსობაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი თანამდებობაა. დღეისთვის ჩვენთან შიდა აუდიტი მუშაობს, რომელსაც ასევე სამეურვეო საბჭო კურირებს. მას ორი ინსტრუმენტი აქვს, ესაა აუდიტი, რომელიც მონიტორინგს ფინანსური კუთხით აწარმოებს და ასევე, პირდაპირი მონიტორინგის სამსახური, რომელიც მონიტორინგს მაუწყებლობის კუთხით აწარმოებს, ანუ გადაცემებზე, მათ შინაარსსა და ასე შემდეგ. ამჟამად მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელის პოსტი თავისუფალია და გამსახურდიასთან კონსულტაციებს სწორედ ამ თემაზე გავდივართ, მაგრამ ამას ერთპიროვნულად მე ვერ გადავწყვეტ, რადგან მონიტორინგის სამსახური უფროსი ბორდისა და გენერალური დი-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ზე კოკო გამსახურდია ინიშნება?

**„ნაციონალებს ბორდში ჰყავთ თავიანთი კადრები... რა საზოგადოება დაინიშნებოდა?! ის ადამიანები, ვინც ერთგულად ემსახურებოდნენ „ნაციონალურ მოძრაობას“**

**ლაშა ტულუში:**
**„ახლა მნიშვნელობა არ აქვს, ვინ საით არის, ჩვენ თავის დროზე დავუშვით შეცდომა, როდესაც გვქონდა საშუალება, რომ პარლამენტს მიეღო სწორი გადაწყვეტილება – ახალ პრინციპებზე დაბალანსებული, დამოუკიდებელი ბორდი ჩამოეყალიბებინა და ამის გაკეთება არ ვაიძულეთ...“**

რექტორის შეთანხმებით ინიშნება.

გამოდის, კონსტანტინე გამსახურდიას თანამდებობაზე დანიშვნა-არდანიშვნა ემზარ გოგუაძემ ტყემალაძესთან ერთად უნდა გადაწყვიტოს. თუმცა მაუწყებლის დირექტორმა, თამაზ ტყემალაძემ პირველად გაიგო ახალი სამსახურის შექმნის შესახებაც და მით უფრო კოკო გამსახურდიას ტელევიზიაში მოსვლის შესახებ.

**თამაზ ტყემალაძე, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი:**

– წარმოდგენაც კი არა მაქვს მაგის შესახებ, პირველად მესმის. შეუძლებელია, ასე თავის ჭკუაზე ატრიალონ ეს ამხელა ტელევიზია. წარმოდგენა არ მაქვს მონიტორინგის სამსახურის შექმნაზე, არავითარი ინფორმაცია არ მაქვს.

სხვათა შორის, კოკო გამსახურდიას პირველად ტელევიზიის დირექტორობის ამბიცია ჯერ კიდევ მარტში ჰქონდა, როდესაც ბორდმა გიორგი ბარათაშვილი პირველად გაუშვა სახლში. თუმცა მაშინ მან რატომღაც თავი შეიკავა სურვილის ხმამაღლა გაჟღერებისგან. ახლა, როგორც ჩანს, ღიად გამოჩენას აღარ მოერიდება.

სანამ მანამ მაუწყებელს ახალი დირექტორი ეყოლება, სავარაუდოდ, ქაოსურ პროცესებში მოუწევს მუშაობა. ლაშა ტულუშის განცხადებით, მთავარი შეცდომა მთავრობასთან კომპრომისზე წასვლა იყო, რამაც საბოლოოდ ახალი ბორდის არჩევა ახალ წლამდე გადასწია...

**ლაშა ტულუში, მედიაექსპერტი:**

– არ ვიცი, ტყემალაძე ვისი მომხრეა, არ მახსოვს მას „ოცნების“ მხარდამჭერი განცხადება გაეკეთებინოს. რაც შეეხება ბორდს, ისინი თავის დროზე უმრავლესობამ დააკომპლექტა. თუმცა ახლა მნიშვნელობა არ აქვს, ვინ საით არის, ჩვენ თავის დროზე დავუშვით შეცდომა, როდესაც საშუალება გვქონდა, რომ პარლამენტს სწორი გადაწყვეტილება მიეღო – ახალ პრინციპებზე დაბალანსებული დამოუკიდებელი ბორდი ჩამოეყალიბებინა და ამის გაკეთება არ ვაიძულეთ. პარლამენტში ასევე შევიდა მაუწყებლის შესახებ ცვლილებების განხილვა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ეს ცვლილებები ძალაში შევა იანვრიდან. პრობლემაც სწორედ ეს არის. დღეს არის ვითარება, როდესაც ვართ გაუგებრობაში. ბორდში 15 წევრია და მათგან დღეს სახეზე მხოლოდ ცხრაა. ეს ბორდი ერთპარტიულია, ისინი დირექტორს ხან ნიშნავენ, ხან ხსნიან, გაუგებარია ვალების საკითხი. სამწუხარო ის არის, რომ იხარჯება ბიუჯეტის ფინანსები ამ ქმედებებზე. ყოველ ჯერზე იქმნება ისეთი სიტუაცია, რომ ძაბავს ვითარებას. მოკლედ, ჩვენ ვკარგავთ დროს. იანვრიდან დაიწყება ბორდის შეცვლის პროცესი.

**– ახალ დირექტორს ისევ მოქმედი ბორდი აირჩევს?**

– სწორედ ეს არის პრობლემა. არავინ იცის, რა იქნება, შეიძლება ის ახალი დირექტორი თავადვე არ მოეწონოთ და ისევ მოხსნან, ან ისეთს დანიშნავენ, რომ პოლიტიკურად იქნება ანგაჟირებული. სიტუაცია ძალიან არაპროგნოზირებადია. მუდმივად კონფლიქტური სიტუაციის მოლოდინში ვართ.

**– გამოდის, გამოსავალს ვერ ხედავთ, სანამ ახალი ბორდი არ აირჩევა და ახალი დირექტორი არ დაინიშნება?**

– თავის დროზე უნდა ყოფილიყო მიღებული სწორი გადაწყვეტილება და ამოქმედებულიყო საჭირო ნორმა. ამ გადაწყვეტილებამ გადაიწია და ეს იყო კომპრომისი, რომელმაც არ გაამართლა. ეხლა დარჩა სამი თვე. ძველი ბორდი ცდილობს, კუდი მოიქნიოს. ისიც პრობლემაა, რომ დირექტორი უნდა აირჩიონ გაგანია არჩევნების დროს.

**– როგორ ფიქრობთ, რაიმე გეგმა შეიძლება ჰქონდეთ ნაციონალებს მაუწყებელთან დაკავშირებით?**

– ვერ გეტყვით, თუ ისინი ფიქრობენ და იბრძვიან პოლიტიკურად, ცხადია, გეგმები ექნებათ. მე მინდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი რაც შეიძლება დროზე დადგეს ფეხზე და დაიწყოს ჯანსაღი პროცესი. თუმცა არ არის გამორიცხული, ბორდმა რაიმე გადაწყვეტილება მიიღოს, ცვლილებები განახორციელოს და შემდეგ ახალ ბორდს მოუწიოს ამ არასწორი ნაბიჯების გამოსწორება...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ამ წუთში მე ამ სპეკულაციების



## „ამ შეცდომის პირველი მსხვერპლი საზოგადოება და სამართალდამცავი უწყებები იყვნენ“

## EXCLUSI

## „არ განვიხილავ არც ერთ შემთხვევას. ორივე აბსურდული მგონია“

ქეთი ხატიაშვილი

**ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება სააკაშვილის ხელისუფლების დროსაც ხორციელდებოდა. ასე რომ, ამ პროცესთან ბრძოლის გამოცდილება წინა ხელისუფლებასაც აქვს. მაშინ პირველად შევიდა კოდექსში შესაბამისი სანქციები, ახალი ხელისუფლება ამჯერად კანონმდებლობას უფრო ამკაცრებს.**

**მაშინ სააკაშვილის ხელისუფლებაში, ნიკა გვარამია ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც სხვებთან ერთად პარლამენტში ამ პროცესში იყო ჩართული. ახლა კი ის „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორია. სწორედ იმ ტელეარხის, სადაც ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება ყველაზე ბევრჯერ განხორციელდა.**

**როგორ იხსენებს მაშინდელ პროცესებს ნიკა გვარამია ახლა და როგორ აფასებს ის მოქმედი ხელისუფლების მეთოდებს. რა ინვევს ცრუ შეტყობინებებს და რამდენად სახიფათო შეიძლება გახდეს ის არჩევნების დღეს. „პრაიმტიამს“ „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ესაუბრა:**

– „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ამ კონკრეტულ მუხლზე არ მიგვიღია ჯარიმა, ჩვენ ზოგადად მივიღეთ პრინციპი, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ან სისხლის სამართალშიც თუ ჯარიმა ეკისრება არასრულწლოვანს, ამ ჯარიმის გადახდის ვალდებულება აქვთ მშობლებს.

დღეს ხელისუფლებას კოდექსი აძლევს იმის უფლებასა და შესაძლებლობას, რომ დააჯარიმოს არასრულწლოვანი.

დიახ, თუმცა ამ მუხლზე ეფექტური ჯარიმა არ არის, ამიტომაც შედიან ინიციატივით, რომ უფრო მაღალი ჯარიმა იყოს, რაც ადეკვატურია და რამდენიმე პრეცედენტის არსებობის შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, უფრო მეტ კონტროლს განახორციელებენ ის ადამიანები, ვის მეურვეობაშიც არიან ეს არასრულწლოვნები.

**– რა იწვევს, ასეთი ტიპის ქმედებებს?**

– საერთოდ, ასეთი ტიპის ისტერიები მაშინ ხდება, როდესაც ჩნდება შეგრძნება, რომ სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი შესუსტებულია. ამას ძალიან ბევრი გარემოება და ფაქტორი იწვევს... ახალი ხელისუფლების პირობებში ეს ხშირად ხდება. სამწუხაროდ, ეს ამ ხელისუფლების პრობლემაა, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ პრობლემაც იყო პირველ პერიოდში, როდესაც ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ.

**– თქვენს ხელისუფლებაში დაკავებების ტალღა თითქმის მაშინვე დაიწყო და სისუსტის შეგრძნება რატომ გაჩნდა?**

– ეს არ არის ურთიერთკავშირში და სხვათა შორის, ეს არ ვრცელდება მხოლოდ ძალოვან უწყებებზე. ანუ ამ ფონს არ ქმნის მხოლოდ ძალოვანი უწყებების მუშაობა და ზოგადად მთავრობა. მთავრობის ეფექტურობა, ანუ სისტემური მდგრადობა, როდესაც შეგრძნებაა, რომ შენს ზემოთ ადმინისტრაციულ ვერტიკალში ვიღაც არსებობს.

რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, კარგია, როდესაც მთავრობის არსებობა არ იგრძნობა, სანამ მისი საჭიროება არ არის. კარგია, როდესაც მთავრობა ხშირად არ ერევა საზოგადოების ცხოვრებაში, მაგრამ, მეორე მხრივ, უნდა არსებობდეს იმის განცდა, რომ საერთო თამაშის წესები არსებობს, რომელთა დარღვევა სანქცირდება გარდაუვლად. ეს არ არის მარტო სამართალდამცავი ორგანოების ფუნქცია. ეს არის ზოგადად პოლიტიკური ძალების ფუნქცია, რომლებიც მართავენ ქვეყანას და ეს საზოგადოებაში უნდა იგრძნობოდეს.

დღეს ამის შეგრძნება, გულწრფელად მინდა ვთქვა, რა თქმა უნდა, შესუსტებულია. ამიტომ, მაგალითად, მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო ან პროკურატურა ამას ვერ მოერევა, იმიტომ რომ მათი ფუნქცია უფრო მეტად არის გამოვლენა და შემდგომში დასჯა... ისინი ფაქტებზე რეაგირების ფორმატში მოქმედებენ და აი, ამ ფაქტამდე რომ არ მივიდეს ადამიანი, მისი ფსიქოლოგია უნდა იყოს მზად იმისთვის, რომ მან არ უნდა ჩაიდინოს გადაცდომა. ეს ფსიქოლოგიური მზაობა პრობლემა ხდება მაშინ, თუ ეფექტურია მთავრობის ფაქტორის შეგრძნება... ეს ხდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის პირველ პერიოდშიც.

ასე რომ, ამას აქვს ობიექტური წანამძღვრებიც, მაგრამ სუბიექტური პრობლემებიც არსებობს, რომელიც ამას განაპირობებს.

ვფიქრობ, ხელისუფლების მხრიდან გადადგმული ნაბიჯები სწორია, უბრალოდ, ამას ბოლომდე უნდა მიყვანა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პასუხისმგებლობა უნდა გამკაცრდეს. ზოგჯერ ამბობენ: მიდგომები ლიბერალური უნდა იყოსო... არასწორი მიდგომაა. ლიბერალური თუ მკაცრი, ამას გარემოება განაპირობებს. ზოგადად, აპრიორში სისხლის სამართლის კანონმდებლობა ლიბერალური უნდა იყოს – ეს მცდარი მოსაზრებაა. სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა უნდა იყოს ადეკვატური. თუ, მაგალითად, დღეს ჩვენი მასობრივი პრობლემა არის ქურდობა ან ყაჩაღობა, მაშინ ამაზე უნდა გადაეწყოს სამართალდამცავი ორგანოები და, შესაბამისად, კანონმდებლებიც და სისხლის სამართლის პოლიტიკა მათ უნდა განსაზღვრონ. სასამართლო არ განსაზღვრავს სისხლის სამართლის პოლიტიკას, კანონმდებელი და მთავრობა განსაზღვრავს და შემდეგ სასამართლო ადეკვატურად მიჰყვება ამ პროცესს. მაგალითად, თუ ქურდობაა პრობლემა, კიდევ ერთხელ მკაცრდება სანქცია, ერთის მხრივ, და სასამართლოც სასჯელის შეფარდების დროს იმით ხელმძღვანელობს, რომ ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა და ამიტომ ეს პოლიტიკაც მკაცრი უნდა იყოს და სასჯელი უფრო მაღალი უნდა შეეფარდოს.

მეორე მხრივ, თუ ეს პრობლემა უკან მიდის, ასევე ადეკვატურად უნდა გახდეს სანქციები ლიბერალური.

სწორედ ეს იყო „ნაციონალური მოძრაობის“ დროს პრობლემა. მაგალითად, აბსოლუტურად სწორი იყო ნულოვანი ტოლერანტობა, რადგან ეს მაშინ საჭირო იყო. რა სპეკულაციებიც არ უნდა იყოს ამასთან დაკავშირებით, ეს იყო სწორი გადაწყვეტილება... მაგრამ ასევე სწორი იქნებოდა ის გადაწყვეტილება, რომ იმ ეტაპზე, როდესაც დანაშაული საზოგადოებრივი პრობლემა აღარ არის (და მართლა იყო წინა ხელისუფლების

პერიოდში ასეთი ეტაპი, როდესაც საზოგადოებრივი უსაფრთხოება სერიოზულად იყო გარანტირებული), მაშინ ლიბერალიზაციისკენ გარკვეული ნაბიჯები უნდა გადადგმულიყო. თუმცა რაღაც ნაბიჯები ცოტა დაგვიანებით გადაიდგა, მაგრამ ამას შესაძლოა, უფრო მასშტაბური ფორმაც ჰქონოდა.

აქაც ზღვარია გასავლები, როგორც კი ქაოსური ლიბერალიზაცია ხდება – რაც ახალმა პარლამენტმა გააკეთა და რასაც, სხვათა შორის, სამართალდამცავი სტრუქტურები ეწინააღმდეგებოდნენ და სწორადაც იქცეოდნენ – ასეთი ქაოსური ლიბერალიზაცია ქაოსურ პროცესებს იწვევს და შესაბამისად, კრიმინალის კონტროლიც რთული ხდება.

**– ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ამნისტიაც იყო?**

– რა თქმა უნდა, ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ. ეს იყო შეცდომა, პოლიტიკური თვალსაზრისითაც და სახელმწიფოებრივი კუთხითაც. ამ შეცდომის პირველი მსხვერპლი საზოგადოება და სამართალდამცავი უწყებები აღმოჩნდნენ. ძალიან ცუდი შედეგები გამოიღო მათთვის, მით უმეტეს, როცა ახალ მინისტრზე და შემადგენლობაზე ვლაპარაკობთ, რომლებიც ჯერ კიდევ ეჩვევიან სიტუაციას და ძალიან მძიმე სტრუქტურის გადაბარება ხდება, მით უმეტეს, როდესაც პოლიტიკური ძალების შეცვლა უმტკივნეულოდ არ მომხდარა, ამ ვითარებაში ამ პროცესმა საერთოდ მძიმე მასშტაბები მიიღო.

**– თუმცა უსუფაშვილმა ამნისტია შეაფასა, როგორც ისტორიული ფაქტი... ფიქრობთ, რომ ის გულწრფელი იყო შეფასებაში?**

– არ ვიცი. დავით უსუფაშვილმა, როდესაც პრეზიდენტმა ხელი არ მოაწერა ამნისტიას, ისიც თქვა: „მე ვიღებ მთელ პასუხისმგებლობას და ვანერ ხელსო“. მე ამ ნაბიჯს არც ერთ შემთხვევაში არ გადავდგამდი და უბრალოდ, არ ვფიქრობ, რომ ეს სწორი ნაბიჯი იყო, მით უმეტეს „ისტორიულისგან“ ძალიან შორს არის, განსაკუთრებით ე.წ. პოლიტპატიმრების ნაწილში. არ მგონია, ისტორიული ჟესტი იყო, ეს იყო შეცდომა, როგორც სტრატეგიული, ასევე პრაქტიკული და პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

**– ანონიმური შეტყობინებები ბომბების არსებობის თაობაზე შეფასდა, როგორც მიზანმიმართული აქტი... ასეთი ვარაუდი ბევრმა გამოთქვა, მათ შორის, თქვენც...**

– დიახ, ძალიან ბევრმა გამოთქვა ეს ეჭვი, დამირეკეს, „დამისტატუსა“ ასობით ადამიანმა, მოსასმენ აპარატურას დებენ „რუსთავი 2“-ის ოფისშიო. მაგრამ პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის უსაგნო სპეკულაცია. არ ვარ პროვოკაციული ადამიანი, რამდენიმე ტელევიზიის დირექტორი ვიცი, ვინც ამას აუცილებლად გააკეთებდა, მაგრამ ასეთი სპეკულაციების წამოწყება არასოლიდური და არასერიოზულია.

თუ ეს მიზანმიმართული პროცესია, ყველა ვიხილავთ და ძალიან მალე, თუ ასეთი ზარები არჩევნების პერიოდში არა მხოლოდ ჩვენს, არამედ საარჩევნო კომისიების წინააღმდეგაც, ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ეთერის დროს განხორციელდება, – თუნდაც არასრულწლოვნების მხრიდან. სხვაგვარი სიტუაცია შეიქმნება. ვინ თქვა, რომ არასრულწლოვნებს არ შეიძლება დაარეკინონ, შეიძლება ეს მოხდეს და ისინი იარაღად გამოიყენონ. ამ წუთში მე ამ სპეკულაციების არავითარი საფუძველი არ მაქვს. ახლოვდება ძალიან პრინციპული პერიოდი და ამ პერიოდში ასეთი იარაღის გამოყენებამ ჩვეულებრივად შეიძლება ეს პროცესი ჩაშალოს.

**– მსს მხრიდან მიღებულ ზომებზე, იგივე პარლამენტსა თუ აეროპორტში შესული ზარების გამო რას იტყვით?**

– რასაც ვხედავ, ჯერჯერობით ყველა ზარის ავტორი დააკავეს.თუმცა გაშვება მოუწიათ, რადგან არასრულწლოვნები იყვნენ და არ შეიძლებოდა მათი დაკავება. ყველაზე უფრო ადეკვატური მგონია ის, რომ ამ მიმართულებით მკაცრდება კანონმდებლობა. მართალია, ერთგვარი წინაპოზიციური გამონათქვამების ტყ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# არავითარი საფუძველი არ მაქვს“

## ნიკა გვარამია: „რუსეთს არ სჭირდება არავინ, ვინც საქართველოში პროცესებს ეფექტურად წარმართავს და გააკონტროლებს. რუსეთს სჭირდება სუსტი ხელისუფლება საქართველოში, სადაც თვითონ იქნება ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი“

ვეობაში აღმოჩნდნენ, პირველ რიგში, პარლამენტის წევრები, რომ ყველაფერი ლიბერალური უნდა იყოს და არაფრის გამკაცრება არ შეიძლება, ეს არასწორია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, რა თქმა უნდა, კარგია, რომ ეს განხორციელდა და ამ მიმართულებით სწრაფად გადაიდგა საკმაოდ ეფექტური ნაბიჯები.

**– თქვენ თქვით, რომ არჩევნების დღეს შესაძლოა, პროცესი ჩაშლის პირას დადგეს... შეიძლება საუბარი იმაზე, რომელ ძალებს შეიძლება აწყობდეთ ეს...**

– რამდენი ძალა იცით, ვინც გვერდით გვყავს, ვისაც ყველანაირი ჩიხი აწყობს საქართველოში? რაც მეტი არეულობა იქნება, მით უკეთესი...

**– პრორუსულ ძალებს გულისხმობთ, მაგალითად, ნინო ბურჯანაძეს?**

– არა, ნინო ბურჯანაძეზე ვერ ვიტყვი. ცხადია, რუსეთს ვგულისხმობ. მას არც ამ მთავრობის ეფექტურობა აწყობს, აბსოლუტურად არაფერში სჭირდება რუსეთს ამ მთავრობის წარმატება. გინდა რიტორიკა დაათბოს და რაც გინდა, ის ქნას. მას სჭირდება სუსტი საქართველო. მას არ სჭირდება არავინ, ვინც საქართველოში პროცესებს ეფექტურად წარმართავს და გააკონტროლებს. რუსეთს სჭირდება სუსტი ხელისუფლება საქართველოში, სადაც თვითონ იქნება ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი.

**– სოცქსელებში ითქვა, რომ ზარების უკან დგანან ნაციონალები,ზოგიერთი თითს მოქმედი ხელისუფლებისკენ იშვერს...**

– არ განვიხილავ არც ერთ შემთხვევას. ორივე აბსურდული მგონია, არც ერთი თქვენ მიერ დასახელებულის ინტერესში ეს არ შედის. მოქმედ ხელისუფლებას, რატომ უნდა აინტერესებდეს ის, რომ მისი სისუსტე იყოს დემონსტრირებული ყოველწამიერი კოლაფსების მეშვეობით? ეს ხომ ხელისუფლების სისუსტის ინდიკატორია.

**– ნაციონალებს რატომ არ სჭირდებათ?**

– „ნაციონალებსაც“ რაში უნდა სჭირდებოდეთ. ჯერ ერთი, ეს უზარმაზარი რისკია. ამაში პოლიტიკური ძალა რომ „გამოიჭირონ“, ეს უზარმაზარი რისკია და არანაირი ეფექტი არ აქვს.

**– ძალიან სკანდალური და ხმაურიანი იყო თქვენი ინტერვიუ, სადაც თქვით, რომ თინა ხიდაშელმა ერთ-ერთ ცნობილ ტელეწამყვანს, რომელთანაც არხი მოლაპარაკებებს აწარმოებდა, ურჩია, – „რუსთავი 2“-ში არ გადახვიდე, ის წლის ბოლომდე დაიხურება და ამაზე პირადად მე ვიზრუნებო... ხიდაშელთან გქონდათ ამ თემაზე საუბარი?**

– არა, რატომ უნდა მქონოდა? თინა ხიდაშელმა ძალიან კარგად იცის, რომ ეს ნათქვამი აქვს და ისიც იცის, ვის უთხრა.

**– და ამიტომ არც გამოგხმაურებიათ?**

– არა.

**– ელოდებით არჩევნების შემდეგ გარკვეულ ქმედებებს ხელისუფლების მხრიდან? მაგალითაც, ჩვენ ვხედავთ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ განვითარებულ მოვლენებს...**

– აბსოლუტურად არ ველოდები. „რუსთავი 2“ და „პირველი არხი“ – ეს არ არის ერთი და იგივე. „რუსთავი 2“ ახლა ისეთი ძლიერია, როგორც არასდროს, ისეთ ხარისხიან ტელეპროდუქციას ქმნის, როგორც არასდროს. იმდენი შემოსავალი აქვს, როგორც არასდროს. „რუსთავი 2“ საქართველოში ერთადერთი მომგებიანი ტელევიზიაა. თან, მერწმუნეთ, კარგად მომგებიანი, ამიტომ ცუდს არაფერს ველოდებით.

**– ბევრს გააღიზიანებს თქვენი განცხადება.**

– გააღიზიანებს. მე ეს დავწერე კიდევაც. ეს არის ერთადერთი ტელეკომპანია, რომელსაც მოგება აქვს, შარშანდელ წელთან შედარებით სარეკლამო ბაზარი შემცირდა, მაგრამ „რუსთავი 2“-ის შემოსავალი პირიქით, გაიზარდა. ასე რომ, ცუდს არაფერს ველოდებით, თუ, რა თქმა უნდა, ვინმეს პოლიტიკური ნებითა და უხეში ძალით ლამის „ბეტეერით“ აქ არ შემოვლენ. სხვანაირად ეს შეუძლებელია.

**– რადგანაც თინა ხიდაშელმა ეს განაცხადა, ალბათ, გარკვეული გეგმაც არსებობს?**

– მე ეს გეგმები აბსოლუტურად არ მაღელვებს. ვიცი ჩვენი პოზიციის სიმყარე და ვიცი, რომ სიმართლის გატანას ბოლომდე შევძლებთ.

**– მით უმეტეს, ამ განცხადებას დაემთხვა, რომ თქვენ დაგიბარეს თინა ხიდაშელის კომისიაში.**

– აქაც არ მინდა უსაფუძვლო სპეკულაციებსა და შეთქმულების თეორიებში შევიდე, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს საეჭვო იყო... დიახ, ლოგიკა ამაში იკითხება. ამას დრო აჩვენებს... მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს აბსოლუტურად ვერანაირ ეფექტს ვერ მოიტანს. ჩვენ მყარად ვდგავართ და ძლიერები ვართ.

**– როგორც გაჟღერდა, რაღაც ინფორმაცია არ მიანოდეთ....**

– არ მივაწოდე იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არაუფლებამოსილმა პირმა მოითხოვა. იურიდიულ საკითხებში ნამდვილად რთულია ჩემი გაცურება. არაუფლებამოსილი პირის მონერილობებს მე არ ვუპასუხებ. გინდა თინა ხიდაშელი იყოს, გინდა პრემიერი და გინდა პრეზიდენტი. თინა ხიდაშელმა, მომმართა, როგორც თინა ხიდაშელმა. მე მჭირდებოდა კომისიის გადაწყვეტილება, რაც არ მოუციათ. სხვათა შორის, ეს ახსნა-განმარტებაც მივეცი. უმარტივესი იყო, რომ კომისიის გადაწყვეტილება გადმოეგზავნათ. როგორც ჩანს, დღემდე ასეთი გადაწყვეტილება არ არსებობს. თუ მოგვწერენ, არავითარი პრობლემა არ იქნება ახსნა-განმარტების მიცემის. სხვათა შორის, ამას ახსნა-განმარტების მიცემა ჰქვია და არა დაკითხვა.

**– ყველა ტელევიზია აღიარებს „რუთავი 2“-ის ლიდერობას, იქიდან გამომდინარე, რომ სწორება მაინც ამ ტელევიზიაზე ხდება. როგორ სტაბილურადაც არ უნდა გრძნობდეთ თავს და თავდაჯერებულები იყოთ, ფიქრობთ, რომ რთული პერიოდი იწყება „რუსთავი 2“-ისთვის კონკურენციის თვალსაზრისით?**

– მარტივი არც წინა პერიოდი ყოფილა, კონკურენცია გაზრდილია, გამწვავებულია. ჩვენ ჩვენი ამოცანები და მეთოდები გვაქვს. იმედი გვაქვს, რომ არა თუ შევინარჩუნებთ, არამედ გავზრდით ჩვენს უპირატესობებს.

**– ჩემთვის ტელევიზია არის, მაგალითად, „მაესტრო“, „იმედი“... „რუსთავი 2“ უკვე ტელეინდუსტრიაა...**

– გეთანხმებით, რანგით უფრო ზემოთ დგას. „რუსთავი 2“ გამოირჩევა, პირველ რიგში, ხარისხით და ახლა უკვე დაბალანსებულობითაც. რა თქმა უნდა, ამ მხრივ, პრობლემები იყო, თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს არ არის პრობლემა ტელევიზიისთვის იმ თვალსაზრისით, რომ ამ არჩევანში ტელევიზია თავისუფალია. ტელევიზიას შეუძლია, რომ დაუბალანსებელი ნიუსი ჰქონდეს და ერთი კონკრეტული მიმართულებით იხედებოდეს, მაგრამ მე მაინცდამაინც ეს არ მომწონს. ამიტომ ახლანდელი ჩვენი არჩევანი არის დაბალანსებული ნიუსი, რომელიც უფრო საინტერესოა მაყურებლისთვის. ჩვენი რეიტინგებიც ამას ამტკიცებს.

**– ეს ბალანსის ფუფუნება, რაც თქვენ ახლა ახსენეთ, რომელიც ადრე არ ჰქონდა „რუსთავის 2“-ს, ეს შესაძლებლობები ახალმა ხელისუფლებამ მოგცათ?**

– პირველ რიგში, ეს მოიტანა ფინანსურმა დამოუკიდებლობამ, ეს მოიტანა ახალმა ხელმძღვანელობამაც და მათ შორის მფლობელებმა. ეს ხომ მფლობელის ასარჩევია, მედია როგორი გზით წავა. არა მგონია, წინა ხელისუფლების დროს, მფლობელს რომ მოენდომებინა, უფრო დაბალანსებული ნიუსი ჰქონოდა, ეს დააქცევდა ან ტელევიზიას ან მფლობელს. ვაღიარებ, რომ რაღაც თვალსაზრისით პრობლემები ამ მიმართულებით იყო, თუმცა ახლაც არის. გულწრფელად რომ ვთქვათ, მედია სრული თავისუფლების მდგომარეობაში არ იმყოფება, იმიტომ რომ „რუსთავი2“-ზე შეტევები რამდენჯერმე მოხდა. თინა ხიდაშელი ახსენეთ, პრემიერმაც რამდენჯერმე აბსოლუტურად არასწორად და ცუდ კონტექსტში მოიხსენია ჩვენი არხი. ასეთი შეცდომები ახლაც არის. „რუსთავი 2“-ის მთავარი დამოუკიდებლობის გარანტია მფლობელების პოზიციაა. მათი ამოცანაა, რომ არხი იყოს ყურებადი და უკვე კონტენტის განსაზღვრა ტოპმენეჯმენტის მიერ, მათ შორის ჩემ მიერაც, ხდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ჩვენი სარედაქციო პოლიტიკა არ გვაქვს და სტერილურები ვართ საკუთარი შეხედულებებისგან, ეს ასე არ არის და ვერც იქნება. არც ერთი ტელევიზია ასე არ არის. გვაქვს ჩვენი წითელი ხაზები, რომლებიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ჩვენ ეს წითელი ხაზები კი კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებსა და ძალებზე არ გადის. გადის კონკრეტულ ფასეულობებსა და ღირებულებებზე. შესაბამისად, ამ წითელ ხაზებს შიგნით ვმოძრაობთ.

**– რამდენად დამაჯერებელია თქვენგან ამისი თქმა...**

– მე ვის ვაძლევ ხმას არჩევნებზე, მგონი, მეორეხარისხოვანი პრობლემაა. არ ვარ „ნაციონალური მოძრაობის“ სახე უკვე სამი წელია. ვფიქრობ, რომ დამაჯერებლობის მთავარი კრიტერიუმი არის ის რეზულტატი, რომელსაც მე და ჩემი არხი ვდებთ. დანარჩენი მკითხაობაა. შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ეს ასეა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

**my View**
მირიან ბოქოლიშვილი

ორიოდე დღის წინ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი, ოლეგ მელნიკოვი უკრაინიდან საქართველოში ჩამოიყვანეს. სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებული კუდ-ის ექსჩინოსნის ექსტრადიცია გაძლიერებული ბადრაგის თანხლებით განხორციელდა. რა კუთხით მონაწილეობდა მელნიკოვი გირგვლიანის საქმეში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას გირგვლიანთან ერთად ოქროყანაში გატაცებულ ლევან ბუხაიძის ჩვენებაზე დაყრდნობით შევეცდებით, რომელიც მან კბილაშვილის უწყებას ახალი გამოძიების პროცესში მისცა. მანამდე კი შეგახსენებთ, რომ ოლეგ მელნიკოვი ქართული მხარის მიმართვის საფუძველზე 2012 წლის 7 დეკემბერს უკრაინის სამართალდამცველებმა კიევში დააკავეს. შსს-ს ცნობით, უკრაინაში დაკავებიდან 10 თვის განმავლობაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა უკრაინის სამართალდამცავ ორგანოებთან საქართველოში მისი ექსტრადიციის მიზნით. რამდენიმესაფეხურიანი სამართლებრივი პროცედურების გავლის შემდეგ, უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ მელნიკოვის საქართველოში ექსტრადიციის გადაწყვეტილება მიიღო. ოლეგ მელნიკოვს ბრალად ედება ძალადობითა და დაზარალებულის ღირსების შეურაცხყოფის გზით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, რამაც ფიზიკური პირის უფლების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ასევე წინასწარ შეთანხმებული ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთაში.

# ოლეგ მელნიკოვი საქართველოში ჩამოიყვანეს

## რას ყვება თბილისში ექსტრადირებულ კუდ-ის მაღალჩინოსანზე ლევან ბუხაიძე?

სანდრო გირგვლიანის მეგობარი, ლევან ბუხაიძე, რომელიც იმ დღეს ოქროყანაში სასტიკად სცემეს, დღეს უკვე დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ, კუდ-ის სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, მის შეურაცხყოფაში უშუალოდ მონაწილეობდა ოლეგ მელნიკოვი. **საკუთარ ჩვენებაში ბუხაიძე ოქროყანაში განვითარებულ მოვლენებს ასე იხსენებს:**

„მინდორზე მისვლისთანავე ვიგრძენი უკან კეფაში ჩარტყმა, მოულოდნელობისგან დავეცი თოვლში და წამოდგომაც ვერ მოვასწარი, ისე დამიწყეს ხელებით და ფეხებით ცემა გია ალანიამ და ალექსანდრე ღაჭავამ. მერე შევეცადე, ხმა ამომეღო და როგორც კი მოვახერხე, ვკითხე მათ: „რატომ მცემთ, რა გინდათ-მეთქი“, რაზეც, თუ არ ვცდები, გია ალანიამ მიპასუხა: „კარგად იცი, რატომაც გცემთო“ და ალექსანდრე ღაჭავასთან ერთად დამიწყო გინება და შეურაცხყოფის მოყენება. ამ მომენტში დავაფიქსირე, რომ ჩემგან დაახლოებით ათ მეტრში მყოფი სანდრო გირგვლიანი თოვლში იყო წაქცეული და მას უკვე ავთანდილ აფციაური სცემდა და აგინებდა. ჩვენი ცემა დაახლოებით ხუთი-ათი წუთი გრძელდებოდა, რის შემდეგაც გია ალანიამ და ალექსანდრე ღაჭავამ ხელი ჩამავლეს და სასაფლაოების უფრო შიგნით შემათრიეს, იქ განაგრძეს ჩემი ცემა და შეურაცხყოფა. ამ მომენტისთვის მე სანდრო გირგვლიანს ველარ ვხედავდი“.

მისივე ჩვენებით ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც წინააღმდეგობის გაწევა სცადა, ერთ-ერთმა პირმა ჰაერში იარაღი ისროლა. ბუხაიძის თქმით, ეს პირონვნება „გამტაცებლებს“ მოგვიანებით შემოუერთდათ და უშუალოდ ჩაერთო მის ფიზიკურ შეურაცხყოფაში.

„ჩემს ცემას შემოუერთდა კიდევ ერთი პირი, რომელსაც ხელში დავუნახე, თუ არ ვცდები, „მაკაროვის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი. მოსვლისთანავე ამ პირმა, რომელსაც მოკლე ქურთუკი ეცვა და სხვებთან შედარებით უფრო გამხდარი და არასპორტული აღნაგობით გამოირჩეოდა, თოვლში მწოლიარეს შუბლზე იარაღი დამადო და მითხრა: „ბიჭი, ერთი აქეთ ამოიხედე, ხომ იცი ამ დღეში რატომ ხარო?, რის შემდეგაც სახეში წიხლი ჩამარტყა. მის ამ ქმედებაზე გია ალანიამ და ალექსანდრე ღაჭავამ გააგრძელეს ჩემი ცემა“.

ბუხაიძის მონაყოლით სანდრო გირგვლიანმა, რომელსაც დანარჩენები სცემდნენ, გაქცევა მოახერხა, რის შემდეგაც ყველა მათგანმა მისკენ გადაინაცვლა. იძულებით გახადეს ტანსაცმელი და მობილური ტელეფონით სურათი გადაუღეს. დღეს უკვე ლევან ბუხაიძე დადასტურებულად ამბობს, რომ, სხვა პირებთან ერთად, ოქროყანის სასაფლაოზე იმყოფებოდა ოლეგ მელნიკოვი.

„თოვლში ნამაქციეს და ერთ-ერთმა თქვა: „ერთი აქეთ ამოიხედეო“. რაზეც მეორემ იარაღის ლულით სახე ამომიტრიალა და თვალებთან უეცარი გაშუქებით მივხვდი, რომ სურათი გადამიღეს. ...ამჟამად შემიძლია, დარწმუნებით და შეუცდომლად განვაცხადო, რომ სასაფლაოზე შემდგომში მოსული პირი, რომელმაც იარაღიდან ისროლა და შესაძლოა, ფოტოც გადამიღო, ნამდვილად იყო ოლეგ მელნიკოვი, რომელიც გამოძიების დროს მე, მართალია, ვერ ამოვიცანი, მაგრამ სასამართლოს მიმდინარეობის პერიოდში პირდაპირ სხდომაზე განვაცხადე ამის შესახებ. დარწმუნებით შემიძლია დავასახელო, რომ ოქროყანის სასაფლაოზე იმყოფებოდნენ გია ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, ოლეგ მელნიკოვი და ავთანდილ აფციაური“, – ყვება საგამოძიებო ორგანოსთვის მიცემულ ჩვენებაში ლევან ბუხაიძე.

საქართველოში ექსტრადირებული ოლეგ მელნიკოვი საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას მოახერხებს, – დარწმუნებულია მელნიკოვის ადვოკატი, გიორგი ონიანი. მისი თქმით, საქართველოში ექსტრადირებას ყოფილი ჩინოვნიკი თავად მოითხოვდა.

„მელნიკოვი თავს წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ საქართველოში ის შეძლებს, დაამტკიცოს საკუთარი უდანაშაულობა. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ ადამიანს შეფარდებული აქვს აღმკვეთი ღონისძიება – პატიმრობა. მიგვაჩნია, რომ ეს ალოგიკურია და არ არსებობს არც ფორმალური და არც ფაქტობრივი საფუძვლები პატიმრობის შეფარდების“, – ამბობს გიორგი ონიანი.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბურჯანაძის საიდუმლო გეგმა

# რა აქვს ჩაფიქრებული ბურჯანაძეს ინაუგურაციის დროს და როგორ აპირებს ის კრიზისის შექმნას

ქეთი ხატიაშვილი

**ნინო ბურჯანაძე მეორეა, ვინც ბიძინა ივანიშვილს პრემიერობის პოსტი შესთავაზა. პირველი შალვა ნათელაშვილი იყო. ლეიბორისტების ლიდერმა ივანიშვილი მაშინ ახსენა, როცა ის ნანახიც კი არავის ჰყავდა. მასზე მხოლოდ ლეგენდები დადიოდა და შეთავაზებაც უფრო სკანდალური იყო, ვიდრე პოლიტიკური.**

გასაგებია, რა ინტერესები ჰქონდა ნათელაშვილს. მან იგრძნო, რომ აგებდა, შესაბამისად, ექსპერტებს მიმართა. ბურჯანაძეც, როგორც ჩანს, წაგების გემოს გრძნობს. შესაძლოა, მასაც ამიტომ დასჭირდა ივანიშვილზე ჩაჭიდება.

ბურჯანაძის ოფისიდან გამოსულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ბურჯანაძე გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ინაუგურაციის სიტყვაშივე შესთავაზებს პოლიტიკურ გულს ივანიშვილს და პოლიტიკაში დარჩენის „უფლებასაც“ მისცემს. ბურჯანაძის საიდუმლო გეგმაც სწორედ აქედან იწყება.

ინაუგურაციის მომენტიდან ბიძინა ივანიშვილი უფლებამოსილებას მოიხსნის და ყველა მინისტრს სტატუსი შეუჩერდება. პარლამენტს კაბინეტი დასამტკიცებლად სწორედ პრეზიდენტმა უნდა წარუდგინოს. სწორედ ამ ბერკეტის ხელში ჩასაგდებად იბრძვის ახლა ნინო ბურჯანაძე და არამხოლოდ პრეზიდენტობისთვის.

მერე კი ყველაფერი, ფიქრობს, რომ ისე იქნება, როგორც თავად დაგეგმა – ვადამდელი არჩევნები. თუმცა, ამისთვის მან ჯერ კრიზისი უნდა შექმნას. სავარაუდოდ, კრიზისს სწორედ კაბინეტის დაკომპლექტება გამოიწვევს. ბურჯანაძეს შეუძლია ისეთი შემადგენლობა შეიყვანოს პარლამენტში, რომ კაბინეტი ვერასოდეს დამტკიცდეს, მხოლოდ კრიზისია მისთვის ის გზა, რომელიც ბურჯანაძის ოცნებებამდე მიდის.

თუმცა, ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით, ბურჯანაძეს, გამარჯვების შემთხვევაში, მოუწევს კომპრომისებზე წასვლა. ლევან ალაფიშვილის განმარტებით: თუკი პარლამენტი არ დაეთანხმება პრეზიდენტის (ვინც არ უნდა იყოს ის) კაბინეტის ახალ შემადგენლობას, მაშინ უფლებამოსილება გაუგრძელდება ძველს მანამ, სანამ იარსებებს პარლამენტი.

ანუ, ვინც არ უნდა გახდეს პრეზიდენტი, როგორი რადიკალური სურვილები თუ ოცნებებიც არ უნდა ჰქონდეს მას, ვადამდელ არჩევნებს ვერ დანიშნავს. ახალი ცვლილებები პარლამენტს სტაბილურობის გარანტიას აძლევს.

**ლევან ალაფიშვილის შეფასებით:**

– ეს კონსტიტუცია კრიზისების საფრთხის წარმომშობი უფროა, ვიდრე დამარეგულირებელი... კრიზისები მოსალოდნელია მანამ, სანამ კონსტიტუცია და საზოგადოება განვითარების რაღაც წერტილამდე არ მივა... თამაშის წესების მუდმივად ცვლის სურვილია კონფლიქტის წყარო... ახალი კონსტიტუციით, რომელიც ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ შედის ძალაში, თამაშის წესები ასეა გადანაწილებული:

ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში დომინირებს პრემიერი და მთავრობა;

საგანგებო რეჟიმებისა თუ საომარი მოქმედებების დროს – პრეზიდენტი;

პარლამენტის ხელშია იმპიჩმენტი და ბიუჯეტი...

ლევან ალაფიშვილის განმარტებით, 90-იანი წლებიდან მოყოლებული თამაშის წესები მუდმივად იცვლებოდა. მუდმივი ცვლილებების სურვილი იწვევს სწორედ კონფლიქტებსაც და კრიზისებსაც.

ახალი ცვლილებები პრემიერსაც უკვეცს უფლებებს. მთავრობაზე პარლამენტის მხრიდან მეტი კონტროლი წესდება, ასევე დაკონკრეტდა საბიუჯეტო პროცესში პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობები.

თუმცა, ნინო ბურჯანაძის ოფისმა უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ნინო კონსტიტუციას შეცვლის და უფლებებს გაიზრდის. ანუ კონფლიქტი, რომელიც კრიზისში შეიძლება გადაიზარდოს, სახეზეა.

ასეთ კონფლიქტს არ შექმნის, რა თქმა უნდა, არც მარგველაშვილი და არც ბაქრაძე, გამარჯვების შემთხვევაში. პირველ რიგში, იმიტომ რომ კონსტიტუცია სწორედ ამ ორი პოლიტიკური გუნდის მიერ არის მხარდაჭერილი. საკონსტიტუციო ცვლილებები ერთხმად მიიღეს, მას მოწინააღმდეგე არ ჰყავდა.

შესაბამისად, ნინო ბურჯანაძისთვის ეს კონსტიტუცია „კოჰაბიტაციურია“. მისი საარჩევნო პირობა კი ომი და ნგრევაა, თანაც ქვეყნის შიგნით. ასეთ ექსტრემიზმსა და პოლიტიკურ მწვალებლობას კი კონსტიტუცია არ ცნობს.

ახალი კონსტიტუცია პოლიტიკური ძალების მხრიდან მუდმივ კომპრომისებს მოითხოვს და ერთმანეთთან ურთიერთობასაც აიძულებს დაწესებული უფლებების ჩარჩოებში. წინა კონსტიტუციებთან შედარებით, ის უფრო დაბალანსებულია, თუმცა, როგორც ალაფიშვილი აღნიშნავს, სტაბილურობის გარანტი ის შესაძლოა, მაინც ვერ გახდეს, თუკი რომელიმე მხარე მის შეცვლასა და გადაკეთებას მოისურვებს...

ასე რომ, კონსტიტუცია განსაზღვრავს თამაშის წესებს, პოლიტიკოსები კი ამ წესებზე თანხმდებიან. ამ შემთხვევაში კოჰაბიტაციისა და შესაბამისად, ასე გამოდის – კონსტიტუციის წინააღმდეგ მხოლოდ ნინო ბურჯანაძე მოძრაობს. მისთვის სამართლიანობის აღდგენა პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების გაზრდაცაა. აბა, სამართლიანი საქმეები ისე როგორ უნდა აკეთოს?

## ლევან ალაფიშვილი: „ეს კონსტიტუცია კრიზისების საფრთხის წარმომშობი უფროა, ვიდრე დამარეგულირებელი... კრიზისები მოსალოდნელია...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**დავით ზურაბიშვილი განათლების სფეროში რჩება. მართალია, სანიკიძემ ზურაბიშვილზე უარი განაცხადა, მაგრამ მინისტრის ყოფილმა მოადგილემ იდეალური გამოსავალი იპოვა. ელენე ხოშტარიასთან და ფირალიშვილთან ერთად, სკოლებში დასავლური კურსის შესწავლის პროექტს ამუშავებენ. საქართველოს საგარეო კურსი იმდენად პრობლემური გახდა ახალი ხელისუფლების პირობებში, რომ ივანიშვილის გუნდის წევრებივე ზრუნავენ ევროპული რეალობის დამკვიდრებას. კონკრეტულად რა შინაარსით, როგორი სახითა და რა მექანიზმით შეასწავლიან სკოლის მოსწავლეებს ევროპული კურსის შენარჩუნების აუცილებლობას, ჯერჯერობით გაწერილი არ არის, თუმცა ერთი რამ ცხადია. ამ მხრივ, მასწავლებლებსაც გადამზადება სჭირდებათ... სწორედ ამ საკითხებით არის დაკავებული დავით ზურაბიშვილი ამ ეტაპზე.**

**რაც შეეხება მის პოლიტიკურ აქტიურობას, დავით ზურაბიშვილი საარჩევნო გარემოს გვერდიდან აკვირდება და აცხადებს, რომ ნინო ბურჯანაძეს მეორე-მესამე ადგილზე გასვლის შანსი სხვა კონკურენტების მსგავსად აქვს.**

# დავით ზურაბიშვილი: „თუ ბურჯანაძის საარჩევნო შედეგი იქნება მაღალი, მაშინ მისი მოთხოვნა რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით გარკვეულ პოპულარობასა და მხარდაჭერას მოიპოვებს“

**დავით ზურაბიშვილი, რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი:**

– როდესაც ბავშვი სკოლაში გადის ისტორიას, სამოქალაქო განათლებას, ლიტერატურას, მათ კარგად უნდა გაიაზრონ საკუთარი ქვეყანა. კარგად უნდა მოხდეს გააზრება, რომ საქართველო არის ევროპული ცივილიზაციისა და კულტურის ქვეყანა. თავსმოხვეული არ უნდა იყოს ეს იდეა, თუმცა უნდა მოხდეს იდეის კარგად ახსნა ისტორიის ცოცხალ მაგალითებზე დაყრდნობით, პარალელების გავლებით. მოსწავლემ კარგად უნდა დაინახოს, რომ ეს არის ქვეყნის რეალობა და არა უცხო გზა.

**– მიგაჩნიათ, რომ მასწავლებლების გადამზადებაც უნდა მოხდეს?**

– ვფიქრობთ, როდესაც მოხდება მასწავლებლების გადამზადება, ეს მიმართულებაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, იგივე დამოკიდებულება გვაქვს სასკოლო გეგმებთან, სახელმძღვანელოების შედგენასთანაც. ჩვენ შეიძლება ცალკე შეთავაზებაც გვქონდეს, თუმცა ეს მომავლის საკითხებია და დეტალებზე შემდეგში ვილაპარაკოთ, როცა გადაწყვეტილებებს მივიღებთ.

**– აპირებთ, რომ შეხვდეთ განათლების მინისტრს აღნიშნულ საკითხებზე სასაუბროდ?**

– კი, რა თქმა უნდა, რატომაც არა. ჩვენ მზად ვართ ყველასთან სასაუბროდ. იქნება ეს სახელისუფლებო სტრუქტურა თუ არასამთავრობო ორგანიზაცია.

**– როგორ ფიქრობთ, რამდენად დაინტერესდება განათლების სამინისტრო თქვენი ინიციატივებით და არ ფიქრობთ, რომ ელენე ხოშტარიასთან ერთად გამოჩენა კითხვებს გააჩენს?**

– რა კითხვები უნდა გააჩინოს? ან ვის რა უნდა ჰქონდეს საწინააღმდეგო ხოშტარიასთან? მისი კვალიფიკაცია, მისი პერსონა და განათლება არავისში კითხვებს არ აჩენს. ელენე ხოშტარია წინა ხელისუფლების დროს ერთ-ერთი წარმატებული საჯარო მოღვაწე იყო, რომელიც აქტიურობდა ევროინტეგრაციის კუთხით. ვფიქრობ, პრინციპული სხვაობა ამ მიმართულებით ახალ ხელისუფლებასთან არ არსებობს. ვფიქრობ, ის საქმე, რასაც ჩვენ ერთად ვაკეთებთ, ძალიან კარგია და ძალიან მნიშვნელოვანია ელენეს მონაწილეობა.

**– უკვე ხომ არ მიგიმართავთ განათლების სამინისტროსთვის?**

– ჯერ არა, თუმცა კონსულტაციები რაღაც ეტაპზე უკვე დაწყებულია და ის კიდევ უფრო გააქტიურდება, როცა პროექტს შევიმუშავებთ.

**– როგორ შეაფასებთ წინასაარჩევნო პერიოდს, ფიქრობთ, რომ ის ძალიან განსხვავდება პირველი ოქტომბრის არჩევნებისგან?**

– თავს შევიკავებ დეტალებზე საუბრისგან, რადგან მხარეს წარმოვადგენ. თუმცა მთლიანობაში რომ უკეთესობაა, ამას დამკვირვებლებიც ადასტურებენ.

**– თუმცა ოპონენტები მაინც გადანაშაულებენ სახელმწიფო რესურსების გამოყენებაში...**

– ის, რომ მთავრობის რომელიმე წევრი გამოჩნდეს მისივე კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრაზე, არ ნიშნავს მაინცდამაინც სახელმწიფო რესურსების გამოყენებას. ამ მხრივ, მე მაინცდამაინც დიდი შენიშვნები არ მქონია წინა ხელისუფლების დროსაც. სახელმწიფო რესურსის გამოყენება უფრო სხვა რამ არის. ვფიქრობ, ამ მხრივ, დიდი შეცდომები არ არის დაშვებული.

**– ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ მარგველაშვილი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გაიმარჯვებს...**

– მე პირიქით მგონია, ვფიქრობ, მარგველაშვილი აუცილებლად გაიმარჯვებს. არ ვიცი, გავა თუ არა ბურჯანაძე მეორე ადგილზე. ალბათ, ბურჯანაძეს აქვს შანსი მეორე ადგილზე გასვლის, ვნახოთ, როგორ ჩაატარებს წინასაარჩევნო კამპანიას.

**– როგორ ახსნით მისი რეიტინგის თუნდაც მცირედით გაზრდას?**

– ბურჯანაძის ძირითადი ამომრჩეველი არის ის რადიკალური ნაწილი, რომელსაც სურს რადიკალური ანგარიშსწორება წინა ხელისუფლებასთან და არ არის კმაყოფილი სამართლიანობის აღდგენით, ან ფიქრობს, რომ ამ პროცესის ტემპი ძალიან ნელია. ზოგს უნდა, რომ ძალიან სწრაფად მოხდეს ყველაფერი. საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ძალიან სწრაფ და მკვეთრ ცვლილებებს ითხოვს, იქნება ბურჯანაძის მხარდამჭერი, რადგან სწორედ ის არიგებს ასეთ დაპირებებს. ბურჯანაძე ამბობს, რომ მოვა და სწრაფად დაამყარებს წესრიგს, აღადგენს სამართლიანობას და ასე შემდეგ. ამიტომ, ბუნებრივია, მსგავსი დაპირებები რაღაც პოპულარობას გარკვეულ ნაწილში მოუტანს.

**– რეალურად პრეზიდენტის უფლებები ახალი კონსტიტუციით ხომ ძალიან შემცირებულია, რის საფუძველზე იძლევა ბურჯანაძე მსგავს დაპირებებს?**

– არაფრის საფუძველზე არ იძლევა დაპირებებს, უბრალოდ, ის ფიქრობს, რომ პრობლემა არ ექნება, რადგან არანაირი პასუხისმგებლობა არ აქვს. ფიქრობს, რომ, თუ გამარჯვებას მიაღწევს, მერე დაიწყებს ფიქრს შესრულების გზებზე, ახლა არანაირი გეგმა არ ექნება. ის, უბრალოდ, დაპირებებს იძლევა და მეტი არაფერი. გეგმა რომ ჰქონდეს, იტყოდა, ანუ არ გააჩნია. ეს წმინდა წყლის პროპაგანდაა.

**– მისი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ვადამდელი არჩევნებია. ბურჯანაძის მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში ფიქრობთ, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში დადგება?**

– მეორე ადგილზე გასვლა ამისთვის საკმარისი არ იქნება. გასაგებია, რომ პარლამენტსგარეთ ვინც არის დარჩენილი, იმათ უნდათ, რომ ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს. მათი მოტივი ეს არის, მეტი არაფერი. რაც შეეხება ბურჯანაძეს, თუ მისი შედეგი მაღალი იქნება, მაშინ მისი მოთხოვნა რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით გარკვეულ პოპულარობასა და მხარდაჭერას მოიპოვებს. დანარჩენ შემთხვევაში გინდაც მესამე ადგილზე გავიდეს და გინდაც მეორეზე, მის მოთხოვნას არანაირი მნიშვნელობა არ ექნება.

**– თუმცა ვიცით, რომ ვადამდელი არჩევნების ჩატარების მექანიზმი პრინციპში შეუძლებელიცაა...**

– ბურჯანაძე ნაკლებად ფიქრობს მექანიზმებზე, უბრალოდ, პროპაგანდისტული ტექსტებით ლაპარაკობს. ის არ არის არც ხელისუფლებაში, არც პარლამენტში, ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ ლაპარაკობს და ვერავინ ამ ლაპარაკზე პასუხს ვერ მოსთხოვს. ჯერჯერობით ასეა და შემდეგ რა შედეგს მოიტანს, ვნახოთ.

**– ითქვა, რომ ადგილობრივი არჩევნებისთვის პროდასავლური ძალები კოალიციად გაერთიანდებიან და როგორც ამბობენ, თქვენც შედიხართ ამ გაერთიანებაში, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად...**

– შემიძლია, სრულიად დარწმუნებით გითხრათ, რომ იმ გაერთიანებაში, სადაც „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება, ჩვენ არ გავწევრიანდებით. ბუნებრივია, პროდასავლური ძალები ვთანამშრომლობთ, თუმცა ეს სულ სხვა რამ არის.

**– იმ შემთხვევაშიც კი, თუ ევრაზიული კავშირის საკითხი დღის წესრიგში დადგება?**

– ვფიქრობ, ეს საკითხი არ დადგება.

**– გამორიცხავთ?**

– ცხოვრებაში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ ჯერჯერობით ამ უმრავლესობით, ამ კოალიციით და მით უფრო სანამ ივანიშვილია, ეს საკითხი არ დადგება.

**– თუმცა მარგველაშვილის საგარეო კურსი ბევრისთვის კვლავ გაურკვეველია...**

– მგონი, ძალიან მკაფიოდ ამბობს თავად, რომ ის არის ევროპული ორიენტაციის მომხრე.

**– მისი მოსაზრება როგორია ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით?**

– ეს საკითხი არც მისთვის არ არის განხილვის საგანი. ვფიქრობ, აბსოლუტურად არასერიოზულია ევრაზიულ კავშირზე საუბარი.

> **ბურჯანაძე ნაკლებად ფიქრობს მექანიზმებზე, უბრალოდ, პროპაგანდისტული ტექსტებით ლაპარაკობს. ის არ არის არც ხელისუფლებაში, არც პარლამენტში, ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ ლაპარაკობს და ვერავინ ამ ლაპარაკზე პასუხს ვერ მოსთხოვს**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პაატა დავითაია: „ალასანიას თითქმის უუფლებო პრეზიდენტის პოსტი არ ანდეს და პრემიერმინისტრობას ანდობენ?“

## „წარმოიდგინეთ, ქვეყანაში სიტუაცია რომ დაიძაბოს მარგველაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, ფიქრობთ, რომ ვინმე მარგველაშვილს დაემორჩილება?“

my View
ხათუნა მგალობლიშვილი

**ახალი პრეზიდენტის ვალდებულება არც პენსიების გაზრდაა, არც სოციალური პრობლემების მოგვარება და მით უფრო, არც უმუშევრების დასაქმება. სააკაშვილის შემცვლელის სამუშაო გრაფიკი ერთადერთ შემთხვევაში დამძიმდება – თუ ქვეყანაში სიტუაცია დაიძაბება, ან საომარი მდგომარეობა გამოცხადდება. 27 ოქტომბერს გამარჯვებულმა ასეთ ვითარებაში პროცესების განმუხტვა უნდა მოახერხოს. ამის მისაღწევად კი მისი თითოეული იდეა უნდა მოისმინონ და შესაბამისად იმოქმედონ. თუმცა ოპოზიციაში უკვე სვამენ კითხვას: ვინ დაემორჩილება მარგველაშვილს და მოახერხებს თუ არა ის სიმშვიდის დამყარებას იმ შემთხვევაში, თუ ბურჯანაძე ქუჩაში გამოვა ერთადერთი მოთხოვნით – ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები...**

**EXCLUSIVE**

## „მე რასაც ვუყურებ, ბურჯანაძის გამარჯვება იქნება მეორე და მესამე ადგილზე გასვლაც“

**პაატა დავითაია, „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი:**

– საარჩევნო კამპანია, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს, შემიძლია დავყო რამდენიმე მიმართულებად. ღიად ჩანს, რომ „ქართული ოცნება“ არ მუშაობს. რეგიონებში, მაგალითად, ბოლნისში შტაბიც კი არ აქვს და სადაც შტაბებია, იქაც არ შეიმჩნევა ხალხმრავლობა. სამაგიეროდ ძალიან სერიოზულად მუშაობს ნინო ბურჯანაძე. ვფიქრობ, ეს სერიოზულ შედეგს მოიტანს. რეალურად ჩანს ბურჯანაძის აქტიურობა, ჩანს ფინანსები.

**– საიდან შეიძლება ჰქონდეს მას ფინანსები?**

– არ ვიცი, ალბათ, ხარჯთაღრიცხვას წარმოადგენს არჩევნების შემდეგ. „ოცნების“ მთელი კამპანია კი ის არის, რომ გიორგი მარგველაშვილი ბიძინა ივანიშვილის მეგობარია და მეტი არაფერი. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, გაგვეკეთებინა ცენტრი, სადაც არააგრესიულად განწყობილი ძალები გაერთიანდებოდნენ. ვფიქრობ, ზურაბ ხარატიშვილი არის ადამიანი, ვინც მოახერხა ხელისუფლების გადაბარება არჩევნების გზით. მას აქვს უნარი, რომ ელაპარაკოს ყველა ძალას. მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტი უნდა იყოს სწორედ ასეთი ადამიანი. საერთოდ, ვფიქრობ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ძალიან ბევრი რამე შეიცვლება. თუ ნინო ბურჯანაძე მეორე ან მესამე ადგილზე გავა, ვფიქრობ, ეს გამოიწვევს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. მისი მეორე ან მესამე ადგილზე გასვლით პოლიტიკური სპექტრი შეიცვლება და გაჩნდება ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა.

**– პარლამენტში შეიცვლება პოლიტიკური სპექტრი?**

– რა თქმა უნდა. ბიძინა ივანიშვილის წასვლით, ვფიქრობ, უმრავლესობაში რამდენიმე ფრაქცია შეიქმნება.

**– მათ შორის ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერი ფრაქციაც იქნება?**

– არ გამოვრიცხავ.

**– თუ პარლამენტში ფრაქცია ეყოლება, რაღა საჭირო იქნება ვადამდელი არჩევნები?**

– ერთია ფრაქციის შექმნა და მეორეა მომხრეების პარლამენტში შეყვანა უმრავლესობით. ვფიქრობ, სიტუაცია ძალიან მძიმე იქნება, რომელსაც გარე ფაქტორები დაემატება. ივანიშვილი პრემიერის რანგში ვერ მართავს ქვეყანას და მას თუ ჰგონია, რომ სახლიდან შეძლებს ქვეყნის მართვას, ცდება. სიტუაცია მივა კოლაფსამდე. მოდით, ვთქვათ სიმართლე, რეალურად „ოცნებამ“ დღეს მოინდომა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შექმნილი სისტემის მართვა. მათ ეს მართვაც კი არ გამოუვიდათ. ეს ცალსახად გამოჩნდა. ცენტრალური საარჩევნო კომისია რომ ავიღოთ, არაფერი იქ შეცვლილი არ არის, იგივე არჩევნები ტარდება. არადა ყველას გვახსოვს, როგორ ყვიროდნენ, ყველაფერს შევცვლითო. ახლა ირკვევა, რომ თვითმმართველობის არჩევნებისთვისაც შეიძლება არ მოესწროს ცვლილებები. ცვლილებები არც აწყობთ, რადგან თავის თავზე მოირგეს ყველაფერი. იგივე ხდება პროკურატურაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, სასამართლოში. ამ სიტუაციაში სასამართლო მართლაც დამოუკიდებელია.

**– რომ არ მოხდეს კოლაფსი, არ დაიძაბოს სიტუაცია, არ მოხდეს დაპირირება, ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ ბიძინა ივანიშვილი თანამდებობაზე დარჩეს?**

– ასეთ სიტუაციაში ივანიშვილის თანამდებობაზე დარჩენა სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა, რადგან მან აიღო პასუხისმგებლობა ქვეყანაში ცვლილებებზე. დღეს იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის პასუხისმგებლობას გაურბის. როგორც არ უნდა შეიფუთოს, რომ ის საზოგადოებაში გადადის, იქიდან დაეხმარება ქვეყანას... დღეს ისედაც ბრმად მიყვება კოალიცია ბიძინა ივანიშვილს. სნორედ ასევე, არის არჩეული პრეზიდენტობის კანდიდატი – გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურა სურდა ბიძინა ივანიშვილს და მას ბრმად დაეთანხმნენ კოალიციაში. სუფთა პოლიტიკურ სპექტრში კანდიდატი იქნებოდა ირაკლი ალასანია. კოალიცია ივანიშვილის გარეშე რომ ყოფილიყო, წარმომიდგენია, რა მოხდებოდა შიგნით. ძალიან საინტერესოა, რატომ მალავენ მომავალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას. აუცილებლად დადგება პოლიტიკური ლეგიტიმურობის საკითხი.

**– შეიძლება, რომ ალასანიამ იბრძოლოს პრემიერ-მინისტრის პოსტისთვის?**

– როგორ ფიქრობთ, ალასანიას, რომელსაც თითქმის უუფლებო პრეზიდენტის პოსტი არ ანდეს, პრემიერ-მინისტრის თანამდებობას ანდობენ? რაც უფრო დამალავენ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, მით უფრო ცუდი იქნება ქვეყნისთვის. წარმოიდგინეთ, ქვეყანაში სიტუაცია რომ დაიძაბოს მარგველაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, ფიქრობთ, რომ ვინმე მარგველაშვილს დაემორჩილება? გინდაც პრემიერ-მინისტრს, რომელიც ივანიშვილის არჩეული იქნება და არ ექნება გავლენა საზოგადოებაზე, არც მას დაემორჩილება არავინ. ბრძანებების შესრულება საკაშვილის რეჟიმის დროსაც ჭირდა და ახლა ვისი ბრძანება შესრულდება, გაურკვეველია.

**– ფიქრობთ, რომ ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდეს?**

– ახლა ძნელია ამაზე საუბარი, მსჯელობის საკითხია. თუმცა ვფიქრობ, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი რომ დაიდება, სწორედ ამის შემდეგ შევძლებთ ამ საკითხზე საუბარს.

**– რა შედეგის მოლოდინი გაქვთ?**

– მე რასაც ვუყურებ, ბურჯანაძის გამარჯვება იქნება მეორე და მესამე ადგილზე გასვლაც.

**– მესამე რატომ?**

– არ იქნება დიდი სხვაობა მეორე და მესამე ადგილებზე გასულს შორის და ვფიქრობ, ბურჯანაძის მხრიდან ასეთ შემთხვევაში დიდი ცვლილებები დაიწყება.

**– მეორე ტურის შემთხვევაში თქვენ ვის დაუჭერთ მხარს?**

– თუ ბურჯანაძე და მარგველაშვილი შეხვდებიან, ასეთ შემთხვევაში გამიჭირდება ვთქვა, როგორ დასრულდება ეს.

**– თქვენ ვის დაუჭერთ მხარს?**

– ჯერჯერობით მიჭირს ამაზე საუბარი. მსჯელობის საგანია.

**– რატომ არის მსჯელობის საგანი? ბურჯანაძე – ეს არის ევრაზია, მარგველაშვილი – ჯერ არ ვიცით...**

– არა მგონია, მარგველაშვილი იყოს ევროკავშირი. როდესაც მარგველაშვილის მეგობარი ბიძინა ივანიშვილი ევრაზიულ კავშირზე ამბობს, რატომაც არაო, ეს იმას ნიშნავს, რომ მარგველაშვილი დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, ისევე როგორც ბურჯანაძე. თქვენ რომ შეხვიდეთ ბურჯანაძის ვებგვერდზე, ნახავთ, რომ იქ მთავარ მიზნებში ევროკავშირი და ნატო უწერია. ამიტომ მე ორივეს, ბურჯანაძესაც და მარგველაშვილსაც განვიხილავ ერთი მიმართულებით – ევრაზიული კავშირი. დღეს მე ვხედავ, რომ მათი მიმართულებები ერთმანეთს ჰგავს.

**– ადგილობრივ არჩევნებში მიიღებთ მონაწილეობას?**

– ჩვენც ვემზადებით თვითმმართველობის არჩევნებისთვის. საპრეზიდენტო არჩევნები გვაჩვენებს სიტუაციას. ვფიქრობ, საარჩევნო კამპანიის წარმოება ფინანსების გარეშე რთულია, თუმცა ვიმედოვნებ, რომ ბარიერს გადავლახავთ. მალე დაიდება NDI-ს კვლევები და დავაკვირდებით საკუთარ რეიტინგს.

**– თუკი დაბალი პროცენტი გექნებათ, შეიძლება, რომ კანდიდატურა მოხსნათ?**

– არა, არავის სასარგებლოდ არ ვაპირებთ კანდიდატურის მოხსნას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნინო ბურჯანაძე – პო

# ნინო ბურჯანაძე:

## „я буду бороться до конца, никому я не буду уступать свои голоса, потому что я не вижу ни одного кандидата, который имел бы больше плюсов на этом посту, чем есть у меня“

ქეთი ხატიაშვილი

**ნინო ბურჯანაძე უკვე იმ ზღაპრის ანჩხლ დედინაცვალს დაემსგავსა, რომელსაც ყველა, ვინც ლამაზია, სძულს და კლავს. თქვენც გემახსოვრებათ ეს ზღაპარი, ფიფქიას დედინაცვალი სილამაზის შემფასებლად ჯადოსნურ სარკეს იყენებს. ვისზეც სარკე ეტყვის, ის უფრო ლამაზი და მიმზიდველიაო, მის გასანადგურებლად ანჩხლი და კაპრიზული დედოფალი ყველა ღონეს მიმართავს.**

ასეთივე დამოკიდებულება აქვს ნინო ბურჯანაძეს საკუთარი პერსონისადმი. იმ დედოფალივით იმეორებს: ყველაზე ძლიერი, ჭკვიანი და გავლენიანი პოლიტიკოსი მე ვარ საქართველოში და სხვას ვერავის ვხედავო. დაუჯერებლად ჟღერს? მაგრამ ეს ფაქტია.

**ნინო ბურჯანაძე, პრეზიდენტობის კანდიდატი:**

– ვერ ვხედავ ვერც ერთ კანდიდატს, რომელსაც ამ პოსტისთვის უფრო მეტი პლუსი ექნება, ვიდრე მე... დარწმუნებული ვარ, რომ ხალხი სწორედ მე ამირჩევს, ვინაიდან მე მაქვს გამოცდილებაც და ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის ცოდნაც... დღევანდელი მდგომარეობით, როგორც ჩანს, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე რაუნდში მონაწილეობას მე და მმართველი პარტიის, კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი მივიღებთ. ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებ: იმისდა მიუხედავად, რომ ბატონ მარგველაშვილის მიმართ ძალიან პოზიტიურად ვარ განწყობილი, ის პრეზიდენტის პოსტზე ჩემთვის კონკურენტი არ არის, – ნინო ბურჯანაძემ ამდენად უპირატესად საკუთარი თავი რუსეთის ერთ-ერთ მედიასაშუალებასთან წარმოაჩინა.

რომელ სარკეში იმზირება ნინო ბურჯანაძე? ეს ჯერ არავინ იცის, ასეთ ჯადოს ჯერ ზღაპრებშიც ვერ მიაგნეს. არც ბურჯანაძე ამხელს. თუმცა, „Эхо Кавказа“-სთან საუბარში ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ირწმუნებოდა, რომ სოციალური კვლევების მიხედვით, მას 28% აქვს და ის სულ უფრო მზარდია.

– შეძიძლია გითხრათ, რომ ჩვენ აბსოლუტურად დამაჯერებლად ვლიდერობთ რეიტინგებში. ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელიც დამაჯერებლად მიიწევს წინ და ზრდის დინამიკაც აქვს, ეს ჩვენ ვართ...

რა მონაცემებს ეყრდნობა ნინო ბურჯანაძე, რა „სარკეში“ იხედება და რა ციფრებს ხედავს, ვერავინ ამბობს. ყველაზე თამამ ნათელმხილველებსაც კი უჭირთ რაიმეს თქმა ან ამოცნობა. რა სოციალურ კვლევებს ეყრდნობა ბურჯანაძე, არ ამბობს. შეკითხვა რუსმა ჟურნალისტებმაც დაუსვეს, მაგრამ არც მათთვის დაუკონკრეტებია ექსპიკერს რამე.

არც ერთ არჩევნებში არა აქვს მონაწილეობა მიღებული, შესაბამისად, არც ცესკოშია მისი შედეგები დაფიქსირებული. საინტერესოა, რომ არც საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებს ენდობა, სადაც პირველი კი არა, მესამე ადგილი აქვს გიორგი მარგველაშვილისა და დავით ბაქრაძის შემდეგ და არც „ქართული ოცნების“ მიერ დაკვეთილ კვლევებს იღებს სერიოზულად. ამ კვლევებშიც, რომელიც ზურაბ ბიგვავამ ჩაატარა, ის მხოლოდ მესამეა.

ეს რაც შეეხება ბურჯანაძის ჯადოსნურ სარკეს, მაგრამ მის გვერდით სხვა ყველაფერიც ჯადოსნურია. მაგალითად, სამართლიანობის აღდგენა. ნინო ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ მხოლოდ მას შეუძლია სამართლიანობის აღდგენა, რომელიც თურმე მას შემდეგ ირღვევა, რაც თავად აღარ არის ხელისუფლებაში. ანუ 2008 წლიდან. სწორედ ამ პერიოდიდან იქცა სააკაშვილის ხელისუფლება ჯერ რეჟიმად და შემდეგ ფაშიზმადაც კი ჩამოყალიბდა. ასეთია ნინო ბურჯანაძის ჯადოსნური დიაგნოზი. ამიტომაც, ბურჯანაძე „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვას ითხოვს, როგორც ფაშიზმის, და უკლებლივ ყველა მისი ლიდერის დაპატიმრებასა და განადგურებას. კლასიკური ანჩხლი დედოფლის სინდრომია.

ყველაზე მეტად ნინო ბურჯანაძე მის მიერვე პროვოცირებული 26 მაისის გამო წუხს. ასეთი პროვოკაციის გამო ის, წესით, პერსონა ნონ გრატად უნდა გამოცხადდეს, თუმცა მაშინ მის პროვოკაციას სხვა პარტიებმა მხარი არც დაუჭირეს.

ამიტომაც ახლა მას ხშირად ახსენებენ ხოლმე 7 ნოემბრის დარბევის ფაქტს. მაშინ ის პარლამენტის თავმჯდომარე იყო. რამდენიმე ათეული მომიტინგის დარბევა „იმედში“ შეჭრითა და დახურვით დასრულდა. ბურჯანაძის სიტყვა კი მაშინ ყველას ახსოვს. მან თქვა, თავის დროზე ნიკოლოზ მეორეს რევოლუციონერებისთვის რომ ესროლა, საბჭოთა კავშირის სახით დიდ ბოროტებას ავცდებოდითო. ბურჯანაძემ ისიც თქვა, რომ მაშინ სახელმწიფო შედგა.

ნინო ბურჯანაძე დღესაც იგივეს იმეორებს. უკვე „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ:

„ვიტყვი ისევ იმავეს – დიახ, 2007 წლის 7 ნოემბერს სახელმწიფო შედგა! მე მაშინ არ მითქვამს, რომ კარგი სახელმწიფო შედგა, უბრალოდ, გავაკეთე ფაქტის კონსტატირება, რადგან სახელმწიფო ნამდვილად შედგა.

დიახ, 2007 წლის 7 ნოემბერს ქართულმა სახელმწიფომ თავის დაცვა შეძლო. როდესაც სახელმწიფოს, კარგსა და ცუდს, შეუძლია საკუთარი თავის დაცვა, ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მანქანა მუშაობს.

დიახ, 7 ნოემბერს ქართულ სახელმწიფოს თავი ჰქონდა დასაცავი, რადგან იმ დღეებში ქვეყანა იდგა ძალიან სერიოზული დაპირისპირების საფრთხის წინაშე, გახლეჩის საფრთხის წინაშე...“

საინტერესოა, რატომ ეგონა ნინოს, რომ 7 ნოემბერს სახელმწიფოში ცხოვრობდა, თუნდაც ცუდში, და 26 მაისს ეს სახელმწიფო აღარ იარსებებდა ან გაუჭირდებოდა უკვე ნინო ბურჯანაძის პროვოკაციის მოგერიება.

თუ ნინო ბურჯანაძეს სურს სამართლიანობის აღდგენა, ეგებ საკუთარი ოჯახის წევრებით დაიწყოს, მაგალითად მამით. გარდა იმისა, რომ მას ფქვილის აფიორა შერჩა და თითქმის მთელ მოსახლეობას სხვადასხვა დაავადებები გაუჩნდა ბაღლინჯოიანი პურის გამო, ნინომ, როცა უკვე პოზიციები გაიმაგრა ხელისუფლებაში, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მამამისს არც 15-მილიონიანი კრედიტი დაეფარა. ეს „სპეცოპერაცია“ კი მისი დაჟინებული მოთხოვნით მთავრობის პირველსავე დახურულ სხდომაზე განხორციელდა.

ასე რომ, ქალი, რომელმაც საკუთარი პოლიტიკური კარიერა ტეტჩერის მიბაძვით დაიწყო, ჯერ პოლიტიკურ ბარბად იქცა, რომელმაც ვერც გავლენების მოპოვება მოახერხა და ვერც პოლიტიკური თამაშის წესები აითვისა, შემდეგ კი რადიკალიზმში გადაეშვა და ქუჩის გამოცდილების მიღების შემდეგ პოლიტიკოს-კამიკაძედ მოგვევლინა.

ქუჩა მისთვის კარვების გაშლა იყო. რუსთაველსა და თბილისის სხვა ცენტრალურ ქუჩებზე გზებიც გადაიკვეთა. ის ყველაზე ბოლო გამოვიდა ქუჭყიანი კარვიდან.

და შემდეგ უკვე, 26 მაისს, კამიკაძე ბურჯანაძე მივიღეთ. ეს იყო შეგნებული პროვოკაცია და ნებისმიერი სახელმწიფო, თავად ნინოს რომ დავესესხოთ, კარგიც და ცუდიც, იძულებული გახდებოდა, გაეკეთებინა ის, რაც მოხდა კიდეც 26 მაისს. აქციის დაშლის ფორმებზე დავა გასაგებია და ამ მხრივ, საინტერესოა, რას იტყვის გამოძიება.

ასე რომ, საარჩევნო მარათონში ჩართულები არიან პოლიტიკური ფიგურები, პოლიტიკური კამიკაძე და პოლიტიკური ვაჭრები.

კამიკაძის, ამ შემთხვევაში კი ნინო ბურჯანაძის, ბრძოლის სტილი უკვე შეფასდა, როგორც ბინძური მეთოდი. უკვე ბიძინა ივანიშვილმაც მოუწოდა ნინო ბურჯანაძეს პატიოსანი კონკურენციისკენ.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– თქვენ იცით, რომ მე ჩემს სათქმელს ყოველთვის ღიად და გახსნილად ვამბობ. ყოველთვის გულწრფელი ვარ და კულუარული გადაწყვეტილებები არ მჩვევია. სიცრუე არასოდეს დამჭირვებია, ეს ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიკადრებია. და რადგანაც ჩვენი გუნდის საპრეზიდენტო კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი დავასახელე, ის მიმაჩნია სწორედ ერთადერთ კანდიდატად, რომელიც უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი. არაფერი გამოუვათ მათ, ვისაც ჭორებითა და მითქმა-მოთქმით შეცდომაში უნდათ ხალხის შეყვანა და არასწორი არჩევანის გაკეთებისკენ უბიძგებენ მათ. ვურჩევ ყველას, თავი დაანებონ ასეთი მეთოდებით ბრძოლას და პატიოსან ბრძოლაში გაეჯიბრონ გიორგი მარგველაშვილს. გიორგი არის ღირსეული პიროვნება – თანამედროვე, განათლებული, გაწონასწორებული და წესიერი ადამიანი, სუფთა წარსულით. გიორგი მარგველაშვილისთვის ნდობის გამოცხადება ჩემთვის ნდობის გამოცხადებას ნიშნავს.

შარშან ოქტომბერში მთელი ქვეყანა ფეხზე დადგა და ხმა მისცა თავისუფლებას. დარწმუნებული ვარ, წელს ოქტომბერში კიდევ ერთხელ ერთ მუშტად შევიკვრებით, ავირჩევთ გიორგი მარგველაძვილს და ხმას მივცემთ საქართველოს წინსვლასა და სტაბილურობას. ღრმად მწამს, რომ გიორგი მარგველაშვილის გამარჯვება იქნება ჩვენი ქვეყნის საერთო გამარჯვება! გიორგი მარგველაშვილი გახდება საქართველოს პრეზიდენტი და ის ყველას პრეზიდენტი იქნება. გამარჯვებას ვუსურვებ გიორგის. ყველას გელოდებით არჩევნებზე. მოდით და ხმა მიეცით ჩვენს ღირსეულ კანდიდატს – გიორგი მარგველაშვილს.

**კამიკაძე ბურჯანაძე მოწინააღმდეგეების აფეთქებას ბინძურ ჭორებზე ცდილობს. მაგალითად:**

– აქტიურად დადის ხმა, რომ ბიძინა ივანიშვილი კულისებში სწორედ ნინო ბურჯანაძეს გულშემატკივრობს და ამ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლიტიკური კამიკაძე

**ბიძინა ივანიშვილი:**
**„არაფერი გამოუვათ მათ, ვისაც ჭორეებითა და მითქმა-მოთქმით შეცდომაში უნდათ ხალხის შეყვანა და არასწორი არჩევანის გაკეთებისკენ უბიძგებენ მათ. ვურჩევ ყველას, თავი დაანებონ ასეთი მეთოდებით ბრძოლას და პატიოსან ბრძოლაში გაეჯიბრონ გიორგი მარგველაშვილს“**

იტომაც დააყენა სუსტი მარგველაშვილის კანდიდატურა. ამით მან ფორა მისცა საკუთარ ფავორიტ ნინოს;

– „ქართულ ოცნებას“ მასობრივად ტოვებენ მომხრეები და ბურჯანაძის პარტიაში გადადიან;

– მხოლოდ ნინო ბურჯანაძეს შეუძლია, დაამარცხოს კოჰაბიტაცია, გაიმარჯვოს უსამართლობაზე და მოიტანოს განვითარება;

– ნინო ბურჯანაძეს ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს და ყველა სოციოლოგიურ კვლევაში ის ლიდერობს;

– ბურჯანაძის გამარჯვებას ელოდება ვაშინგტონში ობამა და კრემლში – პუტინი.

ჭორების გარდა, ბურჯანაძე ელექტორატს სხვას ვერაფერს სთავაზობს. არც არის გასაკვირი, ის აკეთებს იმას, რაც კამიკაძისთვის არის შესაფერისი.

და რას იზამს ბურჯანაძე მაშინ, თუკი არჩევნებს წააგებს? ჯერჯერობით, როგორც მისი განცხადებებიდან ვარკვევთ, ის გამარჯვებისთვის ემზადება. მისთვის მეორე ადგილიც წაგებაა. თუმცა, თუკი ვადამდელი არჩევნები დაინიშნება, შესაძლოა, თავი გამარჯვებულადაც კი მიიჩნიოს, რადგანაც მას პარლამენტში უმრავლესობით მოსვლის ილუზია გაუჩნდება და შესაბამისად, პრემიერობაზეც იფიქრებს. საპრეზიდენტო არჩევნებს ის ხედავს, როგორც ტრამპლინს საკუთარ კარიერაში. ასე რომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუკი წაგების შემთხვევაში ის რადიკალურ ზომებს მიმართავს.

ვისაც ბურჯანაძის მოქმედების სტილი ახსოვს, ისიც ემახსოვრება, როგორ დაიწყო „ვარდების რევოლუცია“. როგორ მიუვარდა ის ოფისში ჟვანიას და უთხრა: არ უნდა შევეგუოთ წაგებას, ახლავე ქუჩაში გავიდეთო.

და მაშინ ზურაბ ჟვანია და ნინო ბურჯანაძე ქუჩაში გავიდნენ. მოგვიანებით მათ მიხეილ სააკაშვილიც შეუერთდათ.

ნინო შესაძლოა, ახლაც იგივე გეგმას ამუშავებს. ის შემთხვევით არ ამბობს, რომ აუცილებლად დაიცავს ხმებს. მაგრამ ის არ ენდობა საერთაშორისო ორგანიზაციების – NDI-სა და IRI-ს კვლევებს. შესაბამისად, ასეთივე წარმატებით შესაძლოა, ეჭვქვეშ დააყენოს ცესკოს მონაცემებიც.

„ვარდების რევოლუცია“ მაშინ შედგა იმიტომ, რომ ის არჩევნები არც საერთაშორისო ორგანიზაციებმა ცნეს და მეორე, მთავარი მოთამაშე ფიგურები – ჟვანია, სააკაშვილი და ბურჯანაძე ერთად დადგნენ.

ამიტომაც ის, რაც მაშინ მოხდა, აფეთქება, ან კამიკაძეების თავგანწირვა კი არ იყო, არამედ იყო კანონზომიერება. გაყალბებული არჩევნები მიუღებელი აღმოჩნდა ყველასთვის.

ახლა შესაძლოა, ბურჯანაძე მიზეზის გარეშე დარჩეს. წარმოუდგენელია, არჩევნები გაყალბდეს და მეორეც, მთავარი პოლიტიკური მოთამაშეები ისევე დატოვებენ ნინოს მარტო, როგორც ეს 26 მაისს გააკეთეს.

ნინო ბურჯანაძე უკვე თავად იქცა ნაღმად და ამჯერად მისი განაღმვა „ქართულ ოცნებას“ მოუწევს. არასაპარლამენტო პარტიები და ზოგიერთი ექსპერტი აცხადებს, რომ ეს არჩევნები ისეთივე საფრთხის შემცველია როგორც სხვა დანარჩენები და რომ სამოქალაქო დაპირისპირებამდე ვითარება ახლაც შეიძლება მივიდეს. თუმცა, პოლიტიკური პარტიები და სერიოზული ექსპერტები ასეთ წინასწარმეტყველებას უტოპიურს უწოდებენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თამარ ჟვანია: „ეს საკმაოდ სკანდ

my View
თამარ გორთამაშვილი

**„ნდობა მუდმივი პრიორიტეტი უნდა იყოს არა მარტო საარჩევნო ადმინისტრაციის, არამედ ყველა დემოკრატიული ინსტიტუციის, რომელიც ქვეყანაში დემოკრატიას აშენებს“, – ეს სიტყვები ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალ თავმჯდომარეს ეკუთვნის, რომელიც ამ პოსტზე მართლაც უპრეცედენტო ნდობით მოვიდა. „პრაიმტაიმთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში თამარ ჟვანია იმ საკითხებზე საუბრობს, რა მიმართულებითაც საარჩევნო ადმინისტრაცია გააქტიურებას გეგმავს. ნდობა და პროფესიონალიზმი – ეს ის პრიორიტეტებია, რომლითაც ჟვანია, 13-წლიანი ბეგრაუნდით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოვიდა.**

**თამარ ჟვანია:** „მინდა ხაზგასმით ვთქვა და ძალიან მნიშვნელოვანია, ეს ყველამ იცოდეს, ნდობაზე არ მუშაობს მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაცია. საარჩევნო ადმინისტრაციას თავისი კომპეტენციის ფარგლებში აქვს სამუშაო. მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, იმ პროცესების ნდობა, რისი გარანტიც ადმინისტრაციაა, მაგრამ საარჩევნო პროცესი უფრო მეტია, ვიდრე საარჩევნო ადმინისტრაციის კომპეტენცია. ეს არის ყველა ჩართული მხარე, მედია, არასამთავრობო სექტორი, პოლიტიკური პარტიები, საქართველოს ხელისუფლება... ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა და მონდომება სჭირდება, რომ ნდობა იყოს ყველაზე მაღალი, რომ მათ ჩვენთან ერთად ხელი უნდა შეუწყონ მის გაზრდას, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი....

რა თქმა უნდა, საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან, ცვლილებები (უფრო წინგადადგმულ ნაბიჯებს ვუწოდებდი), ამ კუთხით აუცილებელია. როგორც გრძელვადიან პერსპექტივაში, ისე ყოველდღიურ სამუშაოში, გამჭვირვალობა და პროფესიონალიზმი ნდობის გაზრდის ყველაზე დიდი გარანტი უნდა იყოს. უფრო მეტი გამჭვირვალობაა საჭირო ყველა საარჩევნო დონის კომისიაში და რა თქმა უნდა, პროფესიონალიზმი, რითაც შენ ადასტურებ, რომ პროფესიონალი ხარ და არა მიკერძოებული. ცესკოს გაცილებით მეტი ძალისხმევა სჭირდება იმის დასამტკიცებლად, რომ ის ნამდვილად დამოუკიდებელი ინსტიტუციაა, რომ ის არ არის პოლიტიკურად მიკერძოებული და ის ქვეყნისთვის, ამომრჩევლებისთვის აკეთებს მხოლოდ იმ საქმეს, რასაც დემოკრატიული არჩევნების ჩატარება ჰქვია... ეს ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, კანონის დაცვით, კანონის უზენაესობის ფონზე უნდა მიმდინარეობდეს. მე, როგორც ცესკოს თავმჯდომარეს, მიმაჩნია, რომ არც ერთი ისეთი გადაწყვეტილება არ უნდა იყოს მიღებული, რომელიც კანონს ოდნავ მაინც ეჭვქვეშ დააყენებს, აქედან გამომდინარე, არ უნდა იყოს შერჩევითი და პოლიტიკური გადაწყვეტილებები. ასე მუშაობდა არსებული ცენტრალური საარჩევნო კომისია, რამაც წლების განმავლობაში გაზარდა მისდამი ნდობა. ჩვენ კი ვიმუშავებთ იმისთვის, რომ უფრო მაღალ დონეებსა და სტანდარტებს მივაღწიოთ.

**„თუ პირველი ტურისთვის მზად არის ადმინისტრაცია, აუცილებლად მზად იქნება მეორე ტურისთვისაც“**

ჩემთვის ცენტრალური საარჩევნო კომისია არ არის ახალი ინსტიტუცია. თუმცა აბსოლუტურად სხვაა, როდესაც გარედან უყურებ მას. როცა შიგნით შემოდიხარ, უკვე შიგნიდან ხედავ ყოველივეს და შემიძლია, ვთქვა, რომ პროფესიული თვალსაზრისით ძალიან გამოხატული პრობლემები ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ აქვს. ეს გამართული ინსტიტუციაა, სტრუქტურა გამართულად მუშაობს. პრობლემები, ალბათ, უფრო კადრების თვალსაზრისით შეიძლება იყოს, ისიც ქვედა დონეებზე. ზოგადად, ამომრჩეველს სჭირდება უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება, საჭიროა მეტი კარგი რესურსის მოზიდვა. საუბნო საარჩევნო კომისიის დონეებზე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება შესაბამისი რესურსის მოძიება, რომ არჩევნების ჩატარება, არა მარტო არჩევნების დღეს, არამედ წინასაარჩევნო პერიოდშიც მაქსიმალურად პროფესიონალური იყოს, რაც არის კიდეც ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი... ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია შიდა ურთიერთობების უფრო კონსტრუქციულად დალაგება. ბატონმა ზურაბ ხარატიშვილმა ძალიან კარგად შეძლო ამ თემების მოგვარება, თუმცა ვთვლი, რომ კიდევ გარკვეული ნაბიჯებია გადასადგმელი შიდა ურთიერთობების თვალსაზრისით.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობა საკმაოდ სკანდალური და საშიში თანამდებობაა, იქიდან გამომდინარე, რომ ხშირად არ ხდება სწორი გაზომვა იმ ფაქტების, რასაც ცენტრალური საარჩევნო კომისია აკეთებს, თუმცა გეთანხმებით, რომ, ალბათ, იყო გარკვეული საფუძვლები იმ ადამიანების მხრიდან, როდესაც ძველ საარჩევნო ადმინისტრაციასთან ჰქონდათ გარკვეული კითხვები და ეჭვები. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ის არის, რომ არანაირი ეჭვის საფუძველი არ უნდა იყოს მაშინ, როცა ადამიანი საქმეს აკეთებს პროფესიონალურად და იცავს კანონს. თუ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ კანონშესაბამისად, ვერავინ დაგვდებს ბრალს მიკერძოებულობაში. ყველა პოლიტიკური პარტია, ყველა საარჩევნო სუბიექტი აბსოლუტურად თანაბარ პირობებში უნდა იყოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან და არც ერთი ოდნავ მაინც საეჭვო ნაბიჯი არ უნდა გადავდგათ, არც მე, როგორც თავმჯდომარემ, და არც მთლიანად ადმინისტრაციამ, რომ რომელიმე სუბიექტის სასარგებლოდ გაჩნდეს რაიმე ეჭვები. მესმის, რომ შეიძლება პოლიტიკური ქარტეხილების ფონზე, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, პოლიტიკოსებმა გააკეთონ პოლიტიკური განცხადებები, თუმცა, თუ ეს არ იქნება რეალური და დადასტურებული ფაქტი, ჩვენ ჩავთვლით, რომ ადმინისტრაცია მუშაობს მიუკერძოებლად.

**– საარჩევნო სიებთან დაკავშირებით ხომ არ არის პრობლემები?**

– ყველაზე დიდი პრობლემა, რაც პოლიტიკური პარტიების მიერ არის ხოლმე გაცხადებული, ეს არის ის, რომ ეჭვქვეშ აყენებენ ამომრჩეველთა სიის რაოდენობას. სწორედ ამისთვის ახლა არსებობს საკანონმდებლო ცვლილება. იუსტიციის სამინისტრო და შესაბამისი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მოახდენს ამომრჩევლების ბიომეტრიულ რეგისტრაციას, სადაც აბსოლუტურად გამოირიცხება ერთი ადამიანის ორჯერ რეგისტრირება. თუმცა ასეთი ფაქტები ახლა პირადი ნომრების მეშვეობითაც შეიძლება გამოირიცხოს, ისევე როგორც არარსებული ადამიანის რეგისტრაცია. ბიომეტრიული რეგისტრაცია დაგეგმილია მომავალი არჩევნებისთვის, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ეს არ ესწრება. 2012 წლის არჩევნები ჩატარდა იმ სიებით, რომელიც მემკვიდრეობით გადმოგვეცა. რეალურად მაშინ ბევრი ცვლილება მოხდა, დაიხვეწა, ჩატარდა კარდაკარი და მნიშვნელოვანია, რომ 2012 წელს ამომრჩეველთა სიებს ნამდვილად არ შეუქმნიათ პრობლემა. ყველა საერთაშორისო გამოკითხვაში სიებმა, როგორც პრობლემატიკამ, რომელიც სულ პირველ ადგილს იკავებდა ხოლმე, გადაინაცვლა მე-10-12 ადგილებზე, როგორც საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებულმა პრობლემამ. მე ვიტყოდი, რომ ეს უფრო გადმონაშთია ამ დამოკიდებულებისადმი, რაც წლების განმავლობაში საქართველოს საარჩევნო პროცესებს თან სდევდა. კიდევ ერთ ნიუანსს მინდა ხაზი გავუსვა, სიები მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციის შესადგენი არ არის. ჩვენ ამომრჩეველთა სიებს ვადგენთ სხვადასხვა უწყებებისა და სამინისტროების ბაზების საფუძველზე, ეს არის იუსტიციის სამინისტროს, ასევე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემები, სწორედ ამ ბაზების საფუძველზე დგება საარჩევნო სიები. დარწმუნებული ვარ, ყველა ეს ინსტიტუცია დღეს მოწადინებულია, რომ არანაირი პრობლემა ამ ბაზებში არ იყოს. გარდა ბიომეტრიული მონაცემებისა, ისინი ყველა ძალისხმევას მიმართავენ, რომ სიის მონაცემები იყოს დახვეწილი. საარჩევნო ადმინისტრაციაც გამოაკრავს არსებულ სიას, რომელსაც ჩვენ მოგვცემენ სამინისტროები და რაც გამოყენებული

**„მესმის, რომ შეიძლება პოლიტიკური ქარტეხილების ფონზე, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, პოლიტიკოსებმა გააკეთონ პოლიტიკური განცხადებები, თუმცა, თუ ეს არ იქნება რეალური და დადასტურებული ფაქტი, ჩვენ ჩავთვლით, რომ ადმინისტრაცია მუშაობს მიუკერძოებლად“**

**„მე, როგორც ცესკოს თავმჯდომარეს, მიმაჩნია, რომ არც ერთი ისეთი გადაწყვეტილება არ უნდა იყოს მიღებული, რომელიც კანონს ოდნავ მაინც ეჭვქვეშ დააყენებს“**

**„ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობა საკმაოდ სკანდალური და საშიში თანამდებობაა, იქიდან გამომდინარე, რომ ხშირად არ ხდება სწორი გაზომვა იმ ფაქტების, რასაც ცენტრალური საარჩევნო კომისია აკეთებს, თუმცა გეთანხმებით, რომ, ალბათ, იყო გარკვეული საფუძვლები იმ ადამიანების მხრიდან, როდესაც ძველ საარჩევნო ადმინისტრაციასთან ჰქონდათ გარკვეული კითხვები და ეჭვები“**

**„არჩევნების სფეროში ჩემი 13-წლიანი საქმიანობის დროს არც ერთი სიტყვა არ შეიძლება მოიძებნოს, რომელიც შეიძლებოდა არანეიტრალურობის, მიკერძოებულობის კრიტერიუმით შეფასებულიყო“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ალური და საშიში თანამდებობაა“

**„ნდობაზე არ მუშაობს მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაცია. საარჩევნო ადმინისტრაციას თავისი კომპეტენციის ფარგლებში აქვს სამუშაო. მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, იმ პროცესების ნდობა, რისი გარანტიც ადმინისტრაციაა, მაგრამ საარჩევნო პროცესი უფრო მეტია, ვიდრე საარჩევნო ადმინისტრაციის კომპეტენცია. ეს არის ყველა ჩართული მხარე, მედია, არასამთავრობო სექტორი, პოლიტიკური პარტიები, საქართველოს ხელისუფლება... ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა და მონდომება სჭირდება, რომ ნდობა იყოს ყველაზე მაღალი, რომ მათ ჩვენთან ერთად ხელი უნდა შეუწყონ მის გაზრდას, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი...“**

EXCLUSIVE

იქნა საარჩევნო უბნებზე, რომ მაქსიმალურად დავხვეწოთ ყველაფერი, თუკი რაიმე პრობლემაა. კიდევ ერთი, გახსოვთ, ალბათ, რომ ამომრჩეველთა ბარათები არჩევნების დღესთან ძალიან ახლოს რიგდებოდა, ჩვენ დაახლოებით ერთი თვით ადრე ვაპირებთ ამ ინფორმაციის მიწოდებას ამომრჩევლისთვის და თუ ისინი ნახავენ, რომ ბარათი მიუვიდა ისეთ ადამიანს, რომელიც ბუნებაში არ არსებობს, ან უცხოეთშია გასული, ანდაც გარდაცვლილია, ოჯახის წევრები, თავისთავად, სიის გადამოწმების პერიოდში ამ ინფორმაციის დაზუსტებაში მოგვეხმარებიან. თუმცა კიდევ ერთხელ ვიტყვი, წინა არჩევნებზე სიები პრობლემა არ ყოფილა.

**– მედიას მოეხსნება შეზღუდვა?**

– ეს იყო ჩემი, როგორც თავმჯდომარის, პირველი ინიციატივა, რომ ამ თემაზე მსჯელობა დაგვეწყო. როდესაც მე მოვედი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ, პირველი, რაც გავაჟღერე, სწორედ ეს იყო. მე ვიცოდი ეს წუხილი არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლების მხრიდან. ჩემთვის ყველაზე დიდ პრობლემას ქმნიდა ის, რომ დადგენილება, რომელიც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ძალიან ბოლო მომენტში იქნა მიღებული და რეალურად მისი იმპლემენტაცია, კარგად გააზრება ვერც მოხერხდა, არამარტო მედიისა და სხვა უფლებამოსილი პირების მხრიდან, რომლებიც კენჭისყრის დღეს იმყოფებიან უბანში, არამედ თვითონ კომისიების მხრიდანაც, იმიტომ რომ ძალიან ცოტა დრო იყო. ამაზე იყო კიდეც საერთაშორისო დასკვნებში შენიშვნა. თუმცა ეუთოს არც ერთ რეკომენდაციაში შინაარსობრივი შენიშვნა დადგენილებაზე არ ყოფილა, მაგრამ მე მესმოდა წუხილი მედიის მხრიდან, არასამთავრობო სექტორის მხრიდან და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, როგორც ახალმა მოსულმა თავმჯდომარემ, ამ თემაზე წამოგვეწყო ინიციატივა და საუბარი. კომისიის წევრებთან ამაზე ჩვენ შიდა მსჯელობა გვქონდა და ისინიც დაგვეთანხმნენ, რომ მნიშვნელოვანია, შევხვდეთ ამ ადამიანებს და რეალური ფაქტები მოვისმინოთ თემასთან დაკავშირებით, იმიტომ რომ ჩვენთან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, არც ერთი კონკრეტული ფაქტი, არათუ საჩივარი, წუხილიც კი, წერილობითაც არ არის შემოსული, რომ ჩვენ ვიცოდეთ, რა პრობლემები შეიქმნა ამის გამო. ამიტომ ეს შეხვედრა ჩემი ინიციატივაა, თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ამ საკითხს მხოლოდ თავმჯდომარე არ წყვეტს. ზოგადად, თავმჯდომარის მიმართ არის ხოლმე გაზრდილი მოთხოვნები და ეს არ შეესაბამება, რეალობას, იმიტომ რომ თავმჯდომარემ შეიძლება წარმართოს და უხელმძღვანელოს პროცესს, მაგრამ კონკრეტულად, მაგალითად, ამ საკითხს, კომისია წყვეტს და დადგენილების ცვლილებას სჭირდება კომისიის წევრთა მინიმუმ 9 ხმა.

**– რომელი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები დაკვირდებიან საპრეზიდენტო არჩევნებს?**

– ძალიან ბევრი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციაა მსურველი, რომ ამ არჩევნებს დააკვირდეს. დღესდღეობით 37 ადგილობრივი, 23 საერთაშორისო ორგანიზაცია და მედიის 18 წარმომადგენელია რეგისტრირებული და ეს რაოდენობა უკვე მეტყველებს, რომ ინტერესი და სურვილი დიდია. დარეგისტრირებულ დამკვირვებლებს შორის არიან ისეთი ცნობილი ინსტიტუციები და ორგანიზაციები, როგორებიც არიან ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სამართლიანი არჩევნები, საერთაშორისო გამჭვირვალობა, სამოქალაქო განვითარების ცენტრი, ასევე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა, ეუთოს საერთაშორისო მისია, „ენდიანი“, „აირაი“, „აიფესი“, ყველა ეს ორგანიზაცია ძალიან მნიშვნელოვნად იქნება წარმოდგენილი და მიმაჩნია, რომ ეს იქნება პროცესის გამჭვირვალობის გარანტი. ჩვენ, პირიქით, ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, რომ საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლები მაქსიმალურად იქნენ წარმოდგენილი უბნებზე, რომ ყველამ დაინახოს, როგორი იქნება პროცესი და მისცენ ადეკვატური შეფასება.

**„თუ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ კანონშესაბამისად, ვერავინ დაგვდებს ბრალს მიკერძოებულობაში. ყველა პოლიტიკური პარტია, ყველა საარჩევნო სუბიექტი აბსოლუტურად თანაბარ პირობებში უნდა იყოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან და არც ერთი ოდნავ მაინც საეჭვო ნაბიჯი არ უნდა გადავდგათ“**

**– როდის იწურება კანდიდატების რეგისტრაციის ვადა და თუ აპირებთ სალომე ზურაბიშვილის საკითხის გადახედვას? როგორც ცნობილია, მან თქვენ მოგმართათ ამ თხოვნით...**

– საპრეზიდენტო არჩევნებისთვის პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირების 54 მსურველი იყო, კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი ჯერჯერობით ისევ მიმდინარეობს. ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაცია არ ნიშნავს კონკრეტულად კანდიდატის რეგისტრაციას. გარკვეული პროცედურაა ჩასატარებელი, რომ კანდიდატი დარეგისტრირდეს. ამ ეტაპისთვის ამ 54 მსურველიდან 28 არ გატარდა რეგისტრაციაში, სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორის არის ორმაგი მოქალაქეობის თემაც, რომელიც არამარტო სალომე ზურაბიშვილს უკავშირდება. რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზი იყო, ასევე, მხარდამჭერთა სიების წარმოუდგენლობაც. პირადი განცხადების საფუძველზეც მოხდა რეგისტრაციაში არგატარება. ამ დროისთვის 19 კანდიდატია ოფიციალურად რეგისტრირებული. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პრეზიდენტობის კანდიდატობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი მხარდამჭერი ამომრჩევლების სიების შემოწმება, მხარდამჭერთა სიების ხელმოწერების წარმოდგენის ბოლო ვადა იყო 17 სექტემბერი, კანდიდატების რეგისტრაციის პროცესი კი საბოლოოდ 27 სექტემბერს დასრულდება.

რაც შეეხება ქალბატონ სალომეს, ეს უკვე არ არის საარჩევნო ადმინისტრაციის თემა, რამდენადაც სასამართლო პროცესები იყო, არა მარტო ერთი, არამედ ორი ინსტანციის. რამდენიმე მოსამართლემ განიხილა არა მხოლოდ ქალბატონ სალომესთან დაკავშირებული, არამედ სხვა მსგავსი საქმეები. ფაქტობრივად, ყველა მოსამართლემ კანონი იმგვარად წაიკითხა, რომ მათ არ ეკუთვნოდათ ორმაგი მოქალაქეობის გამო რეგისტრაცია. მიმაჩნია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან სასამართლო გადაწყვეტილებებზე კომენტარი აბსოლუტურად მიზანშეუწონელია, მე ადამიანურად მესმის ქალბატონი სალომეს სურვილი და მან ამ ეტაპზე, როგორც ახალ თავმჯდომარეს, მომმართა ჩვეულებრივი წერილით. რა თქმა უნდა, ამ წერილს მე აუცილებლად ვუპასუხებ, უბრალოდ, ჩვენი განსახილველი ეს თემა უკვე აღარ არის.

**– მეორე ტურის შემთხვევაში, მზად არის საარჩევნო ადმინისტრაცია?**

– ჩვენ პირველი ტურისთვის მზად ვართ და თუ პირველი ტურისთვის მზად არის ადმინისტრაცია, აუცილებლად მზად იქნება მეორე ტურისთვისაც.

**– დაფინანსება თუ გყოფნით?**

– ამ მხრივ, პრობლემები არ არის, ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტში დამტკიცდა თანხა, რომელიც ამ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის 29 მილიონს შეადგენს. ფინანსური თვალსაზრისით, იმისთვის რომ ჩვენ უზრუნველვყოთ საარჩევნო ღონისძიებები, ნამდვილად არანაირი პრობლემა არ არის. ეს თანხა სრულიად ეყოფა ყველა ღონისძიებას, მათ შორის იმ შესაძლო გამოწვევას, რომელსაც მეორე ტური ჰქვია.

**– დაბოლოს, თქვენს კანდიდატურას მაღალი ნდობა გამოუცხადა უკლებლივ ყველამ, რა დამსახურებით?**

– რომ გითხრათ, რომ გამიკვირდა, ნამდვილად არ ვიქნები მართალი, იმიტომ რომ არჩევნების სფეროში ჩემი 13-წლიანი საქმიანობის დროს არც ერთი სიტყვა არ შეიძლება მოიძებნოს, რომელიც შეიძლებოდა არანეიტრალურობის, მიკერძოებულობის კრიტერიუმით შეფასებულიყო. სწორედ ჩემი ეს მრავალწლიანი ურთიერთობა არჩევნებში ჩართულ სხვადასხვა მხარესთან, არასამთავრობო სექტორთან და მედიასთან იყო მიზეზი ამ ნდობისა. ვფიქრობ, ჩემმა ხანგრძლივმა საქმიანობამ მოიტანა ეს დამოკიდებულება ჩემდამი და მე კიდევ ერთხელ ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვინც კი ეს პოზიცია დააფიქსირა და ასეთი ნდობა გამომიცხადა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# არის თუ არა მერაბიშვილი რუსუ

my View
თამარ
გორთამაშვილი

# ყოფილი თანამოაზრეები მერაბიშვილს უპირისპირდებიან

EXCLUSIVE

**„ როდესაც ეს კადრები გავრცელდა, მაშინ კითხვები გამიჩნდა და ეს კითხვები იყო ძალიან მარტივი. თუ შეიძლებოდა მსგავსი რამ სასჯელაღსრულების სისტემაში გაკეთებულიყო და ამის შესახებ ვანო მერაბიშვილს არ სცოდნოდა – გამორიცხულია“**

**„რუსულ სპეცსამსახურებს გამოუყენებიათ აგენტები, ამ ადამიანებს შეუსრულებიათ თავიანთი ამოცანები და ისე გაუქრიათ ისინი, რომ მათი კვალისთვისაც ვერავის მიუგნია. ვანო მერაბიშვილის ციხეში ჩასმა ყველაზე საუკეთესო ვარიანტია რუსული სპეცსამსახურების იმ მეთოდოლოგიიდან, რაც მათ აქვთ“**

**ციხის კადრების გავრცელებიდან ერთი წლის თავზე, სულ უფრო აქტიურდება ხმები იმის თაობაზე, რომ ცნობილი კადრების უკან მაშინდელი პრემიერი ვანო მერაბიშვილი იდგა. შს ყოფილი მინისტრი და ექსპრემიერი დღეს განსასჯელის სკამზე ზის, მართალია, სხვა ბრალდებით, მაგრამ ყოფილი თანამოაზრეები მის ქმედებაში რუსული სპეცსამსახურების კვალს ხედავენ და აცხადებენ, რომ წამების ამსახველი კარდები მერაბიშვილმა საакაშვილისა და იმ ერთადერთი უწყების ხელმძღვანელის წინააღმდეგ დაგეგმა და გაასაჯაროვა, რომელსაც ის შს მინისტრობის დროს ვერ აკონტროლებდა. თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი თეა თუთბერიძე, ერთწლიანი მოვლენების ანალიზის შემდეგ აცხადებს, რომ ადგილი ჰქონდა გარიგებას „ოცნებასა“ და მერაბიშვილს შორის, ხოლო დამკვეთი რუსული სპეცსამსახურები იყვნენ.**

**თეა თუთბერიძე:**

– როგორც კი ეს კადრები გავრცელდა, მაშინვე გამიჩნდა ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ყველაფრის უკან გაცილებით სერიოზული პრობლემა იდგა, ვიდრე ეს რეალურად ჩანდა და ვიდრე ეს „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს წარმოედგინათ. როდესაც ეს კადრები გავრცელდა, მაშინ კითხვები გამიჩნდა და ეს კითხვები იყო ძალიან მარტივი. თუ შეიძლებოდა მსგავსი რამ სასჯელაღსრულების სისტემაში გაკეთებულიყო და ამის შესახებ ვანო მერაბიშვილს არ სცოდნოდა – გამორიცხულია. თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ნებისმიერ რამეზე, რაც ხდებოდა არა მარტო სასჯელაღსრულების სისტემაში, არამედ სხვა უწყებაშიც კი, ინფორმაცია ჰქონდა შსს-ს. მსგავსი რამ ციხეში მომხდარიყო – ცემა, წამება, ამ ყველაფრის ფირებზე აღბეჭდვა, ეს ყველაფერი თვეების განმავლობაში გაგრძელებულიყო და ამის შესახებ შსს-ს არ ჰქონოდა ინფორმაცია, ეს არის წარმოუდგენელი. შსს-ს ყველგან და ყველაფერში ჰყავდა თავისი ოფიციალური წარმომადგენლები, ე.წ. ოდეერები. შესაბამისად, შეუძლებელია, ეს ინფორმაცია შსს მაღალ რგოლებში არ ყოფილიყო.

**– შენ ფიქრობ, რომ მერაბიშვილის მხრიდან ნებადართულიც იყო და ნაბრძანებიც წამებაც და მისი გადაღებაც?**

– კადრები, რომელიც შემდეგ გავრცელდა ბოლო თვეებში, ეს ყველაფერი ვანო მერაბიშვილის დროს არ დაწყებულა პოლიციაში. ეს ყველაფერი წლების განმავლობაში დამკვიდრებული მეთოდები და პრაქტიკა იყო პოლიციის სისტემაში, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენ, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებმა, რევოლუციიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, ჩავთვალეთ, რომ აღმოიფხვრა. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ პატრულის რეფორმას ამოფარებული ხდებოდა ეს ყველაფერი. ისინი ლამაზ უნიფორმებში „შეფუთული“ თანამშრომლები იყვნენ და მაშინდელი ხელისუფლება კარგად აპიარებდა მათ. სამწუხაროდ, ისე გამოვიდა, რომ შეფარულად მაინც ხდებოდა. ვერავინ ვერ იტყვის, რომ მსგავსი მეთოდების გამოყენებით როდესმე მომხდარა ციხის მართვა. არ ვგულისხმობ ბოლო წლებს, როდესაც, სამწუხაროდ, დაიწყო ციხეების მართვა. ეს არ ხდებოდა თვით შოთა კოპაძის პერიოდშიც კი, როდესაც კვირაში მე ცხრა პრესკონფერენციას ვმართავდი კოპაძის წინააღმდეგ, რომელიც გახლავთ ბაჩო ახალაიას წინამორბედი. ეს არის ის პერიოდი, როდესაც „კანონიერი ქურდები“ და „ავტორიტეტები“ მართავდნენ ციხეებს და ქვეყნის შიგნით კრიმინალურ სიტუაციასაც. ამ პერიოდშიც კი ძალიან ბევრ რამეს ჰქონდა ადგილი, მაგრამ მსგავსი მეთოდები ციხეებში არ იყო. ვგულისხმობ იმას, რაც ფირებზე აღბეჭდეს და გარეთ გამოიტანეს, იმას, რასაც მოჰყვა საზოგადოების რეაქცია, რამაც გამოიწვია ნაციონალების დამარცხება და „ქართული ოცნება“ მოვიდა სათავეში. მე გამიჩნდა კითხვა იმ დღის შემდეგ, რაც ეს კადრები გამოჩნდა და ამის შემდეგ დავიწყე ძიება იმისა, რა იყო და ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან. იმ პერიოდში ვფიქრობდი, რომ ამ ყველაფრის უკან იდგა სერიოზული პრობლემა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების შიგნით, მაგრამ კონკრეტულად ვისი მხრიდან, არ ვიცოდი.

**– ახლა რა შეგიძლია, თქვა?**

– რაც გავარკვიე, სამწუხაროდ, ამ კადრების უკან იდგა ვანო მერაბიშვილი.

**– რა მიზნით გააკეთა, თუ ეს მართლაც ვანო მერაბიშვილი იყო?**

# რა კავშირშია ექსპრემიერი ციხის სკანდალური კარდების გავრცელებასთან

– ამით ვანო მერაბიშვილმა დაარტყა არა ახალაიებს, არამედ მიხეილ საакაშვილს. საზოგადოებას, ალბათ, ძალიან კარგად ახსოვს, სამი თვით ადრე ვანო მერაბიშვილი ჩამოაშორეს შს სამინისტროს, რომელიც არა მარტო შსს-ს აკონტროლებდა, არამედ ყველა უწყებას, გარდა თავდაცვის სამინისტროსი. მას პრეზიდენტმა მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა, რომ ის სჭირდებოდა ქვეყანას, როგორც პერმიერ-მინისტრი. მისი ჩამოშორება არა მარტო შს სამინისტროსგან, არამედ თითქმის ყველა უწყებისგან ხდებოდა და ამ ბერკეტების ჩამოშორება შეიფუთა ისე, რომ ვანო მერაბიშვილი სჭირდებოდა ქვეყანას, როგორც პრემიერ-მინისტრი. მინდა მიაქციოთ ყურადღება, რომ ვანო მერაბიშვილი სიაშიც კი არ აღმოჩნდა, არა თუ პირველ ნომრად, არამედ მეხუთე ნომრადაც კი. ჩემი ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვების შემთხვევაში ვანო მერაბიშვილი არ იქნებოდა პრემიერ-მინისტრი. თუ ეს ვარაუდი არსებობდა და ამის შესახებ ვიღაცებმა იცოდნენ, ბუნებრივია, ამის შესახებ ეცოდინებოდა ვანო მერაბიშვილსაც. სამი თვით ადრე ამ კადრების გავრცელებამდე მერაბიშვილს მხარზე ხელი მოუთათუნეს და უთხრეს, „სოფელს მიხედეო“. წარმოიდგინეთ, მისი მხრიდან ამ ყველაფერს რა უნდა მოჰყოლოდა. სამწუხაროდ, მოჰყვა ასეთი ტიპის ანგარიშსწორება. რასაც გადაჰყვა, არა მხოლოდ ქვეყანა, არამედ ამას თვით ეს ადამიანიც.

**– ფაქტია, რომ მერაბიშვილი დღეს ციხეშია, რა ლოგიკაა მაშინ?**

– ძალიან რთული აღსაქმელი შეიძლება იყოს „ნაციონალური მოძრაობის“ ბევრი მხარდამჭერისთვის, მაგრამ ლოგიკა ნამდვილად არის. თუ გახსოვთ, როდესაც ეს კადრები გავრცელდა, პირველი მოთხოვნა, რაც აქციაზე შეაგდეს, იყო ის, რომ გადადგეს ახალაია, მიუხედავად იმისა, რომ ის ამ სისტემის მართვას ხუთი წლის წინ იყო ჩამოშორებული. მაშინ როდესაც 5 წლის განმავლობაში ის სხვა საქმით იყო დაკავებული, არ ყოფილა ნახსენები სასჯელაღსრულების არც ერთი წინა მინისტრი და არ წამოსულა მოთხოვნა მათი პასუხისგებაში მიცემისა.

**– კალმახელიძეზე იყო...**

– კალმახელიძეზე, ბუნებრივია, იმ პერიოდში გავრცელებულ კადრებზე იყო საუბარი და მან თავად გააკეთა განცხადება წასვლასთან დაკავშირებით. როგორც კი გადადგა ბაჩო ახალაია, მეორე მოთხოვნა, რომელიც ასევე შეაგდეს აქციაზე, იყო დათა ახალაიას გადადგომის მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, რომ ბაჩო ახალაიამ გაავრცელა განცხადება, რომ ის იღებდა პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ მისი დატოვებული კადრების პერიოდში, ანუ ჭაკუას დროს მოხდა ეს ყველაფერი. შემდეგი მოთხოვნა, რაც დადგა, იყო ის, რომ დავიძრათ თავდაცვის სამინისტროსკენ და მოვითხოვოთ დათა ახალაიას გადადგომა. როდესაც ამ კადრებს ვუყურებდი, კარგად ვიცოდი, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ყველაფრის საფუძველი? როგორ ხდება ამდენი სტუდენტის გამოსვლა და რაღაცების მოთხოვნა, ეს ძალიან კარგად ვიცი. თვით შევარდნაძის რეჟიმიც კი ახერხებდა, რომ 2003 წელს, როდესაც მაშინდელმა ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა, უზრუნველეყო, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი ქუჩაში არ გამოსულიყო. მიუხედავად იმისა, რომ შედარებაც კი არ შეიძლება შევარდნაძის რეჟიმისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების. თქვენ იცით, რომ 2012



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ლი სპეცსამსახურების პროექტი

## „რაც გავარკვიე, სამწუხაროდ, ამ კადრების უკან იდგა ვანო მერაბიშვილი“

წლის სექტემბერში სტუდენტი არ დარჩენილა უნივერსიტეტში, ყველა ქუჩაში იდგა და ამას თვითონ უნივერსიტეტების თვითმმართველობები აკეთებდნენ.

რაც შეეხება იმას, რომ ახალაია ზის ციხეში, მიხეილ სააკაშვილი ამ ეტაპზე ხელშეუხებელია და ვანო მერაბიშვილიც ციხეშია. ეს გასაგებია, რადგან მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტია და ასე მარტივად ვერავინ ვერ დაიჭერდა, თუმცა ამის სურვილი რუსული სპეცსამსახურებისა და ვლადიმერ პუტინის მხრიდან ძალიან დიდია. იმ ყველაფრის უკან, რომ ბიძინა ივანიშვილი დღეს მიდის ხელისუფლების მართვის სადავეებიდან, გაცილებით მეტი რამ დგას, ვიდრე იმ განცხადების უკან, რომელიც მან გაავრცელა. ბიძინა ივანიშვილმა პუტინის მთავარი დაკვეთა, რომ სააკაშვილი დროზე ადრე ჩამოეშორებინა ქვეყნის მართვის საადავეებისგან, ვერ შეასრულა. მიხეილ სააკაშვილი თავის საპრეზიდენტო ვადას ასრულებს. რაც შეეხება ბაჩო ახალაიას საკითხს, რა თქმა უნდა, მას დაიჭერდნენ, იმიტომ რომ მთელი წინასაარჩევნო პიარი და კამპანია აგებული იყო იმაზე, რომ ბაჩო ახალაია იყო მკვლელი, მონსტრი. იცით, რომ, როგორც კი ის საქართველოში ჩამოვიდა, დააკავეს და 6 ნოემბერს წაუყენეს აბსურდული ბრალდებები. რომელზეც ბაჩო ახალაიას გამამართლებელი განაჩენი უკვე დადგა. 2013 წლის 2 მარტს წაყენებულ ბრალდებაზე ამ წუთებშიც მიმდინარეობს სასამართლო და ველოდებით გამამართლებელ განაჩენს.

რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის დაკავებას, გეტყვით, რაშიც იყო საქმე. როდესაც ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა 2013 წელს თელავში და თქვა, რომ ისინი გაიტანდნენ საკონსტიტუციო ცვლილებებს პარლამენტში და ამ ცვლილებებს გაიტანდნენ უმრავლესობით, რასაც მხარს დაუჭერდა „ნაციონალური მოძრაობა“, მაშინ როდესაც ეს ამბავი მიხეილ სააკაშვილთან არ ყოფილა შეთანხმებული, ეს, რა თქმა უნდა, პირდაპირ აღძრავდა ეჭვებს, რომ ივანიშვილს გარანტია ჰქონდა ვანო მერაბიშვილისგან. ივანიშვილმა განაცხადა, რომ ამ ყველაფერს მხარს არ დაუჭერდა ტვინდათხელებული დეპუტატი და მათში სწორედ ის ადამიანები მოიაზრა, რომლებიც დღემდე მიხეილ სააკაშვილის ერთგულნი არიან. მაშინ მიხეილ სააკაშვილს „ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით დიდი ბრძოლა მოუწია, რომ თებერვლის დასაწყისში, როდესაც ამ საკონსტიტუციო ცვლილებებს გაიტანდნენ, ეს არ მომხდარიყო. მაშინ ეს პროექტი ჩაუვარდა „ქართულ ოცნებას“. ქრონოლოგიურად შეგიძლიათ ამოიღოთ ივანიშვილის გამოსვლა, 4 თებერვლის შემდეგ, რამდენიმე დღეში, სადაც ის ატარებს ბრიფინგს და თითს უქნევს პირველად ვანო მერაბიშვილს. ის ახსენებს მის სახელსა და გვარს. მის მესიჯებში ისმის მუქარა ვანო მერაბიშვილის მისამართით. შემდეგ უკვე იწყება ვანო მერაბიშვილის დაბარება პოლიციაში. აქ იგრძნო სწორედ ვანო მერაბიშვილმა საფრთხე, რომ ბიძინა ივანიშვილი არ არის მიხეილ სააკაშვილი, რომლის გადაგდებაც შეიძლებოდა ასე მარტივად და რასაც არ მოჰყვებოდა პასუხი. იმ პერიოდიდან დაიწყო „ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით ძალიან დიდი ვნებათაღელვა და პრეზიდენტის მიმართ იმის ახსნა, რომ, თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ არ დაუჭერდა მხარს „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს, მაშინ დაიწყებოდა დაკავებები, დევნა-შევიწროება და ა.შ. „ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით რამდენიმე დეპუტატი იბრძოდა, მაგრამ უმეტესობამ შეძლო, გაეტანა ეს იდეა, რომ მომხდარიყო საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის მხარდაჭერა. ყველამ მისცა ხმა, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ ნაწილს არ სურდა ხმა მიეცა. მხარდაჭერა მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ის შიდა პრობლემები, რაც „ნაციონალურ მოძრაობაში“ არსებობდა, საჯარო არ გამხდარიყო.

როდესაც ვანო მერაბიშვილი დაიკავეს, მაშინ თქვენმა კოლეგამ მკითხა: სად იყო ლოგიკა ჩემს ბრალდებებში. მაშინ ვთქვი კიდეც, რომ აქ სულ სხვა ინტერესები იდგა, ვიდრე პიროვნული ვანო მერაბიშვილის მხრიდან და ვისაუბრე რუსული სპეცსამსახურების ინტერესებზეც. თუ ვინმე გადახედავს ჩვენი ქვეყნის ისტორიას, რა პერიოდში როგორ მოქმედებდა რუსული სპეცსამსახურები ყველაფერი ნათელია. გახსოვთ, ალბათ, როდესაც ზვიად გამსახურდიას ჩამოაშორეს ყველა, ვინც მისი დასაყრდენი იყო, და მის გარშემო შემოიკრიბნენ ის ადამიანები, რომლებმაც რუსული თამაში ითამაშეს და მათ წისქვილზე დაასხეს წყალი. სწორედ ისეთივე ფორმებით მოახერხა რუსულმა სპეცსამსახურებმა ის, რომ მიხეილ სააკაშვილი აღმოჩენილიყო ასეთ მდგომარეობაში. რამდენიმე ადამიანი ჩამოაშორეს მას და ერთ-ერთი ასეთი იყო ვანო მერაბიშვილი.

**– როგორც ამბობ, მერაბიშვილი აღარ იყო სააკაშვილის დასაყრდენი და ამის შესახებ თავადაც იცოდნენ...**

– არჩევნებამდე სულ რამდენიმე თვეღა რჩებოდა. ახალაია სულ ორ თვე-ნახევარი იყო ამ სისტემაში ვანო მერაბიშვილის შემცვლელი. ეს ძალიან ცოტა დრო გახლდათ იმისთვის, რომ ის პრობლემები, რა პრობლემების წინაშეც დადგა მიხეილ სააკაშვილი, მოგვარებულიყო. შეგიძლიათ გადაამოწმოთ, სოდ-ში და კონსტიტუციურში ვინ გაიმარჯვა – „ქართულმა ოცნებამ“ და ეს ეჭვებს არ იწვევს? იმასთან დაკავშირებით, რასაც მე ვამბობ, რომ ბიძინა ვანიშვილი არის რუსული სპეცსამსახურების პროექტი, ისევე როგორც მერაბიშვილი, გეტყვით რაში მდგომარეობს ლოგიკა, რომ ივანიშვილის მთავრობამ დაიჭირა ვანო მერაბიშვილი. ამ კითხვაზე პასუხი არის ძალიან მარტივი. რუსული სპეცსამსახურების მუშაობის მეთოდი წლების განმავლობაში იყო ის, რომ ისინი ისე ამუშავებდნენ აგენტურას, ისინი ერთმანეთს არც იცნობდნენ. რუსულ სპეცსამსახურებს გამოუყენებიათ აგენტები, ამ ადამიანებს შეუსრულებიათ თავიანთი ამოცანები და ისე გაუქრიათ ისინი, რომ მათი კვალისთვისაც ვერავის მიუგნია. ვანო მერაბიშვილის ციხეში ჩასმა ყველაზე საუკეთესო ვარიანტია იმ რუსული სპეცსამსახურების მეთოდოლოგიიდან, რაც მათ აქვთ.

**– ანუ შეიძლება მერაბიშვილიც გააქრონ?**

– არა, იმედი მაქვს, რომ დღეს ეს არ მოხდება. ალოგიკური არაფერია იმაში, რომ რუსული სპეცსამსახურების ერთმა პროექტმა – ბიძინა ივანიშვილმა და მისმა მთავრობამ ციხეში ჩასვა ვანო მერაბიშვილი, რომელიც, სამწუხაროდ, აღმოჩნდა რუსული სპეცსამსახურების ინტერესების გამტარებელი. მეტსაც გეტყვით, დარწმუნებული ვარ, ხვალ ან ზეგ მიხეილ სააკაშვილი უკან რომ მობრუნდეს მთავრობაში თავისი გუნდით, მის გუნდში კვლავ აღმოჩნდება რუსული ინტერესების გამტარებელი მინიმუმ რამდენიმე ადამიანი. სამწუხაროდ, ძალიან კარგად ჰყავს რუსულ სპეცსამსახურებს ქართველი ხალხი შესწავლილი. მათ, მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, იციან, რა იქნება წლების შემდეგ. რუსეთს ჩვენ მიმართ ინტერესი დიდი აქვს. რუსეთმა ძალიან კარგად იცის, რომ, თუ საქართველო გახდება პროდასავლური, ის კარგავს კონტროლს არა მხოლოდ საქართველოზე, არამედ ამიერკავკასიაზე. რუსულ სპეცსამსახურებს 250 ათასი აგენტი ჰყავდა ამ ქვეყანაში და ამის ოფიციალური მონაცემები არსებობს. ვთქვათ, აქედან 50 ათასი აღარ არის ცოცხალი და 200 ათასი სად წავიდა? სად არიან ეს ადამიანები? ყანასა და ვენახში არ სჭირდებათ. ისინი არიან იქ, სადაც პოლიტიკური ამინდი იქმნება. ხშირად ვაფიქსირებდი ჩემს აზრს სხვადასხვა ტელეგადაცემებში, რომ აგენტურა აუცილებლად იქნებოდა აქ ეკლესიაში, ოპოზიციაში და ხელისუფლებაშიც, მაგრამ ყველაზე ნაკლებად წარმომედგინა, რომ ეს ადამიანი იქნებოდა მერაბიშვილი და ეს იქნებოდა რუსული თამაში.

თეა თუთბერიძის პოზიციის გამომხატველი იყო რამდენიმე თვის წინ სოციალურ ქსელში დათა ახალაიას სახელით გავრცელებული წერილიც, რომლის ნამდვილობაზეც ეჭვები მაშინვე გამოითქვა, მაგრამ მისი შინაარსი აბსოლუტურ თანხვედრაშია იმ განცხადებებთან, რომელიც დღეს არაოფიციალურად კეთდება.

მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციისა და პატიმრების წამების კადრების ავტორი პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილია.

„მე ღრმად მწამს, რომ, რომ არა ვანო მერაბიშვილი, „ნაციონალური მოძრაობა“, მიუხედავად შეცდომებისა, ასე გამანადგურებლად არ დამარცხდებოდა არჩევნებში. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და მე მაქვს ამის მტკიცებულებები, რომ ლაფანყურის ავანტიურა ჩემი ძმის – ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ დაგეგმა და გიორგი ლორთქიფანიძის ხელით განახორციელა ვანო მერაბიშვილმა, სასიკვდილოდ გაწირა რა ჩვენი მებრძოლები, უკიდურესად გაგვირთულა ურთიერთობები ჩვენს ქისტ ძმებთან და რეალური საშიშროების წინაშე დააყენა ქვეყნის უსაფრთხოება და საერთაშორისო იმიჯი“, – წერია განცხადებაში.

აქვე აღნიშნულია, რომ ვანო მერაბიშვილმა დაგეგმა და შალვა ჯანაშვილის ხელით განახორციელა იალღუჯაზე ქართველი ჯარისკაცების მიმართ განხორციელებული ძალადობა და არაადამიანური მოპყრობა, რისთვისაც ახლა ბაჩო ახალაიას ასამართლებენ.

„აქვე დავსძენ, რომ მე არ ვამტკიცებ, თითქოს ვანო მერაბიშვილი გარიგებული იყო მაშინდელ ოპოზიციასთან, მაგრამ ერთი რამ დღესავით ნათელია – საკუთარ ყოვლისშემძლეობაში ბრიყვულად დარწმუნებულმა მერაბიშვილმა ივარაუდა, რომ მხოლოდ ახალაიები დაზარალდებოდნენ მისი დანაშაულებრივი ავანტიურების წყალობით და თვითონ კვლავ ხელისუფლების ოლიმპზე დარჩებოდა, რადგანაც არჩევნებში გამარჯვება გარანტირებული ეგონა“, – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

ის, რომ ეს წერილი დათა ახალაიას ეკუთვნოდა, მაშინ მხოლოდ მისმა ადვოკატმა ირაკლი ზაქარეიშვილმა დაადასტურა. ახალაიას ამ წერილს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი მაშინვე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ციხის კადრების საქართველოდან გატანა ვანო მერაბიშვილთან არ იყო დაკავშირებული.

კბილაშვილი აცხადებდა, რომ გამოძიების მონაცემებით, ციხის კადრების გატანა საქართველოს ფარგლებს გარეთ ვანო მერაბიშვილს არ უკავშირდება და ეს სხვა წყაროებით მოხდა. თუმცა, თუ დათა ახალაია ამის დამადასტურებელი მტკიცებულებებს წარმოადგენდა, გამოძიება ამით აუცილებლად დაინტერესდებოდა.

რა გახდა დღეს ამ თემის გააქტიურების მიზეზი და არსებობს თუ არა მართლაც რაიმე მტკიცებულება, რაც მერაბიშვილის ამ მოქმედებას დაადასტურებს, მით უმეტეს, თუ ეს სპეცსამსახურების თემაა, რომლებიც ყოველთვის ზედმიწევნით სუფთად მუშაობენ. თუმცა ფაქტი ერთია, დღეს ვანო მერაბიშვილი ციხეშია, თანაც ხანგრძლივი პერსპექტივით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

**ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:**

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

## დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

**კატეგორიულად აკრძალულია!**

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

**გახსოვდეთ, რომ:**

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

**პატივცემულო მომხმარებლებო!**

**გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როდის და რა მიზნით ჩამოვიდა საქართველოში ოლგა ნაგარნინა?

## აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ ბურჯანაძის თანაგუნდელის დანიშვნა რუსეთის მოქალაქემ გადაწყვიტა

| თარიღი | გვარი(ინგლ) | სახელი(ინგლ) | დაბადებული | დოკ. N | მიმართ | გამტარი პუნქტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 14.08.2013 0:46 | NAGARNINA | OLGA | 23.07.1946 | 515669857 | შემოსვლა | თბილისის აეროპორტი |
| 1 | | | | | | |



საXარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
მომსახურების სააგენტო

თბილისი, წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კმ. ტელ.: 241 90 15

20.08.2013 49/11/2-00660629

ცნობა

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესახებ

გაიცა მასზედ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო – ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე - NAGARNINA OLGA / ნაგარნინა ოლგა-ს, დაბ. 23/07/1946 წელს, მცხ: გულრიფში, ბოტანიკის ქ. N 11, 2013 წლის 1 აგვისტოდან - 2013 წლის 20 აგვისტომდე, საზღვარი გადაკვეთილი აქვს ს.ს.კ.გ. „თბილისის აეროპორტი"-ს გავლით. დანართი - 1(ერთ) ფურცლად:

საზღვართვო და საცნობარო მომსახურების სამმართველოს
საცნობარო მომსახურების განყოფილების უფროსი /გ. ჭითანავა/

**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**

**მას შემდეგ, რაც 8 აპრილს გიორგი ბარამიამ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტი დატოვა, ლოგიკურად დადგა დღის წესრიგში მისი შემცვლელის დანიშვნა. ამ პოსტზე აფხაზეთის დეპუტატიამ საქართველოს პრეზიდენტს ნინო ბურჯანაძის თანაგუნდელი, ვახტანგ ყოლბაია წარუდგინა. ის, რომ მიხეილ სააკაშვილი, საგარეო ორიენტაციიდან გამომდინარე, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ბურჯანაძის კადრს არ დანიშნავდა, იმთავითვე ცნობილი იყო. ამიტომ, პარალელურად, უმაღლესმა საბჭომ დაჩქარებული წესით დაიწყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, რითაც შემოიღო მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ნორმა. ამ კონსტიტუციური ცვლილებით მოვალეობის შემსრულებელი აღიჭურვა იგივე უფლებებით, რითაც მთავრობის სრულფასოვანი თავმჯდომარე. მთელ ამ ამბავში ყველაზე უცნაური კი ის გახლავთ, უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, სადაც ოკუპირებული აფხაზეთის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის საკითხი განიხილებოდა, გადამწყვეტი ხმის უფლებით ოკუპანტი ქვეყნის მოქალაქემ ისარგებლა. ამაზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი მოდით, ვნახოთ, რა პასუხი გაუგზავნა აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს მიხეილ სააკაშვილმა ვახტანგ ყოლბაიას კანდიდატურასთან დაკავშირებით.**

„წარმოდგენილი კანდიდატი ბოლო წლებში, სამწუხაროდ, იქცა აფხაზეთის ოკუპანტ ძალასთან საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ კავშირში მყოფ პოლიტიკური გაერთიანების ერთ-ერთ ლიდერად. ეს ჯგუფი, როგორც ცნობილია, ადანაშაულებს საქართველოს 2008 წლის ომის დაწყებაში და არაერთხელ დააყენა საქართველოს სუვერენიტეტი დარტყმის ქვეშ, ვლადიმერ პუტინთან პირდაპირი თანამშრომლობით 2008 წლის ოკუპაციის შემდეგ. ახლა საქართველოს, განსაკუთრებით დევნილებს, აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებაში სჭირდებათ არა კოლაბორაციონისტები, არამედ საქართველოს დეოკუპაციისა და დამოუკიდებლობის მყარი დამცველები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი კანდიდატის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემა მიზანშეუწონლად მიმაჩნია", – ნათქვამია მიხეილ სააკაშვილის წერილში, რომელიც მან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ელგუჯა გვაზავას სახელზე გაავრცელა.

პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, მიხეილ სააკაშვილმა ყოლბაიას კანდიდატურა დაბლოკა, თუმცა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა ნინო ბურჯანაძის თანაგუნდელს, მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილება მაინც მიანიჭა.

ცვლილებებისთვის ყოლბაიას გუნდი საჭირო ხმებს ვერ აგროვებდა, ამიტომ ბურჯანაძის თანაპარტიელის დასახმარებლად საქართველოში საგანგებოდ ჩამოფრინდა რუსეთის მოქალაქე ოლგა ნაგარნინა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რომელიც უკვე წლებია, საქართველოში არ ყოფილა და შესაბამისად, არც საბჭოს სხდომებში მიუღია მონაწილეობა. „პრაიმტაიმმა" გაარკვია, რომ ოლგა ნაგარნინამ თბილისის აეროპორტის გავლით საქართველოს საზღვარი 10 აგვისტოს გადმოკვეთა, მეორე დღეს დაესწრო უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გამართულ კენჭისყრას, სადაც მისი ხმა გადამწყვეტი გახლდათ. სწორედ მისი დახმარებით შეიდა აფხაზეთის კონსტიტუციაში ცვლილებები, რომლის საფუძველზეც ვახტანგ ყოლბაია მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დანიშნა. რამდენიმე დღეში ოლგა ნაგარნინამ საქართველო დატოვა და რუსეთში გაემგზავრა.

იმას, რომ ნაგარნინა სპეციალურად ყოლბაიას მხარდასაჭერად ჩამოფრინდა საქართველოში, აფხაზეთის ეკონომიკის აწ უკვე ყოფილი მინისტრი, ნანა შეროზიაც ადასტურებს, რომელიც ვახტანგ ყოლბაიას მიერ წარდგენილ აფხაზეთის მინისტრთა ახალ კაბინეტში ვერ მოხვდა. შეროზია საკონსტიტუციო ცვლილებების დროს გამოვლენილ დარღვევებზეც საუბრობს და აპირებს, მთავარ პროკურატურას საჩივრით მიმართოს.

„კონსტიტუციური ცვლილებების პროცესში დაირღვა მთელი რიგი ნორმები, რის გამოც ჩვენ მივმართავთ მთავარ პროკურატურას საჩივრით. რაც შეეხება ოლგა ნაგარნინას, დიახ, სხდომაზე გადამწყვეტი ხმის უფლებით მართლაც ისარგებლა მან, რომელიც არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე. ეს პიროვნება წლებია (1991 წლიდან) იკავებს უმაღლესი საბჭოს დეპუტატის პოსტს, მას შემდეგ, რაც აფხაზეთში არჩევნები ჩატარდა. თუმცა ის ძალიან იშვიათად ჩამოდიოდა საქართველოში და თითქმის არ ესწრებოდა უმაღლესი საბჭოს მუშაობას. ახლა კი, როდესაც ეს ვახტანგ ყოლბაიას დასჭირდა, რუსეთის ფედერაციის პასპორტით გადმოკვეთა საზღვარი. სხდომაზე დაუყოვნებლივ იქნა მიღებული კონსტიტუციური ცვლილება", – ამბობს „პრაიმტაიმთან" საუბრისას ნანა შეროზია.

რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ოლგა ნაგარნინას, როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრს, ფინანსური დეკლარაციაც აქვს შევსებული. დეკლარაციის მიხედვით, საქართველოში მის სახელზე რაიმე სახის უძრავი ქონება, ან საბანკო ანგარიშები არ ფიქსირდება, თუმცა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი საკმაოდ სოლიდურ ანაზღაურებას აძლევს. გასულ წელს მან, ხელფასის სახით, 25 ათასი ლარი მიიღო.

თავად ვახტანგ ყოლბაია კი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგა. გასულ კვირას მან მთავრობის ახალი შემადგენლობაც წარადგინა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე წარდგენილია ვასილ ხორავა, ეკონომიკის მინისტრად – ავთანდილ ძაგანია, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრად – ქეთევან მაკარაძე, განათლებისა და კულტურის მინისტრად – მსახიობი დიმიტრი ჯაიანი, დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარედ – დავით გვაძაბია, იუსტიციის დეპარტამენტის თავმჯდომარედ – გივი კაცია, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის თავმჯდომარედ – ვალერი ბასარია, რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრად – კონსტანტინე კუჭუხიძე, განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრად – აბესალომ მიქელაძე, ზემო აფხაზეთის საკითხებში ა/რ მინისტრად – მევლუდ ჯაჭვლიანი. ახალი შემადგენლობა აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად უკვე გადაეგზავნა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დავით საგანელიძე: „უმრავლესობაში არიან გარკვეული ადამიანები, რომლებსაც არ უნდათ, რომ მე ვიყო უმრავლესობის ლიდერი“

**დავით საგანელიძე ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს. ის ჯერ პოლიტიკიდან წასვლაზე საუბრობს და ამბობს, რომ ბევრად მნიშვნელოვანი მიზნები აქვს, ვიდრე დეპუტატობაა, მოგვიანებით კი აბსოლუტურად განსხვავებულ პოზიციაზეა.**

**დავით საგანელიძე:**

– შეიძლება ისიც კი გადავწყვიტო, პარლამენტში ვიყო თუ არა, იმიტომ რომ ახალი თაობა შეიძლება მეტი წამოვიდეს. პოლიტიკოსობა არ არის ჩემი ოცნება და არც ამის ამბიციები არ მაქვს. პოლიტიკაზე გაცილებით სხვა მიზნები მაქვს და გაცილებით დიდი, ვიდრე პოლიტიკაა.

უმრავლესობის საპარლამენტო ლიდერი არ აკონკრეტებს საკუთარ მიზნებს, თუმცა ფაქტია, პარლამენტში საკუთარ გუნდელებთან მას პრობლემები აქვს. გავრცელებული ინფორმაციით, უმრავლესობის პოსტი ირინა იმერლიშვილმა უკვე ჩაიბა, უბრალოდ, ამას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გაახმოვანებენო. თავად იმერლიშვილი აღნიშნულ თემაზე კომენტარისგან თავს იკავებს. იმერლიშვილი „ქართულ ოცნებაში“ რესპუბლიკელებიდან გადავიდა და ალბათ, ერთ-ერთი დეპუტატია იმ მცირერიცხოვანი პოლიტიკოსებიდან, ვისაც დასაბუთებული ოპონირების გაწევა შეუძლია მთავარ ოპონენტ ძალასთან. მოკლედ, „ოცნებამ“ იმერლიშვილის სახით ძლიერი დამრტყმელი ძალა შეიძინა. შესაბამისად, ის ივანიშვილისთვისაც შესამჩნევი გახდა. სულ ცოტა ხნის წინ სწორედ იმერლიშვილმა ჩაანაცვლა ახლად გათხოვილი ელისო ჩაფიძე პოლიტსაბჭოს მდივნის პოსტზე და ამით ჩაფიძე კმაყოფილიც კი დარჩა. რაც შეეხება საგანელიძეს, ის ყველანაირ ჩანაცვლებას უარყოფს და აცხადებს, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე დეპუტატის ოცნებაა, ოღონდ აუხდენელი...

**დავით საგანელიძე, უმრავლესობის საპარლამენტო ლიდერი:**

– პარლამენტში არიან გარკვეული ადამიანები, რომლებსაც არ უნდათ, რომ მე ვიყო უმრავლესობის ლიდერი.

**– უმრავლესობაში არიან ასეთი ადამიანები?**

– კი, უმრავლესობაში არიან. ეჭვი არ მეპარება, რომ ამის მიზეზი აქვთ, რადგან ხანდახან მე ძალიან მკაცრი ვარ. მით უფრო მაშინ, როცა საქმე ეხება საარჩევნო შტაბებს. ზოგიერთ დეპუტატს სურდა, რომ საარჩევნო შტაბის თავმჯდომარე თავად ყოფილიყო, რაც ჩემთვის მიუღებელია. არ შეიძლება პარლამენტის წევრი, მით უფრო მაჟორიტარი დეპუტატი, იყოს საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი.

**– შეგიძლიათ, გვითხრათ, ვის ჰქონდა ასეთი სურვილი?**

– არა, მე გვარებს არ დავასახელებ. თავად ისაუბრონ ამაზე ღიად. ხშირად ვკითხულობ ეგრეთწოდებულ ინკოგნიტო დეპუტატების სიტყვებს, რომლებიც არ ასახელებენ საკუთარ სახელსა და გვარს. ვურჩევ, როცა ჩემზე საუბრობენ, ღიად ილაპარაკონ. შესაბამისად, რამდენიმე დეპუტატი ძალიან გულდაწყვეტილია, რომ არ მიეცათ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობის საშუალება. პარლამენტარს იმხელა თავისუფლების მანდატი გააჩნია, რომ მას შტაბის ხელმძღვანელობა არ უნდა სჭირდებოდეს. თუ ვინმეს ამის გამო ჩემი უმრავლესობის ლიდერობიდან გადაყენება სურს, ეს მისი პრობლემაა.

**– ანუ თქვენ რჩებით უმრავლესობის ლიდერად?**

– მატყობთ, რომ სადმე წასვლას ვაპირებ?

# ზურაბ ბიგვავა: „ქართულმა ოცნებამ“ სამეგრელოში ყოფილი მხედრიონელების დანიშვნა დაიწყო“



**ზუგდიდი „ქართული ოცნების“ სუსტი წერტილია. იქ ჯერ ირაკლი ალასანია დამარცხდა ოქტომბრის არჩევნებში და მას ეს მარცხი არ აპატიეს. ბიძინა ივანიშვილს ალასანიამ პირველად სწორედ ამ წაგებით გაუცრუა იმედები. „ოცნებაში“ ჩათვალეს, რომ ეს არა „ქართული ოცნების“, არამედ პირადად ირაკლი ალასანიას წაგება იყო. ამის შემდეგ ამ თემამ ბევრჯერ გაიჟღერა და ყოველთვის ხაზგასმით, რომ „თავისუფალმა დემოკრატებმა“ კარგად არ იმუშავეს.**

ზუგდიდის მოგება „ოცნებისთვის“ პრინციპული მნიშვნელობის იყო. ახალაიების დამარცხება რიცხვებით ივანიშვილისთვის საჭიროზე მეტს ნიშნავდა, სწორედ ამიტომ განიცადეს უმრავლესობაში ალასანიას მაჟორიტარობის დაკარგვა.

ახლა ირკვევა, რომ სამეგრელოში „ოცნებას“ ისევ პრობლემები აქვს. ადგილობრივი აქტივისტები, „ოცნების“ ყოფილი წევრების განცხადებით, ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერთა რიგებში ბარგდებიან და მიზეზად სამართლიანობის ვერაღდგენას ასახელებენ. რეალურად კი აქტივისტებს დაიგნორება ადარდებთ. როგორც ზოგიერთები ამბობენ, პირველი ოქტომბრის შემდეგ ზუგდიდში უფრო მეტი ყოფილი მხედრიონელი დასაქმდა, ვიდრე ნაციონალების ოპოზიციაში მყოფი ადამიანები...

ზურაბ ბიგვავა „ქართული ოცნების“ ზუგდიდის შტაბის ყოფილი წევრია. ის დღეს აღარც შტაბშია და აღარც „ქართულ ოცნებაში“. ბიგვავას განცხადებით, გიორგი მარგველაშვილს სამეგრელო მხარს არ უჭერს. ბიგვავას ვარაუდით, პირველ ადგილზე სამეგრელოში სწორედ ნინო ბურჯანაძე გავა, მეორე ადგილს კი დავით ბაქრაძე დაიკავებს. გამოდის, მარგველაშვილი მხოლოდ მესამე ადგილისთვის წვალობს...

**ზურაბ ბიგვავა:**

– პირად საუბრებში, ურთიერთობებში ძალიან კარგად ჩანს, რომ გიორგი მარგველაშვილს მხარს არ უჭერენ. სხვა არავინ არის, ვისაც შეიძლება ხმა მისცენ. ნაციონალებს აქაური მოსახლეობა ხმას არ მისცემს, კოჰაბიტაციაც მიუღებელია. სამართლიანობის აღდგენა არ მომხდარა და არაფერი. ხალხი ძალიან იმედგაცრუებულია. თუ ძირფესვიანად არ შეცვლის „ქართული ოცნება“ მიდგომას, თავის პოლიტიკას და არ შეცვლის დამოკიდებულებას იმ ადამიანების მიმართ, რომელთა დახმარებითაც მოვიდა „ოცნება“ ხელისუფლებაში, მაშინ აუცილებლად წაგებს არჩევნებში. მასიურად ხდება იმ ადამიანების იგნორირება, ვინც ოქტომბრის არჩევნების დროს გვერდით ედგა „ქართულ ოცნებას“ და მის ლიდერებს. სწორედ ამიტომ ძალიან ბევრი გადავიდა „ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციიდან ნინო ბურჯანაძის მხარეს.

**– ამის კონკრეტული ფაქტები დაფიქსირდა?**

– ვინც ადრე „ქართული ოცნების“ აქტივში იყო, ვინც ყველაზე მეტად აქტიურობდა, სწორედ ეს ადამიანები არიან გადასულები. მიზეზი სამართლიანობის აღდგენის პროცესის ნელი ტემპია. „ქართულმა ოცნებამ“ სამეგრელოში დაიწყო ისეთი ადამიანების დანიშვნა თანამდებობებზე, ვინც თავის დროზე მხედრიონელები იყვნენ. ეროვნული მოძრაობიდან არავინ არსად არ დაუნიშნავთ.

**– შეგიძლიათ, კონკრეტული ფაქტები დაგვისახელოთ?**

– მაგალითად, მარტვილში შტაბის უფროსად გაუშვეს ალიკა გრიგალავა, რომელიც „მხედრიონში“ მარტვილის მაშველთა კორპუსის უფროსის მოადგილე იყო. სენაკში „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ გაუშვეს კილასონია, რომელიც არჩევნების დღემდე ნაციონალების მომხრე გახლდათ.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გია გაჩეჩილაძე: „ნაციონალებს ამდენი დეპუტატი არ უნდა ჰყავდეთ“

**საკმაოდ დიდხნიანი პაუზის შემდეგ ლევან გაჩეჩილაძე პოლიტიკური თავშეყრის ადგილას გამოჩნდა. ეს არ ყოფილა არც მიტინგი, არც პროტესტი და არც საზღვარგარეთის ხმაურიანი მოგზაურობის დასასრული. უმცროსმა და უფროსმა „გრეჩიხებმა“ „ქართულ ოცნებას“ დაუჭირეს მხარი. ისინი კოჰაბიტაციას ეწინააღმდეგებიან და რადიკალურ პოლიტიკას ემხრობიან. მაგალითად, „უცნობისთვის“ ვადამდელი არჩევნები მისაღებია და მიიჩნევს, რომ პარლამენტში ნაციონალების მაგივრად სხვა ძალები უნდა იყვნენ წარმოდგენილები.**

**გია გაჩეჩილაძე, „უცნობი“:**

– დღევანდელი პარლამენტი არაადეკვატურად არის წარმოდგენილი და ვფიქრობ, რაც უფრო მეტი სხვა ძალები შევლენ, უკეთესი იქნება. არ ვფიქრობ, რომ 40% ნაციონალებმა რეალურად მიიღეს. ეს რაოდენობა არ უნდა იყოს დღევანდელ პარლამენტში მათი მხრიდან.

**– როგორ ფიქრობთ, ვინ იქნება ის ძალა, რომელიც ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში შევა პარლამენტში?**

– არ ვიცი, შეიძლება ბურჯანაძეც შევიდეს. ვნახოთ, თუმცა ფაქტია, რომ ნაციონალებს ამდენი დეპუტატი არ უნდა ჰყავდეთ. მათი მაქსიმუმი 11-12 კაცი იქნება რეალურად.

**– როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება ბურჯანაძის შედეგები საპრეზიდენტო არჩევნებში?**

– ვფიქრობ, ნინო ბურჯანაძეს მეორე ადგილზე გასვლის დიდი შანსი აქვს.

POLIT BAZ

# თამარ სანიკიძისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება საქართველოს მომავალი პრემიერი?

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრისთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება მომავალი პრემიერი. თამარ სანიკიძე „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ, თუ მომავალი პრემიერი მას ახალ მინისტრთა კაბინეტში წარადგენს, ის სიამოვნებით განაგრძობს მუშაობას განათლების სისტემის ხელმძღვანელის პოსტზე. რაც შეეხება მის წინამორბედს, გიორგი მარგველაშვილს, სანიკიძე მის გამარჯვებაში დარწმუნებულია.**

**თამარ სანიკიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი:**

– ვფიქრობ, გიორგის ძალიან დიდი შანსი აქვს გამარჯვების და ის ამ შანსს ბოლომდე გამოიყენებს. გავეცანი მის პროგრამას და საკმაოდ ადეკვატური, ეფექტური და რეალისტურია.

**– ივანიშვილის წასვლის შემდეგ იქნებით თუ არა ახალ მინისტრთა კაბინეტში?**

– არ ვიცი, ვიქნები თუ არა ახალ მინისტრთა კაბინეტში. ალბათ, შეფასდება ჩემი ნამოღვაწარი.

**– თქვენი მხრიდან წინაპირობა რა იქნება?**

– ამ გადმოსახედიდან არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი. მე სიამოვნებით გავაგრძელებდი საქმიანობას დაკავებულ პოსტზე.

სანიკიძისგან განსხვავებით, ხადურისთვის მნიშვნელოვანია ამჟამინდელი პრემიერის მომავალიც, მისი შემცვლელის ვინაობაც და ისიც, იქნება თუ არა თავად მომავალ მინისტრთა კაბინეტში. თუმცა ამაზე კონკრეტული პასუხი ნოდარ ხადურს ჯერჯერობით არ აქვს. ფინანსთა მინისტრის მიმართ იმ დროს, როდესაც ქვეყანაში სერიოზული ეკონომიკური პრობლემებია, ბუნებრივია, კითხვის ნიშნები დგება, თუმცა თავად ივანიშვილმა ერთხელ უკვე განაცხადა, რომ ყველა მინისტრით კმაყოფილია. მიუხედავად ამისა, ივანიშვილის პოსტიდან გადადგომის შემდეგ მთავრობას თავიდან მოუწევს პარლამენტის წინაშე წარდგენა და ნდობის მიღება.

**ნოდარ ხადური, ფინანსთა მინისტრი:**

– ამაზე მერე ვიფიქროთ, როცა პრემიერი წასვლას გადაწყვეტს. მინისტრთა კაბინეტში დავრჩები თუ არა, ეს მხოლოდ ჩემს ფიქრებზე არ არის დამოკიდებული. დაველოდოთ, რა გვეჩქარება...

POLIT BAZ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# არასაპარლამენტო ოპოზიცია ვა

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური აუცილებლად იქნება და იქ გიორგი მარგველაშვილი ნინო ბურჯანაძის სასარგებლოდ მოხსნის კანდიდატურას... წინასაარჩევნო პერიოდი ყოველთვის ასეთი ქაოსურია და მსგავსი არაადეკვატური ვერსიებიც ხშირად ვრცელდება. ამით არავინ იგებს, არც საარჩევნო ხმები ემატება ვინმეს. ეს ინტრიგაა. პოლიტიკის ნაწილია ისიც, რომ წინასწარ არავინ არასდროს ამბობს, კანდიდატურას მოვხსნი და ჩემს ხმებს სხვა კანდიდატს შევმატებო. ამას კობა დავითაშვილიც კი ხვდება და მხოლოდ მაშინ დგამს კონკრეტულ ნაბიჯს, როდესაც ეს მომგებიან სვლად შეიძლება ჩაითვალოს. ამჯერად დავითაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატია. მართალია, ის ძველებური შემართებით აღარ იბრძვის, თუმცა საკუთარ საქმეს ამჯერადაც შეგნებულად ასრულებს. რას მოიმოქმედებს 27 ოქტომბრის წინა დღეებში, ამით ბევრი რამის ახსნა იქნება შესაძლებელი. თუმცა ამ ეტაპზე ყველა კანდიდატი აცხადებს, რომ გამარჯვებაში დარწმუნებულია და სხვა გეგმები, პირველი ადგილის მოპოვების გარდა, არც არსებობსო. სამაგიეროდ პოლიტიკურ წრეებში, ან შიგნით გუნდში ღიად საუბრობენ ერთმანეთის შესაძლებლობებზეც, გეგმა მაქსიმუმზეც და მინიმუმზეც. მაგალითად, ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატის მხარდამჭერმა პირად საუბრებში ისიც კი აღიარა, ნეტავ, 3%-ს მივიღებდეთ და ბედნიერი ვიქნებიო...**

**უკვე ყველამ ვიცით, რომ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერს საერთოდ არ აინტერესებს საპრეზიდენტო არჩევნები. არც მისი გამარჯვებული. ის მიზანმიმართულად მეორე ადგილს უმიზნებს და ამასაც აქვს თავისი კონკრეტული ახსნა. ამით ბურჯანაძე უფლებას მიიღებს, მოითხოვოს ვადამდელი არჩევნები. ზოგიერთი პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ მოთხოვნის ლეგიტიმურობისთვის ნინო ბურჯანაძეს მესამე ადგილიც ეყოფა, რადგან მეორე და მესამე ადგილზე გასულებს შორის სხვაობა დიდი არ იქნებაო... თუმცა ამ იდეას დავით ბერძენიშვილმა მოკლე და კონკრეტული პასუხის გასცა: ბევრჯერ ვიყავით მეორე ადგილზე გასული ოპოზიცია, მაგრამ ვერც ვადამდელ არჩევნებს მივაღწიეთ და ვერც ხელისუფლებაზე ზეგავლენასო... თუმცა ბურჯანაძე რომ საკუთარ თავს ზეპოლიტიკოსად მიიჩნევს, ესეც ფაქტია. შესაბამისად, მარტივად გასაგებია მისი პოლიტიკური გეგმების ამბიციურობაც.**

**არასაპარლამენტო ოპოზიციის თითქმის ყველა წარმომადგენელი თანახმაა, ბურჯანაძის იდეა აიტაცოს. მეტიც, ისინი თვლიან, რომ ვადამდელი არჩევნები სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილების ერთადერთი გამოსავალია. თუმცა ვერავინ აკონკრეტებს, როგორ უნდა მიაღწიონ მიზანს. ლეიბორისტები კონკრეტდებიან და აცხადებენ, ამისთვის ბევრი სამართლებრივი გზა არსებობსო, თუმცა მათი ახსნის ბოლო ისევ და ისევ ხალხის ნებამდე მიდის. ანუ ვადამდელი არჩევნების მიღწევას მიტინგების ფონზე აპირებენ და თანაც ფიქრობენ, რომ ეს სამართლებრივი გზაა.**

**„ქართული დასი“, სახალხო მოძრაობა, თავისუფალი საქართველო და გარეთ დარჩენილი კიდევ ძალიან ბევრი პარტია ბურჯანაძეს მხოლოდ ამ ერთ გადაწყვეტილებაში ემხრობა. თუმცა ნინოს ყველაფრის დამოუკიდებლად მიღწევა უნდა, რომ შემდეგ ამბიციური ტონით გამოაცხადოს, გამარჯვებას დამოუკიდებლად მივაღწიეო. სწორედ ამიტომ თქვა მან უარი საპრეზიდენტო არჩევნების წინ პრაიმერზეც და ყველა დანარჩენ ერთობაზეც. მიუხედავად ამისა, ჯონდი ბაღათურიას იმედი აქვს, რომ, ბურჯანაძესთან ერთად, ვადამდელ არჩევნებში ნაციონალებს ჩაანაცვლებს.**

## ჯონდი ბაღათურია: „ვადამდელი არჩევნები თუ ჩატარდა, „ქართული დასი“, თავის მოკავშირე პარტიებთან ერთად, გახდება წამყვანი ძალა“

**ჯონდი ბაღათურია, „ქართული დასის“ ლიდერი:**

– ჯერჯერობით საერთო გეგმა არ არსებობს, არც კონსულტაციებია ამ კონკრეტულ თემაზე. ჩვენ ბურჯანაძესთან ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით აქტიურად არ გვისაუბრია. ვაპირებთ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს, მალე გამოვალთ ინიციატივით და მივმართავთ პრემიერ-მინისტრს რომ შედგეს დიალოგი ძირითად პოლიტიკურ ძალებს შორის. იმ შემთხვევაში, თუკი პრემიერი მაინც გეგმავს პოსტის დატოვებას, მან უნდა აირჩიოს ახალი პარლამენტი მანამ, სანამ თავად დატოვებს პოსტს.

**– წასვლამდე უნდა ჩატარდეს არჩევნები?**

– რა თქმა უნდა. ის არ უნდა წავიდეს მანამ, სანამ ვადამდელ არჩევნებს არ ჩაატარებს. თუ ასე მოიქცევა, მიუხედავად ბევრი ჩემი კრიტიკული შეხედულებისა, შემიძლია ვთქვა, რომ ივანიშვილი დარჩება ისტორიაში, როგორც პასუხისმგებლობის მქონე კაცი. ვადამდელი არჩევნები იქნება სწორი გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ვადაზე ადრე წასვლა პასუხისმგებლობის თავიდან აცილებაა და მეტი არაფერი. ხალხმა ის აირჩია ოთხი წლით და უნდა დაასრულოს ეს ვადა. თუმცა არის მოსაზრება, რომ ის იძულებულია, უფრო ადრე გადადგეს კონკრეტული მიზეზის გამო.

**– რაზე გაქვთ ეჭვი?**

– პრემიერ-მინისტრის განცხადებას, მისი გადაწყვეტილების შესახებ, აშკარად აკლია მთავარი დეტალი და სწორედ ეს იწვევს გაუგებრობას. ის ვალდებულია, აუხსნას საზოგადოებას. თუ ვერ აუხსნის, მაშინ ჩნდება სხვა კითხვები.

**– ეს მან ახსნა და ბევრჯერ თქვა, რომ აპირებდა პოლიტიკიდან მალე წასვლას...**

– მაშინ რეალურად ის არ მიდის პოლიტიკიდან, პასუხისმგებლობას არიდებს თავს და გვერდიდან სურს, მართოს სახელმწიფო და გააძლიეროს საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობა. ამას ჩვენ არ დავუშვებთ.

**– ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში ფიქრობთ, რომ პარლამენტში შეხვალთ?**

– ვადამდელი არჩევნები თუ ჩატარდა, „ქართული დასი“ თავის მოკავშირე პარტიებთან ერთად გახდება წამყვანი ძალა. სრულიად დარწმუნებით შემიძლია, გითხრათ, რომ ეს ასე იქნება.

**– ბურჯანაძესთან ერთად?**

– ამას წინასწარ ვერ გეტყვით, ჩვენთვის არ არის ეს ძალა მიუღებელი.

## მამუკა გიორგაძე: „ჯერჯეროობით მეორე ტურის პერსპექტივა ნაკლებია“

**მამუკა გიორგაძე, „სახალხო პარტია“:**

– თითოეული კანდიდატი ამ საარჩევნო კამპანიის პროცესში თავის ლოკალურ ამოცანებს ისახავს მიზნად და სწორედ აქედან გამომდინარე იქნება მათი ქცევა გამოწვეული. მათ ამოცანას როგორც დასჭირდება, ისე მოიქცევიან. ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე კანდიდატმა მეორე კანდიდატის სასარგებლოდ მოხსნას კანდიდატურა.

**– მეორე ტურის შემთხვევაში ვის დაუჭერთ მხარს?**

– ჯერჯერობით მეორე ტურის პერსპექტივა ნაკლებია. თუ ვის დავუჭერთ მხარს, ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ასახავს რომელიმე კონკრეტული კანდიდატი ჩვენს ხედვებს. ჯერჯერობით არც ერთი კანდიდატის ხედვა ჩვენსას არ ემთხვევა, თუმცა ვნახოთ, რა სიტუაცია იქნება ბოლო მომენტში.

**– ფიქრობთ, რომ ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდეს?**

– ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის სახელმწიფოებრივად აუცილებელი, ამ თემაზე თავის დროზე საუბრობდა „ოცნებაც“ და დადგა დრო, საკუთარი დაპირება შეასრულონ. თუ ასე არ მოხდება, მაშინ ქართულმა საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ხელისუფლება აიძულოს, დანიშნოს ვადამდელი არჩევნები. თუ ეს მოთხოვნა დღის წესრიგში დადგება, ჩვენ იდეას მხარს დავუჭერთ და ჩვენც შევიტანთ წვლილს ამ იდეის განხორციელებაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დამდელ არჩევნებს უჭერს მხარს

## გიორგი გუგავა: „ვადამდელი არჩევნები აუცილებელია ქვეყნის განვითარებისთვის, ქვეყნის მდგრადობისთვის და იმისთვის, რომ პროცესი ქაოსში არ გადაიზარდოს“

**გიორგი გუგავა, „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

– ვერ ვიტყვი, ვინ შეიძლება მოხსნას კანდიდატურა, თუმცა ჩვენ გამარჯვების დიდი იმედი გვაქვს. ვხვდებით ხალხს და მათი დამოკიდებულება კარგად ჩანს ამ შეხვედრებზე. ყველა გვეუბნება, რომ შალვა ნათელაშვილი თურმე ყველაზე მართალი ყოფილა. ეს განცდა განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, რაც ხალხი დარწმუნდა, რომ ივანიშვილის ხელისუფლებამ არანაირი რეალური ცვლილებები არ განახორციელა. ყველაფერი შენარჩუნდა მანკიერი ხელისუფლებისგან, სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ ამ არჩევნებზე ჩვენ წარმატებულები ვიქნებით. შალვა ნათელაშვილი არ მოხსნის კანდიდატურას.

**– მეორე ტურის შემთხვევაში ვის დაუჭერთ მხარს?**

– მეორე ტური იქნება თუ პირველი ტური, გამარჯვების დიდი შანსი აქვს შალვა ნათელაშვილს.

**– ვადამდელ არჩევნებს მხარს დაუჭერთ?**

– ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა და ჩვენი საპრეზიდენტო პროგრამის მნიშვნელოვანი დაპირება. ნათელაშვილის გამარჯვების შემთხვევაში ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს. ყველა ძალას, რომელიც პარლამენტშია წარმოდგენილი, პრაქტიკულად ლეგიტიმაციის ძალა გამოცლილი აქვს, მით უმეტეს, როცა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავა. აქედან გამომდინარე, პარლამენტში წარმოდგენილ არც ერთ ძალას უფლება არ აქვს, პარლამენტში იყოს. ვადამდელი არჩევნები აუცილებელია ქვეყნის განვითარებისთვის, ქვეყნის მდგრადობისთვის და იმისთვის, რომ პროცესი ქაოსში არ გადაიზარდოს. ეს გადაწყვეტილება გარდაუვალი იქნება.

**– როგორ აპირებთ ამის განხორციელებას?**

– განხორციელება შესაძლებელია რამდენიმე მექანიზმით. არსებობს საზოგადო და პოლიტიკური ბერკეტები ვადამდელი არჩევნების ჩასატარებლად. მთავარია, პოლიტიკური ნების არსებობა, თუ ამას ხელისუფლება არ გამოავლენს, მაშინ ხალხი მიიღებს გადაწყვეტილებას.

**– ქუჩის აქციებს გულისხმობთ?**

– რა თქმა უნდა, ქუჩის აქციებიც და სხვა ბერკეტებიც არსებობს ამისთვის. ხალხის ნების იგნორირება ძალიან სავალალო შედეგებით შეიძლება დასრულდეს, არ არის გამორიცხული, ქაოსი და სამოქალაქო წინააღმდეგობა მოხდეს. მინიმუმ პოლიტიკური კრიზისი და სამოქალაქო დაპირისპირება იქნება აცილებული თავიდან ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებით. წინააღმდეგ შემთხვევაში უმძიმესი ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე შედეგი იქნება უმძიმესი.

**ბაჩუკი ქარდავა, „ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა“:**

– ნაკლებად სავარაუდოა კანდიდატის მოხსნა ხარატიშვილის მხრიდან. ჩვენი მიზანი იყო და დღესაც რჩება ახალი პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბება. ჩვენ ამ საკითხზე ვმუშაობთ, სწორედ ხარატიშვილთან ერთად. კანდიდატურის მოხსნა დღის წესრიგში არ დგას, მით უფრო არავის სასარგებლოდ. ძალიან სერიოზული გეგმები გვაქვს საარჩევნო კამპანიის პროცესში. საპრეზიდენტო არჩევნების პროცესში არ გამოვრიცხავ, რომ გაიზარდოს ჩვენი მხარდამჭერების რაოდენობა. არ მინდა მოვლენებს დავასწრო, თუმცა ვიტყვი, რომ მოსალოდნელია, ჩვენი ცენტრი გაფართოვდეს საარჩევნო პროცესშიც კი.

**– მეორე ტურის შემთხვევაში ვის დაუჭერთ მხარს?**

– ჩვენ მხარს ვუჭერთ პოლიტიკურ ფიგურას, რომლისთვისაც მისაღებია დასავლური ორიენტაცია, რომელიც არის ზომიერი და ზეპარტიული კანდიდატი. პირდაპირ გეტყვით, რომ რუსეთზე ორიენტირებულ პოლიტიკურ ძალას, ან კანდიდატს. ასევე, გამორიცხულია, მხარი დავუჭიროთ ძალას, რომლის პრინციპებიც ორმაგ სტანდარტებზეა დაფუძნებული.

**– ვადამდელ არჩევნებს მხარს დაუჭერთ?**

– ვერ ვხედავ, ვადამდელი არჩევნების ჩატარების საჭიროებას ამ ეტაპზე. ვფიქრობ, რომ ამაზე საუბარი ნაადრევია.

## ბაჩუკი ქარდავა: „კანდიდატურის მოხსნა დღის წესრიგში არ დგას, მით უფრო არავის სასარგებლოდ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ტერიტორიაზე, სადაც სამეფო ოჯახი მონათლეს, გასართობი კომპლექსი შენდებოდა, ბიზნესმენი კი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა“

ლაშა ცაიშვილი

EXCLUSIVE

ერეკლე სტურუა

**გაზეთ „პრაიმტაიმის“ 2 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა სტატია, სახელწოდებით „გადაჰყვება თუ არა რელიგიურ სკანდალს ნოდარ ხადური“. სტატიაში განხილული იყო ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში განვითარებულ რელიგიურ დაპირისპირებასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება და ასევე, წარმოდგენილი იყო თეოლოგ ბექა მინდიაშვილის მოსაზრებები – იგივე საკითხთან დაკავშირებით. რელიგიური უმცირესობების უფლებების შეზღუდვის საკითხს არაერთი გამოხმაურება მოჰყვა, განცხადება გააკეთა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმაც, რომელმაც ბრძანა, რომ „საზოგადოება ხშირად საუბრობს უმცირესობების უფლებებზე, მაგრამ უფრო ხშირად ირღვევა უმრავლესობის უფლებები“. პატრიარქის პოზიციას იზიარებს თეოლოგი ლაშა ცაიშვილიც, რომელმაც ბექა მინდიაშვილთან ინტერვიუს შემდეგ, საპასუხო პოზიციის დაფიქსირება გვთხოვა.**

**ლაშა ცაიშვილი, თეოლოგი:**

– ამ შესაძლებლობისთვის, პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო გაზეთ „პრაიმტაიმს“, რადგან ანალოგიურ შემთხვევებში ზოგიერთი მედიასაშუალება საპირისპირო აზრს ბლოკავს. როგორც თქვენი 2 სექტემბრის სტატიაში ვკითხულობთ, განცხადების ავტორი არასამთავრობო ორგანიზაციები სახელმწიფოს არაადეკვატურ, არაეფექტურ და დისკრიმინაციულ მოქმედებას მიაწერენ საქართველოში ბოლო დროს გახშირებულ რელიგიურ არეულობებს. მათი აზრით, სოფელ ჭელაში მომხდარი შემთხვევა ყველაზე მწვავეა, სხვა პრობლემებთან შედარებით, რადგან დაირღვა ადამიანთა კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებები. აღნიშნული ორგანიზაციის წევრები, ასევე, მოუწოდებენ პროკურატურას, რათა კარგად იქნეს შესწავლილი მინარეთის დაშლის ფაქტი და დაუყოვნებლივ დაისაჯონ დამნაშავეები. მათი პათოსი ერთობ დამაჯერებელი იქნებოდა, რომ არა სხვა მრავალი გარემოება. საინტერესოა, სად იყვნენ ეს ორგანიზაციები მაშინ, როდესაც არანაკლები სიხშირითა და სიმწვავით ირღვეოდა მართლმადიდებელთა უფლებები სხვადასხვა პიროვნებების, ორგანიზაციებისა და ხელისუფლების მიერ. რატომ არ აკეთებდნენ განცხადებებს მაშინ და რატომ არ სთხოვდნენ პროკურატურას დამნაშავეთა დასჯას. ამასთანავე, სიცრუეა ის, რომ ჭელაში განვითარებული მოვლენებით ვინმეს კონსტიტუციური უფლებები დაირღვა. დარღვევა იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ ვინმე რელიგიური ნაგებობის კანონიერ მშენებლობას შეუშლიდა ხელს. ამ შემთხვევაში არც ერთ რელიგიას არა აქვს უფლება, იქცეს უკანონობის დამკანონებლად.

**– იუსტიციის მინისტრმა გააკეთა განცხადება, რომ ქვეყანამ თავად უნდა გადაწყვიტოს, უნდა თუ არა მას მინარეთები... იქ საუბარი იყო შესაძლო რეფერენდუმის ჩატარებაზეც... რამდენად ემხრობი ამ აზრს?**

– წულუკიანის ეს განცხადებაც რიგი არასამთავრობოების მიერ აღქმული იქნა, როგორც უმცირესობის უფლებების შელახვა. რეალობა კი სულ სხვა გახლავთ. მაგალითად, შვეიცარიაში, რომელიც მართლაც დემოკრატიული ქვეყანაა, ჩატარდა სწორედ რეფერენდუმი, როდესაც ადგილობრივმა მუსლიმანებმა მოინდომეს მეჩეთებისა და მინარეთების აშენება. დღეს შვეიცარიის მთელ ტერიტორიაზე სულ ოთხი მეჩეთია, რადგან რეფერენდუმის საფუძველზე მუსლიმანებს უარი ეთქვათ დამატებითი მეჩეთების მშენებლობაზე. ჩაითვალა, რომ მათი რელიგიური ნაგებობები სრულიად საკმარისია შვეიცარიის მასშტაბისთვის. ასე რომ, როდესაც თეა წულუკიანმა ისაუბრა რეფერენდუმზე, ეს არის არა ვინმეს უფლებების შეზღუდვა, არამედ საკმაოდ დემოკრატიული პროცედურა. დღეს საქართველოში დაცულია ყველას უფლება, გარდა მართლმადიდებლებისა და ამის დამადასტურებელი ფაქტები არსებობს. უამრავი მეჩეთი და მინარეთი აშენდა სააკაშვილის მმართველობის დროს უკანონოდ, მათ შორის ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევებზე, მაგრამ ამაზე ხმა არავის ამოუღია... ბექა მინდიაშვილი წლების განმავლობაში ადგენდა სახალხო დამცველის ანგარიშის რელიგიურ ნაწილს და ყველაზე კარგად მას უნდა მოეხსენებოდეს, თუ რეალურად რომელი ჯგუფის უფლებები ილახებოდა.

**– კონკრეტულად რა ფაქტებს გულისხმობთ?**

– უამრავი ფაქტის მოყვანაა შესაძლებელი. მაგალითად, ყველას გახსოვთ ფერიის მთაზე მართლმადიდებლური ეკლესიის დემონტაჟი, მხოლოდ იმიტომ, რომ იქ პრეზიდენტს სურდა გასართობი ცენტრის მოწყობა. გარდა ამისა, მე არ ვამართლებ ბასილი მკალავიშვილის საქმიანობას და კატეგორიულად არ ვიზიარებ მის მოქმედებებს, მაგრამ ტაძარი იყო მართლმადიდებლური სიწმინდე, რომელიც უხეშად იქნა ხელყოფილი მაშინდელი ხელისუფლების მიერ. ასევე, შეგვიძლია გავიხსენოთ საპატრიარქოზე ზენოლის არაერთი ფაქტი, პატრიარქთან დამოკიდებულება, როგორ შეაცვლევინეს მას სააღდგომო ეპისტოლე და ა.შ. გეტყვით კიდევ ერთ მაგალითს, საპატრიარქომ მეცნიერებთან თანამშრომლობის შედეგად მცხეთაში აღმოაჩინა ადგილი, სადაც იყო ელიოზ მცხეთელის სახლი, ადამიანის, რომელმაც უფლის კვართი შემოაბრძანა საქართველოში. დადგენილია, რომ ამავე ადგილას მოხდა მირიან მეფის, ნანა დედოფლისა და მთელი სამეფო ოჯახის ნათლობა. ამ ტერიტორიის მეპატრონემ, ეთერ მრევლიშვილმა გადაწყვიტა, საპატრიარქოსთვის შეეწირა საკუთრება, თუმცა ხელისუფლების ჩარევით ეს არ მოხდა. ამ ადამიანს ჩამოართვეს ტერიტორია, დაწერეს წყლის ფონდის ბალანსზე და იქ აპირებდნენ რაღაც გაურკვეველი კომპლექსის აშენებას, თუმცა მშენებლობა დღეს შეჩერებულია. ბიზნესმენი, რომელიც ამ მშენებლობას აწარმოებდა, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. მსგავსი უამრავი ფაქტი არსებობს და სირცხვილია, როდესაც უმცირესობების უფლებების დარღვევაზე საუბრობენ, მაშინ როცა სისტემატურად ირღვეოდა მართლმადიდებელი მორწმუნეების უფლებები და რელიგიური გრძნობები.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## ბადრი პატარკაციშვილის პარტია პატარკაციშვილის ოჯახს სასამართლოში უჩივის

**ვალერი გელბახიანი: „პატარკაციშვილის პარტია უჩივის უსინდისობას. თუ ოჯახი უსინდისო გარიგებაში შევიდა, მაშინ პარტია მოითხოვს იმას, რასაც იმსახურებდა“**

ინა გუდავაძე

ქეთი ხატიაშვილი

**რამდენიმე ხნის წინ პრემიერ-მინისტრმა ტელეკომპანია „იმედისა“ და ერთ-ერთი ჩინოვნიკის საიდუმლო შეთანხმებაზე ისაუბრა. ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ წინა ხელისუფლების დროს შედგა გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტი, რომელშიც ისეთი რაღაცები ეწერა, რომ „თმები ყალყზე დაგიდგებოდა“. დოკუმენტის არსებობა გასაჯაროვდა, შინაარსი კი – არა.**

**ვალერი გელბახიანი ბადრი პატარკაციშვილის შტაბის უფროსი იყო, ამბობს, რომ თავის დროზე ბადრიმ ფინანსური ვალდებულებების გადახედვა დაიწყო, თუმცა ცნობილი გარემოებების გამო, თანხა გაიყინა. პრემიერის მხრიდან საიდუმლო დოკუმენტის ხსენებამ, გელბახიანის განმარტებით, ბევრი რამ შეცვალა. არ არის გამორიცხული, პარტიულმა თანამებრძოლებმა პატარკაციშვილების ოჯახს სასამართლოში უჩივლონ.**

**ვალერი გელბახიანი:**

– ჩვენ დიდი ხანია, დაინტერესებულები ვართ ფინანსური დავალიანების თემით. ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ფუნქციონირებაში დაახლოებით 80 ათასამდე აქტივისტი იყო ჩართული. მათგან 1/3 ჩართული იყო ადმინისტრაციის წევრებად და მეთვალყურეებად. დანარჩენები იყვნენ აქტივისტები, რომლებიც ჩვენი უშუალო ორგანიზაციის წევრები იყვნენ. ეს საკმაოდ დიდი რაოდენობა იყო, მათი ოჯახების ჩათვლით, რომელთა ფინანსური ვალდებულებები არ დაკმაყოფილდა. ჩვენ ამ ადამიანებს დავპირდით ხელფასებს, ბრძანებებით დაშვებული იყო სახელფასო განაკვეთები, თანამდებობებისა და ფუნქციების მიხედვით. ამ ადამიანების შრომა არ დაფასდა. მათი შრომა, საერთო ჯამში, შეადგენდა 8 მილიონი ამერიკული დოლარის ეკვივალენტს ლარებში. პატარკაციშვილმა ჩარიცხა ეს ფული 2007 წლის 22 დეკემბერს.

**– რომელ ბანკში ჩარიცხა?**

– „სტანდარტ ბანკში“ გადმორიცხა საკუთარ ანგარიშზე და დანიშნულება მისცა – სახელფასო ფონდი საარჩევნო შტაბისთვის. მეორე დღეს გამოქვეყნდა ის ცნობილი კადრები და შტაბმა პრაქტიკულად შეწყვიტა მუშაობა.

**– კოდუას ჩანაწერებს გულისხმობთ?**

– დიახ. ამის გამო გამოძიებამ ყადაღა დაადო ანგარიშებს და მათ შორის იმ თანხასაც, რომელიც ხელფასებისთვის პატარკაციშვილმა გადმორიცხა. როდესაც საარჩევნო კამპანია დასრულდა, დაახლოებით 3-4 თვის განმავლობაში შტაბის ხელმძღვანელობა ოჯახს სთხოვდა სახელფასო დავალიანებას. მაშინ ოჯახს აქციებიც კი მოუწყვეს სახლთან ამ მოთხოვნით.

**– თუმცა პოლიტიკაში ჩართული ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი, რატომ შეიძლება იყოს ვალდებული, გაისტუმროს ხელფასები?**

– ეს ფული იყო მიზნობრივი. ეს რომ ყოფილიყო პატარკაციშვილის კუთვნილება, შეიძლება ანგარიშზე მორალური უფლება არ ჰქონოდათ, რადგან გარდაცვლილი იყო ის პირი, ვინც იყო ვალდებული. აქციები იმ პერიოდში იმიტომ დაიშალა, რომ ქალბატონი ნათელა გამოვიდა ტელევიზიის საშუალებით, რომ მაქვს ამ ფულის ვალდებულება და როგორც კი სასამართლო პროცესები დასრულდება, ყველას აუნაზღაურდება სახელფასო დავალიანებაო. ანუ ოჯახმა აღიარა ეს ვალდებულება. ამის შემდეგ საპროტესტო აქციები დაიშალა და ელოდებოდნენ სასამართლო პროცესების დასრულებას. როგორც ცნობილია, 2011 წელს ბერეზოვსკისა და პატარკაციშვილის ქვრივს შორის დასრულდა სასამართლო დავები. მემკვიდრეობამ ყველა დონეზე მიიღო საბოლოო სახე, ლონდონშიც, ოფშორებშიც. „სტანდარტ ბანკი“ გაიყიდა. ანგარიში კი რომელზეც სახელფასო თანხა იდო, გაიყინა. პროცესების დასრულებისთანავე ოჯახმა განცხადებით მიმართა პროკურატურას, ყადაღა მოიხსნა ფულზე და მემკვიდრეობით მიიღო ოჯახმა ეს ფული. რამდენად კანონიერად მიიღო ეს თანხა ოჯახმა, ეს სხვა საკითხია, რადგან ფულს ჰქონდა სახელფასო დანიშნულება.

**– თქვენ იურისტი ხართ და არსებობს იურიდიული დოკუმენტი, რომ ეს იყო სახელფასო დანიშნულების?**

– მე ეს ადამიანები სხვადასხვა რაიონებიდან მაწუხებდნენ, როგორც კი საქართველოში ჩამოვედი. მე ვპირდებოდი ამ ადამიანებს დახმარებას და ვეუბნებოდი, რომ ოჯახს მივაწვდენდი ხმას. მე არ მაქვს არანაირი საშუალება, რომ ამ ხალხს ვალი გადავუხადო და ვთხოვეთ, ნუ გვაიძულებთ, მივმართოთ ოფიციალურ სამართლებრივ გზას. მე მორალურად არ ვიყავი მზად, ამ ხალხს სათავეში ჩავდგომოდი, გამეკეთებინა ორგანიზება და დამეყენებინა მოთხოვნა ჯერ განცხადებით და შემდეგ ოფიციალურად. მორალურად არ ვიყავი მზად, რადგან ჩემი მხრიდან არ იქნებოდა სწორი არც ზნეობრივად და არც ეთიკურად. ამის გამო ვიკავებდი თავს და ახლაც ვიკავებ თავს, მიუხედავად იმისა, რომ პრეტენზიები ჩემ მიმართ დიდია. მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა განაცხადა, რომ არსებობს გარიგება ბადრი პატარკაციშვილის ოჯახსა და ხელისუფლებას შორის, მიმაჩნია, რომ ეს ნიშნავს საზოგადოების ზურგსუკან მოქმედებას. ამ ადამიანების მოთხოვნაში არაფერი უსამართლო და არალეგალური არ არის. ჩვენ ამ ადამიანებს ვაჩერებდით. თუმცა ივანიშვილის თემა განახლდა სწორედ ამ გარიგების წამოწევის შემდეგ. ახლა ეს ადამიანები ამბობენ, თუ ჩვენს ზურგს უკან ჩვენს ხარჯზე ხდება გარიგება და თავად სარგებელს ნახულობენ, ჩვენ რატომ უნდა გავჩუმდეთო. ჩვენ შევიკრიბეთ და დავსვით საკითხი.

**– ვინ შეიკრიბეთ?**

– ყოფილი შტაბის ხელმძღვანელები და გადავწყვიტეთ, რომ მოვთხოვოთ ხელისუფლებას, გამოაქვეყნოს დოკუმენტი. გარიგების ხელშეკრულებას ვგულისხმობთ. სწორედ ამის შემდეგ შეიძლება გახდეს ეს დოკუმენტი საფუძველი იმისა, რომ მოვითხოვოთ ამ დავალიანების დაფარვა. შესაძლოა, თემა გამწვავდეს და მიიღოს ფართო ხასიათი. უნდა გაირკვეს ყველაფერი. რაც შეეხება სახელფასო დავალიანების დოკუმენტს. ბანკში ასეთი დოკუმენტი არსებობს, მაგრამ კერძო პირებს მსგავს დოკუმენტებს ბანკი არ აძლევს. ეს ჩვენ სასამართლოთი უნდა მოვითხოვოთ და ამის შემდეგ გაიცემა დოკუმენტები. ფონდს ჰყავდა თავმჯდომარე, ბუღალტერი და შტაბის განმკარგულებელი პირი, რომლებიც მივიდნენ ბანკში. ბანკმა მათ შესთავაზა, რომ თანხის ნაწილი, რომელზეც ყადაღა არ იყო დადებული, გაეტანათ. გარეთ სპეცრაზმელები იყვნენ და ამ ადამიანებს ფულის გატანა შეეშინდათ. ესეც მტკიცებულებაა ერთგვარად. ჩვენ თუ დღემდე თავს ვიკავებდით, ახლა უკვე ოჯახი ვალდებულია, ამ ადამიანებს დავალიანება გადაუხადოს, რადგან, როგორც გაირკვა, მათ სარგებელი ნახეს გარიგების შედეგად. აქედან გამომდინარე, იძულებული ვხდები, ამ პროცესში ჩავერთო, სასამართლოში სარჩელები შევიდეს და ოფიციალური სახე მიიღოს.

**– შეიძლება ითქვას, რომ პატარკაციშვილის პარტია პატარკაციშვილის ოჯახს უჩივის?**

– პატარკაციშვილის პარტია უჩივის უსინდისობას. თუ ოჯახი უსინდისო გარიგებაში შევიდა, მაშინ პარტია მოითხოვს იმას, რასაც იმსახურებდა.

**– თქვენ ვარაუდობთ, რომ „იმედთან“ დაკავშირებულ ხელშეკრულებას ამ რვა მილიონთან რაიმე კავშირი აქვს?**

– რა თქმა უნდა. გარიგება რომ არ შემდგარიყო, 8 მილიონს ოჯახი ვერანაირად ვერ მიიღებდა.

**– როდისთვის აპირებთ სარჩელის შეტანას?**

– ახლა, არჩევნების წინ, არ ვიცი, რამდენად ღირს ამ საკითხის წამოწევა. ალბათ, როცა არჩევნები დასრულდება, ამის შემდეგ გავუწევთ ამას ორგანიზებას. ამ ყველაფერს სჭირდება სერიოზული ორგანიზება. ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა აღადგინო იგივე სტრუქტურა, რაც იყო ადრე, როცა შტაბი მუშაობდა.

**– ოჯახთან გქონდათ რაიმე ტიპის საუბარი ამ თანხასთან დაკავშირებით?**

– მე ოჯახთან მქონდა საუბარი, როცა ჩამოვედი, შევხვდი ბადრის დედას, ქალბატონ ნათელას. ის ძალიან კეთილშობილი ქალბატონია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რუსული პენსია ყველა ქართველ

# ორმაგი მოქალაქეობა რუსე

EXCLUS

## დევნი
## დაბრ
## დასრულე
## ნელინ

მარიამ ნადირაძე

**დარწმუნებულები ვართ, რომ ეს ინტერვიუ ბევრს შოკს მოჰგვრის, ბევრისთვისაც დიდი ხნით კრიტიკისა თუ განსჯის საგანი გახდება. ზოგი სტატიის ავტორს სუსტ ოპონენტობაში დაადანაშაულებს, რაკი „სახე არ ჩამოჰკაწრა“ რესპონდენტს, ნაწილი კი პირიქით, შეგვეკამათება იმაში, რატომ გვაქვს ასეთი მძაფრი რეაქცია რუსეთის ხსენებაზე. ეს ყველაფერი ნორმალურია... „პრაიმტაიმი“ კი თავის მხრივ შეეცადა, მაქსიმალურად ამოეწურა თემა, რომელიც ახალ ავანტიურას ჰგავს დიდი ხნის წინათ დაწყებულ ურთიერთობებში.**

**მაშ ასე, უმრავლესობისთვის კარგად ნაცნობი თემურ ხაჩიშვილი რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა და პოლიტიკაშიც აქტიურად გეგმავს ჩართვას:**

**– ერთმანეთს დაახლოებით 9 თვის წინ შევხვდით. მაშინ თქვით, რომ პოლიტიკაში დაბრუნებას არ გეგმავდით. რატომ შეიცვალეთ პოზიცია?**

– მაშინ გითხარით, რომ ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლით სრულიად კმაყოფილი ვიყავი. ახლა ის მიდის. ივანიშვილმა განაცხადა, რომ მიდის. ვინც რჩება და ვინც ოპოზიციაა, არც ერთი არ არის რამის მიმხედავი. შედეგად მივიღებთ მხოლოდ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ რეანიმაციას. როგორც გვაბოლებდნენ 20 წელი, კიდევ ამდენ ხანს დაგვაბოლებენ. ამ დროს კი ქვეყანაში რჩება უამრავი პრობლემა. თუ კარგად გაახელთ თვალს, მიხვდებით, რომ საქართველოში დაწყებულია დიდი თურქობა. ეს კი შემთხვევითი პროცესი არ არის. თუ ჯერ 30 ათას თურქს მისცეს საქართველოს მოქალაქეობა, მისცემენ კიდევ მილიონს და დამთავრდა საქართველო!.. ამას პრეზიდენტი თავისი ადმინისტრაციით აქტიურად უწყობს ხელს. ამის ერთადერთი მიზეზი შეიძლება იყოს მათი პირდაპირი აგენტობა თუ არა, გავლენის აგენტობა მაინც, თურქეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ...

ის, ვინც ამბობს, რომ ოთხ, ხუთ, ათ, ან ოც წელში შესაძლებელია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ის იტყუება, ან არ იცის, რას ამბობს. ვინაიდან, ამის გაკეთება შესაძლებელია ერთ წელიწადში და ამავე პერიოდში ყველა დევნილი თავის მშობლიურ სახლ-კარს დაუბრუნდება. ეს ერთ წელიწადში კი არ დაიწყება, არამედ, დასრულდება.

**– ეს როგორ მოხერხდება?**

– ჩვენი ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსვლის შემთხვევაში...

**– ვინ ხართ ეს „თქვენ“?**

– ყველა, ვინც ამ პოლიტიკურ პლატფორმას გაიზიარებს. როდესაც ამ პროექტს გავახმოვანებ, მერე გაირკვევა, ვინ გავხდებით „ჩვენ“.

**– გამოდის, საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებით...**

– დიახ. მნიშვნელობა არ აქვს, ეს ვადამდელი იქნება თუ არა. თუ დღევანდელი ხელისუფლება შეასრულებს ყველაფერს, რაც მას ქართველმა ხალხმა დაავალა, ბუნებრივია, არ დადგება საკითხი ვადამდელი არჩევნების შესახებ. ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მივიღებთ იმ კანონებს, სხვებთან ერთად, რაც საშუალებას მისცემს ყველა პენსიონერს, მიიღოს რუსული პენსია. დღევანდელი მდგომარეობით, ეს არის 300 დოლარი. სწორედ ამ რაოდენობის პენსიას მიიღებს საქართველოს მოქალაქე ყველა პენსიონერი.

**– საქართველოს ბიუჯეტიდან?**

– ეს ფული ქართულ ბიუჯეტში გაივლის... ვთქვათ, არჩევნები ჩატარდა 1-ელ ოქტომბერს, 25 ნოემბერს ყველა პენსიონერი, რომელიც გამოთქვამს სურვილს, მიიღოს რუსული პენსია, ამას მიიღებს.

**– და ამას რუსეთის ბიუჯეტი დაფინანსებს?**

– ეს პენსიონერისთვის არ არის მთავარი...

**– ცდებით... ჩემი მშობლებისთვის შემოსავლის წარმომავლობა ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი რაოდენობა...**

– ბუნებრივია, ესეც საინტერესოა. ვინც თანახმა იქნება ჩვენ მიერ შეთავაზებულ პირობაზე, მიიღებს ზუსტად 294 დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობის პენსიას.

**– რა პირობაა?**

– შევალთ ევრაზიულ კავშირში, შევალთ საბაჟო კავშირში და მივიღებთ ორმაგ მოქალაქეობას. ყველა ქართველი, ვინც გამოთქვამს სურვილს, საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად, ჰქონდეს რუსული მოქალაქეობაც, ის ამას მიიღებს, ყოველგვარი ფულის გადახდის გარეშე. თუ არ უნდა – არ მიიღებს. ივანიშვილმა რამე დაკარგა იმით, რუსეთის პასპორტი რომ ჰქონდა? ის რომ თავის დროზე რუსეთში არ წასულიყო, იქნებოდა ერთი ჩვეულებრივი წარმატებული ლექტორი, მაგრამ არა მილიარდერი. სხვა რიგით ქართველებს რატომ ვუშლით ამას? მაინცდამაინც მომვლელებად უნდა იმუშაონ დასავლეთში? შევარდნაძის შვილიშვილი დღეს არის რუსეთის მოქალაქე, ძალიან განათლებული და წარმატებულია. თუკი მას ამის საშუალება მიეცა, რიგით ქართველს რატომ ვუშლით ამას?

**– ტერიტორიულ მთლიანობაზე საუბრობდით...**

– ამ პრობლემის გადაწყვეტაც მომენტალურად დაიწყება. ჩვენ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ერთად შევქმნით ერთიან სახელმწიფოს. დაიდება ხელშეკრულება, რომლის გარანტორიც იქნება რუსეთი. ეს იქნება ხელშეკრულება ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შესახებ.

**– და აფხაზი და ოსი გახდება საქართველოს მოქალაქე?**

– დიახ, აფხაზეთის, ან ოსეთისა და რუსეთის მოქალაქეობის პარალელურად.

**– გამოდის, რომ რუსეთი არც საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაერთიანების შემთხვევაში არ აპირებს, უარი თქვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე.**

– რუსეთი ამას არ აპირებს. თუ შეიქმნება ერთიანი სახელმწიფო, ეს ავტომატურად მოხსნის ამ დაძაბულობას. მოდი, პირდაპირ ვიკითხავ: ვინმემ შეუშალა ხელი რუსეთს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ეცნო? რა თქმა უნდა, ვერავინ. ვინმე შეუშლის ხელს რუსეთს, საბაჟო კავშირში მიიღოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რომლებიც ამას დაჟინებით მოითხოვენ? ვერავინ შეუშლის ამაშიც ხელს, მაგრამ არ იღებს. მათ მიიღებენ საქართველოსთან ერთად. ამიტომ მედვედევის ბრძანებულების გაუქმება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად ცნობის შესახებ, ჩემთვის ამ ეტაპზე არის აბსოლუტურად მეორეხარისხოვანი. ჩემთვის მთავარია, რომ რუსეთის ხელისუფლების ხელმძღვანელობით დაიდოს ხელშეკრულება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ერთად ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შესახებ, დევნილების უპირობო დაბრუნების შესახებ...

**– ამ ერთიან სახელმწიფოს რა ერქმევა?**

– საქართველო! და კონსტიტუციონალისტებმა იფიქრონ, ამას საქართველოს კონფედერაცია ერქმევა, ფედერაცია, თუ საქართველოს შეერთებული შტატები...

**– ამბობთ, რომ დევნილები უპირობოდ დაბრუნდებიან, მაგრამ არ ითვალისწინებთ იმას, რომ მათ კერძო საკუთრებებს უკვე სხვები დაეპატრონენ...**

– ეს უკვე კერძო განხილვის საგანია. თუ იმ სახლში, რომელიც ეკუთვნის ქართველ დევნილს, უკვე ცხოვრობს აფხაზი, რომელსაც ომის დროს სახლი დაუწვეს, სახელმწიფო რომელიმეს აუშენებს სახლს. ეს კონფლიქტის საგანი აღარ გახდება. ეს იქნება მოლაპარაკების საგანი.

**– რომელი სახელმწიფო ააშენებს სახლს?**

– თუ პრობლემა წამოეჭრება ადამიანს, რომელიც ორმაგი მოქალაქეა, რუსეთი თავის მოქალაქეს აფხაზეთის ტერიტორიაზე აუცილებლად დაიცავს, რადგან ჩვენ, ყველანი ერთად, ვიქნებით ევრაზიულ კავშირში. მისაღებია თუ არა



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პენსიონერს...

# თთან... IME ლეგის უნეგის გა ერთ ადგი...

## რა ავანტიურით დაგრუნდა პოლიტიკაში თემურ ხაჩიშვილი?

ეს და რამდენად მოსაწონია, ამაზე კარგად უნდა დაფიქრდეს თითოეული. გარწმუნებთ, რომ ეს არის ერთადერთი გამოსავალი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. წინააღმდეგ შემთხვევაში კიდევ 20 წელი უნდა ვნაყოთ წყალი. და თუ დღეს 30 ათასი თურქია საქართველოში, ამ ოც წელიწადში გახდება 100 ათასი, მერე იმაზე კი აღარ ვიზრუნებთ, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი როგორ შემოვიყვანოთ საქართველოს შემადგენლობაში, არამედ მოგვიწევს ზრუნვა იმაზე, თბილისში დავრჩებით თუ არა ეთნიკურ უმრავლესობაში. უკვე რამდენი ხანია, ტვინს გვბურღავენ დასავლური და ამერიკული დახმარებებით. ვინმეს მსგავსი კონკრეტული წინადადება წამოუყენებია? მაშინ მისცენ ქართველ პენსიონერს 600 ევრო პენსია, რაც მათთან არის, ასევე გაგვიხსნან ბაზარი ჩვენი საქონლისთვის და ერთ წელიწადში დააბრუნონ ჩვენი დევნილები საკუთარ სახლებში. თუ რომელიმე პროამერიკული პარტია ასეთ ხელშეკრულებას დაუდებს ამომრჩეველს, პირადად გავხდები მათი აგიტატორი, გასამრჯელოსაც კი არ გამოვართმევ ამისთვის. დილიდან საღამომდე დავდგები ქუჩაში და ხალხს მოვუნოდებ, ხმა მისცენ ალასანიას, ან უსუფაშვილის პარტიას. მზად ვარ, დებატებში დავჯდე ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთან და ვიკამათო. დარწმუნებული ვარ, ვერავინ წარმომიდგენს ქვეყნის განვითარებისა და გადარჩენის ასეთ კონკრეტულ გეგმას.

**– ამ წინადადებათა პაკეტის ავტორი თქვენ ბრძანდებით, თუ რუსეთის სახელისუფლებო წრეები?**

– ეს ყველაფერი ჩემი მოფიქრებულია. ჩვენ დავდებთ ხელშეკრულებას ყველა ამომრჩეველთან, სადაც იქნება კონკრეტული პუნქტი, რომ ვთქვათ, არჩევიდან პირველივე ეკონომიკურ თვეში ყველა პენსიონერს მივცემთ რუსულ პენსიას. წინააღმდეგ შემთხვევაში გადავდგებით. ვაწერთ ხელს პოლიტიკურ, მორალურ და სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, რომ ჩვენი ამომრჩეველი მოვატყუეთ.

**– ეს ევრაზიული კავშირი ჯერ რომ არ არის, სად შეგყავართ?**

– როგორ არ არის? საბაჟო კავშირია... ევრაზიულ კავშირს რუსეთი ჩამოაყალიბებს საქართველოსთან ერთად. სომხეთი შეუერთდა საბაჟო კავშირს და განაცხადა სურვილი ევრაზიული კავშირის წევრობაზე, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რადგან მას არ აქვს საზღვრები რუსეთთან. საბაჟო კავშირი ეს არის აბსოლუტური ბარიერის მოხსნა ქვეყნებს შორის ტვირთის გადაზიდვაზე. ქართველ გლეხსა და მეწარმეს საზღვარზე აღარ დაეკისრება არავითარი საბაჟო გადასახადი. ქართული პროდუქცია აღარ დაიბეგრება იმ გადასახადებით, რითაც დღეს იბეგრება და ის გახდება კონკურენტუნარიანი რუსულ, ბელორუსულ, თუ ყაზახურ ბაზარზე. საქართველოში სამი მოსავალი რომ მოვიწიოთ, ეს ბაზარი მაინც ბევრი იქნება ჩვენთვის. ეს ყველაფერი თავისთავად გაზრდის ბიუჯეტს, რაც აისახება ყველა მოქალაქეზე. საბაჟო კავშირში ენერგომატარებლები უფრო იაფია, როგორც საწარმოებისთვის, ისე რიგითი მოქალაქეებისთვის. ასე რომ, ევრაზიული კავშირი ყველასთვის მისაღებია. თუ გვინდა, გადავიხადოთ უფრო ძვირი, კი ბატონო...

**– ვინ გაფინანსებთ? რუსეთის ხელისუფლება?**

– სხვათა შორის, უკანასკნელი პერიოდის მმართველობამ საქართველო იქამდე მიიყვანა, რომ დღეს პოლიტიკის კეთებას ფული არ სჭირდება.

**– და საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე გადაწყვიტეთ, შემოხვიდეთ პოლიტიკაში „ავანტიურისტული“ გეგმით. ეს შემთხვევითია?**

– არ არის შემთხვევითი. უკვე გითხარით, რომ ეს მე ივანიშვილის განცხადებამ გადამაწყვეტინა, წასვლის თაობაზე.

**– წინასაარჩევნოდ როგორ სურათს ხედავთ? რომელი ქვეყანა რომელ კანდიდატს მფარველობს?**

– სიმართლე გითხრათ, ვერც ერთი კანდიდატის უკან ვერ ვხედავ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის გამოკვეთილ ინტერესებს. რა თქმა უნდა, ბაქრაძეს არ ვგულისხმობ, ვინაიდან კანდიდატად ვერ აღვიქვამ. ის არის დამნაშავე, რომელიც ჯერ არ დაუჭერიათ და არ გაუსამართლებიათ იმ დანაშაულებრივი რეჟიმის შექმნისთვის, რომლის მოწმეनიც ჩვენ ვიყავით. რაც შეეხება დანარჩენებს, მათ უკან რომელიმე ქვეყნის ისეთ გამოკვეთილ მხარდაჭერას ვერ ვხედავ, რაც იყო 2003 წელს, როგორც ამერიკული, ისე რუსული მხრიდან, როცა ორივე ქვეყნის ფავორიტი ერთი ადამიანი აღმოჩნდა.

**– თქვენი პროგნოზი როგორია ამ არჩევნებისთვის?**

– ჩემი აზრით, მარგველაშვილი გაიმარჯვებს, იმიტომ რომ მის მიმართ ივანიშვილმა აშკარა მხარდაჭერა გამოხატა. ეს კი, ფაქტობრივად, უკვე გამარჯვებაა. მაგრამ გარწმუნებთ, ასე აღარ იქნება საპარლამენტო არჩევნებისთვის, თუ მარგველაშვილი არ შეასრულებს იმას, რასაც ხალხს დაჰპირდა – დაასრულებს კოჰაბიტაციას.

შეიძლება ივანიშვილი სწორედ იმიტომაც მიდის, რომ ის თავის გუნდს ველარ ერევა და ამიტომაც გამოხატა მხარდაჭერა მარგველაშვილის მიმართ, რომელიც ამბობს, რომ კოჰაბიტაციას დაასრულებს. და თუ ის ამას ვერ შეასრულებს, სწორედ ეს გახდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების წინაპირობა. ვინაიდან ოთხწლიან კოჰაბიტაციას ქართული საზოგადოება ვერც მოითმენს, არც მოითმენს და ამის რესურსი, ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის ეკონომიკას არ გააჩნია.

# სოსო ჯაჭვლიანი ბურჯანაძის სასარგებლოდ მუშაობას უარყოფს

ნინო დათაშვილი

**ხმები ვრცელდება, თითქოს ნინო ბურჯანაძე ფრაქციას ქმნის და ძირითადად „ფორუმსა“ და მაჟორიტარებს დაეყრდნობაო. დასახელებულია მსახიობი სოსო ჯაჭვლიანიც. თუმცა, ამჯერად ამ ხმებს პარლამენტში ყველა უარყოფს. ყველა ღიად ამბობს, რომ არავითარი მოძრაობა ნინო ბურჯანაძის სასარგებლოდ არ შეინიშნება. არასაპარლამენტო პარტიები ამ პროცესს მაინც გარდაუვლად მიიჩნევენ და თვლიან, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა ამ პროცესს მხოლოდ ხელს შეუწყობს. პარლამენტში არც ამ მოსაზრებას იზიარებენ.**

**ვფიქრობ, რომ ის ცრუ ზარები, რომელიც ტელევიზიებში ხორციელდება, სპეციალურად არის გაკეთებული. ეს ვიღაც-ვიღაცებს აწყობთ...**

**ანი მიროტაძე, „ეროვნული ფორუმი“:**

**– როგორ ფიქრობთ, წავა ივანიშვილი პოლიტიკიდან?**

– რაც მოვიდა ეს ადამიანი პოლიტიკაში, მას შემდეგ ამბობს, უნდა წავიდეო და არ ვფიქრობ, რომ ნაფიქრი არ აქვს ამ საკითხზე. დარწმუნებული ვარ, გააზრებული აქვს ყველა თავისი ნაბიჯი. მე პირადად არ მინდა, რომ წავიდეს პრემიერობიდან, მაგრამ მას თუ მაინც გადაწყვეტილი აქვს წასვლა, გეგმაც ექნება ამ ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით. ამ ეტაპისთვის ამის შეფასება ძალიან რთულია. ადამიანი, რომელიც ამბობს, მიდვივარ სამოქალაქო სექტორში იმისთვის, რომ ეს სფერო განვავითარო და გავაძლიერო ზეწოლა ხელისუფლებაზეო, ამაში ალოგიკურს ვერაფერს ვხედავ. ეს არის ჩვეულებრივი ევროპული დემოკრატიული საზოგადოების დამახასიათებელი.

**– რამდენად შესაძლებელია, რომ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ნინო ბურჯანაძემ ახალი ფრაქცია შექმნას და თქვენ ამ ფრაქციაში გიხილოთ?**

– მე არ ვიცი, საიდან მოდის ეს ინფორმაციები, მაგრამ პირადად მე საერთოდ გამოვრიცხავ ამ ვერსიას, თეორიულ შანსსაც კი გამოვრიცხავ. ასევე, გამოვრიცხავ იმას, რომ ბურჯანაძემ მოიგოს არჩევნები. ერთი მარტივი მიზეზის გამო, ჩვენ მივდივართ წინ და არა – უკან. რატომ უნდა შექმნას ნინო ბურჯანაძემ ფრაქცია და რატომ უნდა იყოს იქ „ეროვნული ფორუმი“, აბსოლუტურად წარმოუდგენელია. ჩვენ არჩევანი თავის დროზე გავაკეთეთ. „ეროვნული ფორუმი“ არ არის ძალა, რომელიც აქეთ-იქით დახტის.

**გამოვრიცხავ იმას, რომ ბურჯანაძემ მოიგოს არჩევნები**

**სოსო ჯაჭვლიანი, კოალიცია „ქართული ოცნება“:**

– იცით, როგორ არის: როგორც ჩანს, ქართველებს ამნეზია გვაქვს. როდესაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა, მან ასეთი რაღაც თქვა: მე ერთ წელიწადში მოვალ ხელისუფლებაშიო. ყველა იცინოდა ამაზე, განსაკუთრებით – „ნაციონალები“. ხალხსაც არ ეჯერა. ხომ მოვიდა ერთ წელიწადში? მოსული არ იყო, მან ბრძანა, მე როდესაც მოვალ, წელიწად-ნახევარში შევატყობ, როგორი სიტუაცია იქნება, მთავარია, ესენი მოვიშოროთო, და შემდეგ გადავწყვეტ, როგორ მოვიქცეო. ახლა მან განაცხადა, მივდივარო, რისი სურვილიც პირადად მე არ მაქვს. მან ისიც თქვა, რომ ევროპას გავაკვირვებ დემოკრატიითო. უკვე გააკვირვა ევროპა და იცით, როგორ? ძლივს ვნახეთ ადამიანი, რომელიც ამბობს, თუ არ ვიქნები საჭირო, წავალო. ეს უკვე რამხელა რაღაცაა, რომ ადამიანი არის პირველი პირი საქართველოში და იძახის, რომ, თუ გნებავთ, წავალო. ანუ თუ არ ვჭირდები ხალხს, წავალ პოლიტიკიდანო. შევხედოთ მოვლენების განვითარებას. ახლა არჩევნებია ჩასატარებელი და მთავარია, როგორ ჩატარდება ეს არჩევნები. ვფიქრობ, რომ ის ცრუ ზარები, რომელიც ტელევიზიებში ხორციელდება, სპეციალურად არის გაკეთებული. ეს ვიღაც-ვიღაცებს აწყობთ, განსაკუთრებით ჩვენს „ნაძირალტრესტის“ თავმჯდომარეს მიხეილ სააკაშვილს. ესეც წინასაარჩევნო პროვოკაციაა, ალბათ. მე ასე ვფიქრობ. ახლა მთავარია მშვიდობიანად მივიდეთ არჩევნებამდე. ბატონ ბიძინას საკუთარი აზრი აქვს. მისი გადასაწყვეტია, იქნება თუ არა საჭირო მისი დარჩენა, შეიძლება საჭირო იყოს, შეიძლება – არა.

**– რა მოვლენების განვითარების შემთხვევაში შეიძლება აღარ იყოს ივანიშვილი საჭირო?**

– ვფიქრობ, რომ ის საჭიროა, ყოველი მიზეზის გარეშე, მინიმუმ ოთხი წელი. ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა. დანარჩენი ბატონი ბიძინას გადასაწყვეტია. როგორც ჩათვლის საჭიროდ, ისე მოიქცევა.

**– რამდენად შესაძლებელია, რომ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ნინო ბურჯანაძემ ახალი ფრაქცია შექმნას და თქვენ ამ ფრაქციაში გიხილოთ?**

– გავრცელდა ისეთი ცრუ ინფორმაციები, თითქოს რაღაც ფრაქცია შექმნა რამდენიმე დეპუტატმა, მათ შორის, ლორთქიფანიძემ, ქავთარაძემ და ჯაჭვლიანმაო. ისინი, ვინც ამას ავრცელებენ, არიან ჭორნიუსების ბანდა. ეს არანაირად არ არის სიმართლესთან ახლოს. ეს არის ტყუილი. მე იქ ვარ, სადაც ვარ. მე ვარ „ქართულ ოცნებაში“. ბურჯანაძეს, ისევე როგორც სხვებს, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატებს, პატივს ვცემ, მაგრამ ის, რაც თქვენ მითხარით, არანაირად არ შეესაბამება სიმართლეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სოზარ სუბარი
## თანამდებობას ტოვებს

# „რა იქნება 27 ოქტომბრის შემდეგ, ამაზე საუბარი ნაადრევია“

my View
მირიან ბოქოლიშვილი

**„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სასჯელაღსრულების მინისტრი თანამდებობის დატოვებას გეგმავს. სოზარ სუბარის ამ გადაწყვეტილების მიზეზად რამდენიმე გარემოება სახელდება. როგორც ჩვენი წყარო ყვება, სასჯელაღსრულების უწყების მოქმედი ხელმძღვანელობა მივიდა დასკვნამდე, რომ ციხეებში არსებულ სიტუაციას შედარებით მკაცრი ხელი სჭირდება და ამას ყოფილი სახალხო დამცველი თავს ვერ ართმევს. შეგახსენებთ, რომ სისტემატურად საუბრობენ, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში „მაყურებლების ინსტიტუტის“ გაძლიერებაზე და უკანონო საგნების შეტანაზე. ამ ყველაფერს კანონით გათვალისწინებული სადამსჯელო ღონისძიებები სჭირდება, რასაც სოზარ სუბარი თავს ვერ ართმევს და თუნდაც კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას არ იყენებს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ მინისტრი შესაძლო არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმას ერიდება. ამიტომაც მან სიტუაციიდან გაცლა არჩია. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის გამოც სოზარ სუბარი თანამდებობას დატოვებს, ეს შიდა დაპირისპირებაა. მთავრობაში ღიად არ საუბრობენ, თუმცა კულუარებში არ მალავენ, რომ სოზარ სუბარი სასჯელაღსრულების სისტემაში დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს და ხშირ შემთხვევაში კანცელარიიდან წამოსულ დირექტივებს არ ემორჩილება. ეს დირექტივები კი ძირითადად მთავრობის ერთიან პიარსტრატეგიას ეხება და როგორც ჩვენი წყარო ყვება, სოზარ სუბარი ამ ერთიან ქარგაში არ ჯდება. არის ინფორმაცია, რომ რამდენიმე საპროტესტო აქცია, რომელიც სოზარ სუბარის წინააღმდეგ გაიმართა, სწორედ მასთან დაპირისპირებული სამთავრობო კულუარებიდან იყო მართული. სად წავა გადადგომის შემდეგ სოზარ სუბარი? არ არის გამორიცხული, მომავალში მან, პრემიერის მსგავსად, სამოქალაქო სექტორში გადაინაცვლოს და ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებულ ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციას ჩაუდგეს სათავეში. რამდენად რეალურია გავრცელებული ხმები, ამის გარკვევას „პრაიმტაიმი“ პირადად სოზარ სუბართან შეეცადა.**

**– ბატონო სოზარ, არსებობს ინფორმაცია, რომ ივანიშვილის წასვლის შემდეგ თანამდებობიდან წასვლას თქვენც აპირებთ...**

– მოდით, ახლა ვილაპარაკოთ იმაზე, რა ხდება 27 ოქტომბრამდე. რა იქნება 27 ოქტომბრის შემდეგ, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

**– ანუ არ გამორიცხავთ?**

– მე არ გამოვრიცხავ, რომ ხვალ ცოცხალიც არ ვიყო. ასე არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

**– რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილს, დარწმუნებული ხართ, რომ ის პირველივე ტურში მოახერხებს გამარჯვებას?**

– გიორგი გაიმარჯვებს პირველივე ტურში და გაიმარჯვებს ღირსეულად. ყოველგვარი სახელისუფლებო ჩარევისა და წარსული მანიპულაციების გარეშე. საზოგადოება ნახავს, რას ნიშნავს თავისუფალი არჩევანის გამოხატვა. ეს იქნება საქართველოს ისტორიაში ყველაზე თავისუფალი არჩევნები.

# პანტიკო თორდია სახელ

my View
მირიან ბოქოლიშვილი

**ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, თბილისის საავიაციო ქარხანაში საკუთარი ინტერესების გატარებასა და კონტროლის დაწესებას ხელისუფლების სხვადასხვა ძალები ცდილობდნენ. შევარდნაძის მმართველობის ბოლო წელს კი სახელმწიფო საწარმო, 10-წლიანი მართვის უფლებით, გენერალურ დირექტორს, პანტიკო თორდიასა და სხვა აქციონერებს გადაეცათ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ „თბილავიამშენში“ საკუთარი ინტერესები გაუჩნდა საკაშვილის ხელისუფლებასაც – პანტიკო თორდიასა და მის პარტნიორებს მართვაზე უარი ეთქვათ, ჯერ ქარხანა აყიდვინეს, შემდეგ ჩამოართვეს და კვლავ სახელმწიფოს გადასცეს. ჩამორთმევამდე კი, როგორც პარტნიორები ყვებიან, შეგნებულად ხდებოდა კომპანიის გაკოტრება. სახელმწიფო პრივატიზაციის დროს აღებულ ვალდებულებას არ ასრულებდა და „თბილავიამშენთან“ არ აფორმებდა სახელმწიფო შესყიდვას, ამის ნაცვლად კი უკრაინიდან და ბელორუსიდან გაცილებით ძველი და გაუმართავი თვითმფრინავები ჩამოჰყავდა, რაშიც ორჯერ და სამჯერ მაღალ ფასს იხდიდა. ამ პროცესით კი ზარალდებოდა არა მხოლოდ „თბილავიამშენი“, არამედ ქვეყნის ბიუჯეტიც... სახელმწიფო ბოიკოტის მიუხედავად, „თბილავიამშენმა“ საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან მოთამაშედ თავის დამკვიდრება მაინც მოახერხა. ის გახდა „ბოინგის“ ქვეკონტრაქტორი ფირმა, მიიღო არაერთი სერტიფიკატი, თუმცა დღეის მდგომარეობით ეს ყველაფერი მხოლოდ ქაღალდზეა. ქარხანა პრაქტიკულად აღარ მუშაობს, ყოველ შემთხვევაში საკუთარი პროფილით. ის ამჟამად ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და როგორც ყოფილი მესაკუთრეები ყვებიან, „დეესპეს“ ავეჯის წარმოებითაა დაკავებული.**

# „200 ათასი გადაგვარიცხვინეს ოფშორულ კომპანიაში, თითქოსდა საქველმოქმედო მიზნებისთვის. გარდა ამისა, 5 მილიონის ჯიპების ყიდვა მოგვთხოვეს“

„თბილავიამშენის“ ერთ-ერთი მეწილე, რომელსაც, პანტიკო თორდიას მსგავსად, საკუთარი აქციები დაათმობინეს, კახა ჟღენტი გახლავთ. ხელოვნურად შექმნილი ბარიერების გარდა, ის იხსენებს, როგორ არიცხვინებდნენ ოფშორულ ზონებში სოლიდურ თანხებს და ავალებდნენ თავდაცვის სამინისტროსთვის ავტომობილების შეძენას.

**„2 მილიონ-ნახევარს გვთხოვდა კეზერაშვილი, ბოლოს 200 ათასი გადაგვარიცხვინეს ოფშორულ კომპანიაში, თითქოსდა საქველმოქმედო მიზნებისთვის. გარდა ამისა, 5 მილიონის ჯიპების ყიდვა მოგვთხოვეს. საბოლოოდ თავდაცვის სამინისტროს ვუყიდეთ 20-მდე ახალი ჯიპი“, – ყვება კახა ჟღენტი. „თბილავიამშენის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს კი ასე იხსენებს:**

– ფაქტობრივად, პროცესი დაიწყო 2003 წელს, როდესაც სახელმწიფომ გამოაცხადა ტენდერი სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის“ 100 პროცენტის მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე. კომპანიის თანამშრომლებმა შევქმენით კერძო სამართლის იურიდიული პირი შპს „თბილავიამშენი“ და მივიღეთ მონაწილეობა აღნიშნულ ტენდერში, მოვამზადეთ ბიზნესგეგმა და ამ ბიზნესგეგმით ჩვენ გავიმარჯვეთ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ამ აქციების 10 წლით გადაცემას სამართავად გარკვეული საინვესტიციო პირობებით. შევუდექით მუშაობას, დაახლოებით წელიწად-ნახევრის შემდეგ ახალი მთავრობის, კერძოდ კი, მაშინდელი ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის განცხადებით, მართვის ეს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ᲛᲬᲘᲤᲝᲡᲒᲐᲜ 67 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

## „ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲨᲝᲙᲘ, ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ“

## ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲔᲑᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲠᲑᲔᲓᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲣᲚ „ᲗᲑᲘᲚᲐᲕᲘᲐᲛᲨᲔᲜᲡ“ ᲛᲔᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲔᲑᲡ?

ფორმა სახელმწიფოსთვის მიუღებელი იყო და საჭირო იყო ხსენებული საწარმოს პრივატიზაცია. ცხადია, პრივატიზაციას ჩვენს გარეშე ვერ განახორციელებდნენ, რადგან მართვის ხელშეკრულების დარღვევა სამართლებრივად არც ისე ადვილი გახლდათ, ამდენად ისინი იძულებულნი გახდნენ, პირველი შეთავაზება გაეკეთებინათ ჩვენთვის. სხვა არჩევანი არც დაგვიტოვეს და ჩვენ დავთანხმდით, რომ პრივატიზაციაში მიგველო მონაწილეობა. მათ საპრივატიზაციო თანხად განსაზღვრეს 67 მილიონი დოლარი, რაც დღევანდელი მდგომარეობითაც კი უპრეცედენტო პრივატიზაციაა თავისი მასშტაბით. გამოიცა პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულება „თბილავიამშენის“ პირდაპირი მიყიდვის წესის თაობაზე. ერთი წელი მოგვეცა ამ თანხის დასაფარად და ჩვენ ეს თანხა, მართლაც, დავფარეთ 2005 წელს. უკვე 2006 წლის 6 იანვარს გადმოგვეცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. ქარხნის საკუთრებას წარმოადგენდა 57 ჰექტარი საწარმოო ზოლში და 217 ჰექტარი საცდელ-საგამოცდო სადგური.

**– პრობლემები როდიდან იწყება?**

– 2010 წლის იანვრიდან იწყება ზეწოლა ჩვენზე. იანვარში გენერალურ დირექტორსა და საკონტროლო პაკეტის მფლობელს, პანტიკო თორდიას იბარებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის სამსახურში. მაშინ არ ყოფილა გაჟღერებული პირდაპირი ჩუქების საკითხი, მაგრამ იყო მუქარა, რომ თუ ჩვენ არ დავთანხმდებოდით მათთან თანამშრომლობას, პანტიკო თორდია დარჩენილ წლებს ციხეში გაატარებდა. 2010 წლის თებერვალში საჯარიმო რეესტრი გვიჩერებს სამეწარმეო რეესტრთან ხელმისაწვდომობას. ჩვენი მივმართეთ იუსტიციის სამინისტროს, თუმცა არანაირი პასუხი არ გაგვცეს, რატომ იყო შეჩერებული რეესტრიდან ამონაწერის ამოღება. ეს გაგრძელდა 7 თვე... მოგეხსენებათ, 2010 წლის მაისში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და როგორც ჩანს, საარჩევნოდ ხმაურს მოერიდნენ, თუმცა უკვე ივნისში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური შემოდის და ქარხნიდან იღებს მთელ ფინანსურ დოკუმენტაციას, ხელშეკრულებებს, კომპიუტერებს და ა.შ. სულ 80 დალუქული ტომარა გაიტანეს ტერიტორიიდან. ამასთანავე, საგამოძიებო სამსახურში იბარებენ პანტიკო თორდიას და მაგიდაზე უდებენ საბრალდებო დასკვნას. მისი დაკითხვა ფინანსურ პოლიციაში 5 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. არ მიეცა ადვოკატის გამოყენების უფლება და ერთი ოთახიდან მეორეში, მეორიდან მესამეში დაჰყავდათ მთელი ამ ხნის განმავლობაში.

**– კონკრეტულად რას ითხოვდნენ?**

– ეს თავად ჰკითხა ბოლოს პანტიკო თორდიამ, რაზეც უპასუხეს: ჩვენ გვაქვს დავალებული, რომ ეს ქარხანა უნდა აჩუქოთ სახელმწიფოს, წინააღმდეგ შემთხვევაში წარედგინებოდა ბრალი. ბრალი, რომელსაც თორდიას უყენებდნენ, იყო სახელმწიფოს შეცდომაში შეყვანით, თაღლითურად დიდი ოდენობით ქონების მითვისება. ეს საბრალდებო დასკვნა, შემდგომში ჩვენ მიერ იქნა მოთხოვნილი, თუმცა აღმოჩნდა, რომ ის ბუნებაში არ არსებობს. ფაქტია, რომ ამით ცდილობდნენ პანტიკოს თორდიას დაშინებას და „თბილავიამშენის“ მითვისებას. ამ ფსიქოლოგიური სტრესის შედეგად პანტიკო თორდია თანხმდება, დათმოს საკონტროლო პაკეტი. ქარხანა უნდა გადასცემოდა თავდაცვის სამინისტროს და შესაბამისი დოკუმენტებიც იქ გაფორმდებოდა. ქარხანაში იმ დღეს 3-ჯერ იმყოფებოდა თავდაცვის იმდროინდელი მინისტრი ბაჩო ახალაია. დაათვალიერა, რისი მეპატრონე გახდა მისი უწყება და კარგად მახსოვს მისი რეაქცია, – მე მითხრეს, გაპატრახებულ ქარხანას ვიბარებდი და რეალურად, აბსოლუტურად თანამედროვე და წარმატებული ქარხანა ყოფილაო. მეორე დღეს „თბილავიამშენის“ პარტნიორები, სამი კაცი დაგვიბარეს ეკონომიკის სამინისტროში, გვხვდება იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი, სამხედრო პოლიციის წარმომადგენელი და ნოტარიუსი. სამხედრო პოლიციამ განგვიმარტა, რომ თორდიასთან ეს საკითხი უკვე გარკვეულია და თუ ჩვენი მხრიდან რაიმე პრობლემა შეიქმნებოდა, ანალოგიური ზეწოლა განხორციელდებოდა. მოკლედ, კვირა დღეს ეკონომიკის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ნოტარიუსი ადგენს პარტნიორთა კრების ოქმს. შედგა ასევე „თბილავიამშენის“ სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება და ამ დოკუმენტზე ორივე იძულებითა და მუქარის გზით მოგვაწერინა ხელი.

**– ამჟამად, როგორც ცნობილია, პროკურატურაში გაქვთ შეტანილი საჩივარი და ითხოვთ წართმეული საკუთრების დაბრუნებას... რა ეტაპზეა საქმე?**

– პროკურატურამ მოახდინა ჩვენი დაკითხვა, ჩვენებები ჩამოერთვა ყველა აქციონერს, ამის შემდეგ საქმე გაჩერდა და დღემდე არ გვაქვს პასუხი, რა მსვლელობა მიეცა ჩვენს საჩივარს, ან რა ეტაპზეა გამოძიება. დღეს აღნიშნული ქარხანა არის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე. არსებობს უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც ამ ქარხნის უკანონო წართმევას ადასტურებს, მაგრამ რატომღაც საქმე წინ არ მიდის. თუ ქვეყანაში არ შეიქმნა პრეცედენტი სამართლიანობის აღდგენის, დემოკრატია ვერასდროს დამყარდება. ჩვენ იმასაც ვითვალისწინებთ, რომ შესაძლოა, სახელმწიფოს ჰქონდეს თავისი ინტერესები ამ ქარხანასთან დაკავშირებით, ამიტომ ვთავაზობთ, რომ ან ქარხანა დაგვიბრუნონ, ან ის თანხა, რომელიც ჩვენ გადავიხადეთ ამ ქარხნის შეძენაში. ეს არის 67 მილიონი დოლარი. თუმცა ვფიქრობ, სახელმწიფოს ეს ქარხანა არაფრისთვის არ სჭირდება, მთლიანად არის შეჩერებული საავიაციო წარმოება. დაიწყეს რაღაც ხის, ე.წ. დეესპეს ავეჯის წარმოება, რომელიც საერთოდ არ გახლავთ ამ ქარხნის პროფილი. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მოგვეცა იმედი, რომ სამართლიანობა აღდგებოდა, თუმცა დღემდე უშედეგოდ ველოდებით ამას. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ქარხანა წაგვართვეს, წინა ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა, რომ პროფესიონალების გარეშე აზრი არ ჰქონდა ამ ქარხნის ფლობას, ამიტომ მართალია, „თბილავიამშენი“ დაუქვემდებარეს თავდაცვის სამინისტროს სიპს – „დელტას“, ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე მაინც რჩებოდა პანტიკო თორდია. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ „დელტას“ დირექტორი გაიქცა და დაინიშნა ახალი ხელმძღვანელი. მისი მოსვლიდან ერთ თვეში პანტიკო თორდია გენერალური დირექტორის პოსტიდანაც გაათავისუფლეს. ეს იყო მორიგი შოკი, ამჯერად უკვე ახალი ხელისუფლების დროს. საუბარი იყო ალასანიასთანაც, რომელმაც თქვა, ეს გაურკვევლობაა და აუცილებლად გამოსწორდებაო, მაგრამ, ცხადია, ამას გაგრძელება არ ჰქონია. დაბოლოს, მინდა ერთიც აღვნიშნო, პრემიერი შეჰყავთ შეცდომაში, როდესაც ეუბნებიან, უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნება რომ დავიწყოთ, ეს ბიუჯეტს მილიარდობით ლარი დაუჯდებაო. ეს არის ტყუილი, თუნდაც ჩვენს მაგალითზე, რადგან „თბილავიამშენის“ დაბრუნებას წინ არაფერ უდგას და არანაირ დანახარჯებთან სახელმწიფოს მხრიდან, დაკავშირებული არ არის. ეს ქარხანა დღეს არის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე და შეიძლება ითქვას, თითქმის არ ფუნქციონირებს. კანონიერი მესაკუთრისთვის ამ ქარხნის დაბრუნებით სახელმწიფო კი არ იზარალებს, პირიქით, ეს იქნება დამატებითი სტიმული ბიუჯეტისთვის. თუ ნება იქნება, სამართლიანობის აღდგენას წინ არაფერი უდგას ჩვენს შემთხვევაში. გაუგებარია, რატომ იწელება პროცესი.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

# დაბლოკილები და განბლოკილ

my View
თამარ
გორთამაშვილი

**ნინელი ჭანკვეტაძე:**
**„მე თუ გავიგებ, რომ დღეს ვინმე სადმე იბლოკება, ეკა კახიანისგან განსხვავებით, ჩემს კოლეგასაც დავუდგები გვერდით და მომღერალსაც“**

**მერაბ სეფაშვილი:**
**„თავისსამართლებელი არაფერი გვაქვს და ასეთ პოზაში ყოფნა, ჩემი აზრით, უხერხულია“**

# Block/Unblock?

**პოლიტიკა, როგორც მეცნიერება, სახელმწიფო მიზნების მიღწევის ხერხებს შეისწავლის – ეს არის დეფინიცია იმ ყველაზე პოპულარული მეცნიერებისა, რომელიც ბოლო 20 წელია, ყველა სხვა სფეროში, კულტურაში, სპორტში, შოუბიზნესში ღრმად ფესვგადგმულია და მისგან განთავისუფლება, როგორც ჩანს, არც ისე მარტივია... წინა კვირას ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რადგან გადაცემა, რომელშიც ამ მანკიერ მემკვიდრეობაზე უნდა ყოფილიყო საუბარი, კიდევ უფრო მეტ დაპირისპირებაში გადაიზარდა. სხვადასხვა პოზიციებზე მყოფი ხელოვანები დღეს ერთმანეთს უკვე ღიად აკრიტიკებენ, ზოგი ტელეეთერიდან იბრძვის ძველი დიდების დასაბრუნებლად, ზოგიც სახალხო ტრიბუნიდან ეხმაურება „გაღმა ნაპირზე“ მდგარ კოლეგებს.**

წინა ოთხშაბათს ტელეკომპანია „იმედზე“ ეკა ხოფერიას შოუ გავიდა, სადაც სტუმრად გია გაჩეჩილაძე, იგივე „უცნობი“, გიორგი ხაინდრავა, ეკა კახიანი და საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი კიდევ რამდენიმე სახე იყო მიწვეული. თავად შოუს ავკარგიანობაზე ბევრი სხვადასხვა შეფასება გაკეთდა, რაზეც ახლა არ შევჩერდებით, რადგან თავად წამყვანმაც გააკეთა სოციალურ ქსელში მოგვიანებით პატარა კომენტარი და მაყურებელს აუხსნა: „ცოტა (ნუ, შეიძლება მეტადაც) გაიწელა პოლიტიკური ნაწილი; 2. არ იყო კრიტიკული აზრი; 3. გვიან ნახა მაყურებელმა კულმინაცია (მიზეზი პუნქტი 1): ეკა კახიანისა და გიას შეხვედრა ცნობილი „შავი სიების“ შემდეგ და მთავარი, ვფიქრობ, რომ „უცნობი“ საინტერესო რესპონდენტია, ამას მოწმობს ის გამოხმაურება, რომელიც მის გამოჩენას მოჰყვა ეკრანზე. მომავალში მე დიდი სიამოვნებით მოგიყვებით მის ახალ პროექტზე, გუშინ ამის შესაძლებლობა არ მომეცა“.

ეკა ხოფერიას შოუში, მიწვევის მიუხედავად, არ მივიდა მერაბ სეფაშვილი, აჩიკო გულედანი კი, როგორც წამყვანმა თქვა, ფაქტობრივად, სტუდიიდან უკან გაბრუნდა. ერთადერთი, ძველი სახელისუფლებო ფავორიტებიდან, ვინც ეთერში შესვლა „გაბედა“, ეკა კახიანი იყო. მან ხმამაღლა განაცხადა, რომ ის არა მარტო „ნაციონალურ მოძრაობას“, „მოქკავშირსაც“ და კომუნისტებსაც ერთნაირად უმღეროდა და ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებდა, რომ გასამრჯელო მიეღო და ოჯახი ერჩინა. კახიანის ამ სიტყვებმა, როგორც ჩანს, კიდევ უფრო მეტი გაღიზიანება გამოიწვია. მეორე დღეს „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის მხარდასაჭერ შეხვედრაზე მისულმა ნინელი ჭანკვეტაძემ კოლეგას მაღალი ტრიბუნიდან უპასუხა. დღეს ჭანკვეტაძე ამბობს, რომ მისი სიტყვების ადრესატი ეკა კახიანი არ ყოფილა.

**ნინელი ჭანკვეტაძე:**
**„მე სწორედ იმიტომ ვიბლოკებოდი, რომ ყოველთვის ჩემი აზრი მქონდა და არ მაინტერესებდა, ვინ იყო ხელისუფალი“**

**ნინელი ჭანკვეტაძე:**

**– ეკა კახიანის ეთერში გამოსვლას საკმაოდ მძაფრად გამოეხმაურეთ, რამ გამოიწვია თქვენი ასეთი გაღიზიანება?**

– რატომ იგებთ ასე პირდაპირ, რომ ეკა კახიანის გამოსვლას ვუპასუხე?

**– იმიტომ რომ წინა დღეს ისაუბრა კახიანმა...**

– მე კონკრეტულად არავინ არ დამისახელებია. ალბათ, გაიგეთ, რაც ვთქვი, გამეორებას არ ვაპირებ.

**– მაშინ, ზოგადად, ამ თემისადმი თქვენი მიდგომა და პოზიცია მაინტერესებს.**

– მე რასაც ვფიქრობდი, ზუსტად ის ვთქვი. გაიგონეთ, არის ჩანაწერი და მოისმინეთ.

**– ეკა კახიანი ამბობს, რომ ქართველი შემსრულებლების ერთი ნაწილი სხვადასხვა ღონისძიებებზე იბლოკება, მაშინ ამასთან დაკავშირებით მინდა თქვენი კომენტარი.**

– ეს ეკა კახიანს უნდა ჰკითხოთ, მე ასეთი რამე არ გამიგია. ეს კითხვა უნდა დასვათ, კონკრეტულად სად იბლოკებიან და კონკრეტულად ვინ იბლოკება. მე თუ გავიგებ, რომ დღეს ვინმე სადმე იბლოკება, ეკა კახიანისგან განსხვავებით, ჩემს კოლეგასაც დავუდგები გვერდით და მომღერალსაც. ასეთი რამე არ უნდა ხდებოდეს და თავის დროზე ბევრ ადამიანს, განსაკუთრებულად ნიჭიერსა და წარმატებულს, ხმა რომ ამოეღო, უფრო ადრე დადგებოდა ეს დღე, ვიდრე დადგა. ეს არის ჩემი კომენტარი.

**– თქვენ ფიქრობთ, რომ პოლიტიკისგან აბსოლუტურად გამიჯნული უნდა იყოს ხელოვნება?**

– იცით, რა? პოლიტიკისგან კი, მაგრამ მოქალაქის პოზიციისგან არა. ზნეობისგან და მორალისგან – არა. მე სწორედ იმიტომ ვიბლოკებოდი, რომ ყოველთვის ჩემი აზრი მქონდა და არ მაინტერესებდა, ვინ იყო ხელისუფალი. თუკი ის ხელისუფალი, რომელსაც მე მხარსაც ვუჭერდი (სხვათა შორის, მოედანზეც ვიდექი თავის დროზე), ვეღარ მოიქცა კარგად და პირველივე თვეებში გამოამჟღავნა უზნეობა, ამორალურობა და ადამიანისადმი ასეთი მტრული დამოკიდებულება, ამოვიღე ხმა და მგონი, იმიტომ ვისჯებოდი ეს 9 წელი“.

ეკა კახიანს, რომლის გამოსვლასაც ჭანკვეტაძის განცხადება მოჰყვა, ამ თემაზე საუბარი აღარ სურს. მან „პრაიმტაიმთან“ კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა. სამაგიეროდ, პირდაპირ ეთერში ეკა კახიანის თავისმართლება აშკარად არ მოეწონა მერაბ სეფაშვილს. მომღერალი თვლის, რომ თავისსამართლებელი არავის არაფერი სჭირს და პოლიტიკა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაემიჯნოს ხელოვნებას, რომ ამ ნიშნით მომღერლებსა თუ მსახიობებში დაპირისპირება დასრულდეს. რაც შეეხება იმას, რატომ არ მივიდა ის გადაცემაში სტუმრად, სეფაშვილი ამბობს, რომ გაუგებრობა მოხდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ები – პოლიტიკა შოუბიზნესში

**ნინელი ჭანკვეტაძე: „თავის დროზე ბევრ ადამიანს, განსაკუთრებულად ნიჭიერსა და წარმატებულს ხმა რომ ამოეღო, დღეს უფრო ადრე დადგებოდა ეს დღე, ვიდრე დადგა“**

**მერაბ სეფაშვილი: „დღეს არც პოლიტიკა, არც ხელოვნება, არც სპორტი, ბაზრობაც კი არ იმიჯნება პოლიტიკისგან, იმდენად პოლიტიზებულია საზოგადოება. არ არის სწორი და კარგ შედეგამდე ამას არავინ მიჰყავს“**

**მერაბ სეფაშვილი:**

– მე ვაპირებდი მისვლას, მაგრამ აღარ დამირეკეს თვითონ. რამდენიმე დღის წინ შევხვდი ეკას და დაველაპარაკე. კი, ბატონო, მოვალ, პრობლემა არაა-მეთქი. მერე უნდა დაერეკათ ტელევიზიიდან, რა თემაზე და როდის იყო ეს გადაცემა... არ დაურეკავთ და მე ჩავთვალე, რომ აღარ აკეთებდა, ან მე აღარ ვიყავი საჭირო...

**– წამყვანმა თქვა, რომ მესიჯი გამოგიგზავნათ...**

– მესიჯი გვიან გამომიგზავნა, მეც გავუგზავნე პასუხი, რომ უკვე გვიანი იყო...

**– გადაცემის მსვლელობის დროს გამოგიგზავნათ?**

– კი, გადაცემის მსვლელობის დროს.

**– ანუ მხოლოდ და მხოლოდ ეს გახდა მიზეზი თქვენი იქ არმისვლის და არა სხვა რამ?**

– არა, სხვა არაფერი.

**– მოგეწონათ გადაცემა?**

– რა ვიცი, რა გითხრათ? პირველი გადაცემა იყო და, ალბათ, შემდგომში უფრო საინტერესო იქნება. რაც შეეხება თემას, მომეწონა თუ არა... ადამიანს ყოველთვის უნდა მისცე საშუალება, რომ ისაუბროს, გამოთქვას თავისი აზრი და... მოვისმინეთ, რაც ილაპარაკა ამ კაცმა, „უცნობს“ ვგულისხმობ. დანარჩენი თქვენც იცით.

**– „უცნობთან“ ერთად, ეკა კახიანიც ჰყავდათ მიწვეული, რომელმაც თავი იმართლა იმის გამო, რომ იგივე სახელისუფლებო ღონისძიებებზე გამოდიოდა და ა.შ. როგორ ფიქრობთ, რამდენად გაქვთ თავის სამართლებელად საქმე იმ მომღერლებსა და მსახიობებს, ვინც, ვთქვათ, ბოლო წლები სახელისუფლო ღონისძიებებზე გამოდიოდით, მაშინ როდესაც სხვები არ ჩანდნენ?**

– იქ, სხვათა შორის, ბევრი იდგა, 90 პროცენტი იდგა, ყველა მუშაობდა ამ კონცერტებზე. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ არც ისე ბევრი იყო ეს კონცერტი. მუსიკოსების ძალიან დიდი ნაწილი მუშაობდა ამ ღონისძიებებზე. მე ვფიქრობ, ეს არანაირი პრობლემა არ არის. თავისსამართლებელი არაფერი გვაქვს და ასეთ პოზაში ყოფნა, ჩემი აზრით, უხერხულია. ისევე როგორც უხერხული იქნება, ახლა ვინც მღერიან, მათ რომ იმართლონ თავი... ახლაც ხომ მღერიან? რაღაც ხომ ტარდება ახლაც...

**– ანუ თქვენ ეკა კახიანის თავის მართლების პოზიცია არ მოგეწონათ...**

– იცით, რა? მისაღები იმდენად არის, რომ თუ ასე ხდებოდა და თუ იბლოკებოდა რაღაცა მომენტში და იბლოკებოდა, რა თქმა უნდა, ვიღაც-ვიღაცები ხომ?.. მე ეს სულ ვამბობდი, რომ არ არის ეს სწორი ფორმა, იმიტომ რომ მუსიკოსი არის თავისუფალი, სადაც უნდა, იქ უნდა იმღეროს და რაც უნდა, ის უნდა აკეთოს, არ უნდა იყოს საერთოდ გაპოლიტიზებული. აქედან გამომდინარე, თავის მართლებაც არ არის სწორი, თუმცა იმის თქმა აუცილებელია, რომ არავინ არ უნდა დაიბლოკოს, არც ეკა და არც სხვა ადამიანები, ვინც იქ ისხდნენ. მათ გვარებს შეგნებულად არ ვასახელებ. მე არ მიმაჩნია ეს სწორად.

**– კახიანმა თქვა, რომ ახლა იბლოკებიან ისინი, ვინც ადრე იდგნენ სცენაზე. ეს ასეა?**

– ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ იმდენად ცოტა კონცერტი იმართება, რომ მე ვერ გეტყვით მაგას.

**– თუ გქონდათ შემოთავაზება, რომელიმე კონცერტზე გამოსულიყავით?**

– ჯერჯერობით არ მქონია შემოთავაზება და სიმართლე გითხრათ, არც მინახავს რამე სერიოზული გაკეთებული. აქედან გამომდინარე, შემოთავაზებაც არ ყოფილა.

ერთი რამ მინდა გითხრათ, რა თქმა უნდა, უნდა გაემიჯნოს პოლიტიკა ყველა სხვა სფეროს, თუმცა დღეს არც პოლიტიკა, არც ხელოვნება, არც სპორტი, ბაზრობაც კი არ იმიჯნება პოლიტიკისგან, იმდენად პოლიტიზებულია საზოგადოება. არ არის სწორი და კარგ შედეგამდე ამას არავინ მიჰყავს.

**– არ გაწუხებთ ის ფაქტი, რომ დღეს აღარსად ჩანხართ, არც წინასაარჩევნო კონცერტებზე და არც სხვა ღონისძიებებზე. მაგალითად, მარგველაშვილს ძალიან ბევრი ხელოვანი ახლავს ხოლმე...**

– გეტყვით, თუმცა ამ შემთხვევაში მსახიობებს ვგულისხმობ და არა მომღერლებსა და მუსიკოსებს. ისინი იქ არ თამაშობენ ფრაგმენტებს და მომენტებს თავისი სპექტაკლებიდან, ისინი გამოდიან პოლიტიკური განცხადებებით, ეს აბსოლუტურად სხვა რამეა და კონცერტის გამართვა და რაღაც მუსიკალური ნაწარმოების სიმღერა – ეს კიდევ სხვა...

**– თქვენ რომ მოწვევა მოგივიდეთ, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის აქციაზე იმღერებთ?**

– რატომ არ ვიმღერებ? გააჩნია... ეს ყველაფერი არის ბიზნესი. თუმცა ახლა ნახევრად ხუმრობით ვამბობ ამას... თუმცა ხუმრობა იქით იყოს და ახლა უკვე ბარაკ ობამას არჩევნებშიც რომ მიმიწვიონ, მონაწილეობას არ მივიღებ, იმიტომ რომ იმდენად ხმაურს იწვევს პირადად ჩემი გამოჩენა, რომ მე ვფიქრობ, ცოტა ხანს თავს შევიკავებ.

**– ანუ თქვენ საარჩევნო კონცერტებზე აღარ იდგებით? არც ერთ მხარეს?**

– ჯერჯერობით არა, მერე ვნახოთ, შემდეგ რა იქნება.

**– ჯერჯერობით და შემდეგ რა იქნება?**

– იცით, რა? მე რომ დღეს ვთქვა „არა“ და გავიდეს 4-5 წელი, მერე ხომ შეიძლება მომიწიოს გამოსვლა... გადაჭრით არასდროს არ უნდა თქვა „არა“.

როგორც შოუს წამყვანმა საზოგადოებას ამცნო, მუსიკოსმა აჩიკო გულედანმა, რომელიც გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად მივიდა, შოუს დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე გადაწყვეტილება შეცვალა და ეთერში შესვლამდე სტუდია დატოვა. აჩიკო გულედანი მომხდარზე კომენტარის არ აპირებს.

**აჩიკო გულედანი:** „მე და ეკამ ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ და ნამდვილად არ ვაპირებ რამენაირი კომენტარის გაკეთებას“.

ასეა თუ ისე, მიუხედავად უპასუხოდ დარჩენილი კითხვებისა, დასკვნა ერთია, პოლიტიკურად ცხელი შემოდგომა ტემპერატურას შოუბიზნესშიც ცვლის. ვინ დაიბლოკება და ვინ განიბლოკება, ამაზე, ალბათ, კიდევ ბევრ ისტორიას მოვისმენთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დაპირისპირება ბათუმის თეატრში

my View
დეა თავგერიძე

**„ეს იყო სუფთა ანგარიშსწორება გიორგი თავაძის მიმართ. ეს არ იყო შემოქმედებითი იდეების ჭიდილი. საბჭოში ამის განხილვა საერთოდ არ ხდებოდა“**

**გოგა თავაძე:** „სარეკომენდაციო საბჭო მიკერძოებული აღმოჩნდა. კანდიდატურებს არა შემოქმედებითი და პროფესიული თვალსაზრისით განიხილავდნენ, არამედ გარკვეული გარიგებებით. სწორედ ამ სახით მოხდა მთელ რიგ თეატრებში არაკვალიფიციური, კანდიდატურების წარდგენა“.

ბათუმის თეატრში დაპირისპირება გრძელდება. დასის წევრებს შორის ურთიერთობაც ბევრად უფრო დაიძაბა. დაპირისპირება თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე ახალი კანდიდატურის წარდგენას და შემდგომში მის დანიშვნას მოჰყვა. თეატრის ყოფილი დირექტორის თემურ კეჟერაძის ამ პოსტზე ყოფნა ბევრმა გააპროტესტა და კანონდარღვევად მიიჩნია. მიზეზად მისი არაპროფესიონალიზმი დასახელდა. დასის ნაწილი კი ძველ ხელმძღვანელს, გიორგი თავაძეს ადანაშაულებს – ახალგაზრდა რეჟისორებს ბლოკავდაო.

**გოგა თავაძე:** „ენას ძვალი არა აქვს და ყველაფრის თქმა და დაბრალება შეიძლება, მაგრამ არსებობს სექტაკლები, კონკრეტული რეჟისორები, რომლებიც ამ თეატრში დგამენ. ასევე, ითქვა, რომ მე ბოლო ორი წლის მანძილზე არ დავდგი სპექტაკლი ბათუმის თეატრში. ეს სწორედ იმის გამო მოხდა, რომ ასპარეზი სხვა რეჟისორებს დავუთმე და სპექტაკლები რუსთაველის თეატრსა და კიშინიოვში დავდგი. ამ პერიოდში ბათუმის თეატრში 8 სპექტაკლი დაიდგა. ეს ისეთი მონაცემებია, რომელიც შეგიძლიათ, გადაამოწმოთ. მათ შორის იყვნენ ახალგაზრდა რეჟისორებიც. მიშა ჩარკვიანი, გაგა გოშაძე, ანდრო ენუქიძე, დათო მღებრიშვილი. პრეტენზია ვისაც აქვს, რეჟისორებისთვის კარი დაკეტილი იყოო, სწორედ მათი უმრავლესობა თამაშობს ამ რვა სპექტაკლში... საერთოდ კი, თეატრში რამდენიმე მსახიობი წინააღმდეგია არა ჩემი შემოქმედებითი მმართველობის, ვგულისხმობ რეჟისორობას, არამედ ჩემთვის ასეთი ძალაუფლების მონიჭების. მათ შიში აქვთ, რადგან მკაცრი ხელმძღვანელი ვარ. იციან, რომ იმ ცხოვრების წესს, რომლითაც ისინი ცხოვრობენ, და თეატრისადმი ისეთ დამოკიდებულებას, როგორსაც ისინი იჩენენ, არ დავუშვებ!“

ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელის მომხრე მსახიობები კი გაიფიცნენ, სხვა გამოსავალს ამ ეტაპზე ვერ ვხედავთო. გაფიცვამდე ისინი კანონმდებლებს შეხვდნენ...

**ზაალ გოგუაძე, მსახიობი:** „ეს იქნება გამაფრთხილებელი გაფიცვა. ახალ ხელმძღვანელთან რაღაც გარკვეული პერიოდი არ ვაპირებთ არანაირ კომუნიკაციაში შესვლას. არ ვთამაშობთ სპექტაკლებს და არ ვნაწილდებით ახალ პიესაში“.

**გალაკტიონ გოგიბერიძე, თეატრის მთავარი მხატვარი:** „კანონმდებლობით, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი პროფესიით ან რეჟისორი უნდა იყოს, ან მსახიობი, ან განსაკუთრებულ შემთხვევაში აღიარებებისა და დამსახურებების მქონე პიროვნება. თემურ კვეჟერაძე ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. მაგრამ ახალი კანონმდებლობის შედეგად შექმნილმა სარეკომენდაციო საბჭომ სწორედ მას გაუწია რეკომენდაცია სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე კულტურის მინისტრთან. მოხდა კანონდარღვევა. სარეკომენდაციო საბჭოს პარალელურად მინისტრს კანდიდატი უნდა წარუდგინოს თეატრში არსებულმა სამხატვრო საბჭომ, ამასაც ახალი კანონი გვავალდებულებს. სამხატვრო საბჭომ წარადგინა მეორე კანდიდატურა, ანუ გიორგი თავაძის. საბოლოოდ კი, გარკვეული ძალების ჩარევის შედეგად, მოხდა ამ კანდიდატის დანიშვნა. ეს არის ან არაკომპეტენტური ხალხის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ან საქმე გვაქვს კლანურ გადაწყვეტილებასთან“.

**ზაალ გოგუაძე, მსახიობი:** „შეხვედრა გვქონდა პარლამენტის კულტურის კომიტეტში ამ კანონის ავტორებთან. იქ რამდენიმე წევრი მიიჩნევს, რომ სარეკომენდაციო საბჭო იყო შეცდომა. ჩვენი პოზიციაც ასეთივეა. არ შეიძლება, საქართველოს მასშტაბით, 7 კაცი წყვეტდეს 35 თეატრის ბედს. არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, იმ საბჭოში ღირსეული ადამიანებიც არიან, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებთან პრეტენზია მაქვს – მორალური ღირებულებების, კომპეტენციისა და პროფესიასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. ეს იყო სუფთა ანგარიშსწორება გიორგი თავაძის მიმართ. ეს არ იყო შემოქმედებითი იდეების ჭიდილი. ამის განხილვა საერთოდ არ ხდებოდა საბჭოში. არადა საბჭომ აუცილებლად უნდა განიხილოს ორი შემოსული კანდიდატის კონცეფცია. ამას კანონი ავალდებულებს. აქ იყო აბსოლუტურად ინტერესთა კონფლიქტი“.

**ირაკლი სამსონაძე, დრამატურგი:** „თემურ კეჟერაძე ბათუმის თეატრში – ეს იცით, რას ნიშნავს? თეატრი თავის სახეს დაკარგავს, იმას, რაც გიორგი თავაძის ხელმძღვანელობის დროს მიიღო. მანამდე რაღაცნაირი კრიზისი იყო ბათუმის თეატრში და როცა გოგა მოვიდა, ყველაფერი შეიცვალა, დაიწყო სუნთქვა, მოქმედება, საინტერესო სცენიური სახეებით. ეს მარტივი საქმე არ იყო, ამიტომ ვერ დავთმობთ ასე იოლად. ახლა კი ის, რაც ამ 8 წლის მანძილზე ასე წვალებით მივიღეთ, დაიკარგება. ამიტომ უფლება არა გვაქვს, რომ ხმა არ ამოვიღოთ“.

## Red Bull GerGetIt 2013 – ესტაფეტური შეჯიბრის გამარჯვებული გუნდი #11 გახდა

რაბათის შემდეგ, Red Bull-ის ლოკაცია ყაზბეგი აღმოჩნდა. 14 სექტემბერს სტეფანწმინდაში, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, მსოფლიოში ყველაზე ექსტრემალური გუნდური შეჯიბრი Red Bull GerGetIt გაიმართა. როგორც ყოველთვის, ამჯერად ღონისძიება ყველაზე ენერგიული, სანახაობრივი და ორგანიზებული იყო... Red Bull GerGetIt – ესტაფეტური შეჯიბრი, საქართველოში წელს პირველად ჩატარდება და თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროექტი შედგა. ღონისძიება, რომელიც ექსტრემალური სპორტის ოთხი დისციპლინის უნიკალურ კომბინაციას აერთიანებდა, მართლაც რომ საინტერესო სანახავი აღმოჩნდა. თითოეული გუნდი კაიაკერის, მეკლდეურის, სამთო ველოსიპედისტისა და სამთო მორბენალისგან შედგებოდა. თერგიდან დაშვებული თითოეული გუნდის კაიაკერი, წინასწარ განსაზღვრულ მარშრუტზე, ესტაფეტას მეკლდეურს გადასცემდა. კლდეზე აცოცვისა და უკან ჩამოსვლის შემდეგ, ესტაფეტა სამთო ველომბროლელის ხელში გადადიოდა, ბოლოს კი სამთო მორბენალი ასრულებდა ფინიშთან მისიას. შვიდივე გუნდს, რომელიც, ქართველი მონაწილეების გარდა, რუსი, უკრაინელი, ლატვიელი, ირანელი, თურქი, გერმანელი, სომეხი და აშშ-ს მოქალაქეებით იყო დაკომპლექტებული, მთლიანობაში 25 კილომეტრზე მეტი მანძილი უნდა დაეფარა. თითოეულ გუნდში ოთხი ადამიანი ირიცხებოდა, რომლებმაც საკმაოდ ექსტრემალურ მისიას კარგად გაართვეს თავი.

პირველ ადგილზე, გუნდი #11 გავიდა, რომელიც სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანამშრომლებისგან იყო დაკომპლექტებული. გუნდმა დავალებას 116 წუთი და 42 წამი მოანდომა. საპრიზო ფონდი 6 000 ლარი გახლდათ, საიდანაც 3 000 პირველ ადგილზე გასულ გუნდს გადაეცა. დანარჩენი თანხა მეორე და მესამე ადგილზე გასულ გუნდებზე გადანაწილდა. იყო უამრავი პრიზი სპონსორებისგან და ძალიან ბევრი Red Bull. ღონისძიების კულმინაციამ, სასტუმრო Rooms Hotel Kazbegi-ში მიაღწია, სადაც ჯერ დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, ხოლო შემდეგ – „ავთერ ფართი“.

**გიორგი გაბულდანი, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გუნდის წევრი:** „დიდი მადლობა Red Bull-ს ასეთი ღონისძიებისთვის. მოხარულები ვიქნებით, თუ ამ ღონისძიებას ინტენსიური სახე მიეცემა. მიხარია ჩვენი გუნდის წარმატება, რომლებიც სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმოვადგენთ. როგორც აღმოჩნდა, ძლიერი სპორტსმენები ვიყავით და პირველი ადგილიც მოვიპოვეთ.

Red Bull GerGetIt საერთაშორისო პროექტი Red Bull Dolomitenmann-ის ქართული ანალოგია; მათ შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ ქართულ შეჯიბრში კლდეზე ცოცვაა დამატებული. Red Bull Dolomitenmann ავსტრიის დოლომიტის ალპებში ყოველწლიურად იმართება და ის ცნობილია, როგორც ყველაზე რთული ესტაფეტური შეჯიბრი დასავლეთ ევროპაში. წარმატებული „დებიუტის“ შემდეგ Red Bull GerGetIt-ის მიზანია, გახდეს ყველაზე პრესტიჟული გუნდური შეჯიბრი აღმოსავლეთ ევროპაში, რაც მას მიმზიდველ საერთაშორისო პროექტად აქცევს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გიკა მირზაშვილი: „იქ სამოთხეა... აქ – ჯოჯოხეთი“

my View
დეა თავგერიძე

**გიკა მირზაშვილის ხელწერას ხელოვნებისმოყვარე უბრალო მოკვდავი უამრავ ნახატში ამოიცნობს, მას შემფასებლის მახვილი თვალი ნამდვილად არ სჭირდება. ასეთივე ხელწერა შეიმუშავა მხატვარმა პოეზიაშიც. სტროფები თავადვე გეუბნება ავტორის ვინაობას. მერე კი მხატვრისეულ ლექსებში, როგორც ნახატებში, ისე ბორიალობ. ოღონდ ამჯერად ფუნჯსა და საღებავებს ავტორი შენ გითმობს, სრული თავისუფლება გაქვს...**

**მოშრიალე თუთა,**
**ოქროსფერი ზეცა,**
**ღვინობისთვის თქორი**
**მტვრიან ქუჩებს რეცხავს.**
**ლეგა ღრუბლის ფთილა**
**ეზოს გამჭოლს ჩრდილავს,**
**თოკზე აფრა ზეწრის**
**კენწეროებს ეტრფის.**
**ვერსად გაექცევი**
**შემოდგომის სევდას,**
**ხავერდოვან კვდომას,**
**უხმო ფოთოლცვენას...**

მხატვარი ბოლო რამდენიმე წელია, დამთვალიერებელს თავისი ნახატებითა და ლექსების კრებულით ანებივრებს. ტრადიციას არც წელს უღალატა და გალერეა „შარდენში“ გამოფენა მოაწყო. „შარდენში“ გამოფენა 10 ოქტომბრამდე გაგრძელდება

**ხათუნა ჩხეიძე, ხელოვნებათმცოდნე, გალერისტი:** „გია ძალიან ნაყოფიერი მხატვარია, ყოველთვის ახალი ნამუშევრები გამოაქვს. გაყიდვების მხრივაც საკმაოდ წარმატებულია. ეს მნიშვნელოვანია, მხატვრისთვის სტიმულიც არის და თან შეუძლია დღევანდელ დღეს ამით რაღაცნაირად იცხოვროს. სხვადასხვა ტიპია მათი, ვინც ხელოვნების ნიმუშებს ყიდულობს, ზოგი კოლექციონერია, ზოგი როგორც კაპიტალდაბანდებას, ისე ყიდულობს, ნახატს ყიდულობენ ინტერიერის გასაფორმებლადაც. კონკრეტულად ეს გამოფენა ყველას მოთხოვნას აკმაყოფილებს. გალერისტებს გვაქვს იმის იმედი, რომ კომერციულადაც ნარმატებული იქნება“.

**დავით ანდრიაძე, არტ-კრიტიკოსი:** „იშვიათად შემხვედრია ასეთი მხატვარი. ძალიან მინიერი და საინტერესო. არასოდეს არ არის გაფანტული, როცა გაფანტულია მაინც იმ გაფანტულობაში დგას. არის ცნება, გამოსახულებას მარტო ესთეტიკა კი არა აქვს, გამოსახულების უკან ეთიკაც დგას, გიკა ძალიან პატიოსანი მხატვარია... თამაშობს მაგრამ არასოდეს გეპირფერება, არ ცდილობს შენს მოსყიდვას. არ თვალთმაქცობს. როცა აკეთებს, იქ ავიწყდება მაყურებელი, და ახსენდება მერე, როცა უკვე ეს ყველაფერი უბრუნდება... გიკა მართალი მხატვარია, რომელიც ბოლო პერიოდში ოსტატობის ისეთ სიმაღლეზე ავიდა, რომელიც ამ თაობაში ძალიან ცოტას აქვს. თან თითქოს არ იცვლება, იგივეა, რაც იყო. მაგრამ კარგი მსახიობივით მას შეუძლია ათჯერ, ასჯერ შევიდეს მოტივში. ეს მოდის მამამისისგან, ჩუბჩიკაც ასეთი იყო, ამიტომ არ არის მომაბეზრებელი. ეს გამოფენა საინტერესოა იმითაც, რომ ფორმატი გაიზარდა. ფორმატმა შეიძლება ნამუშევარი ან მოკლას, ან პირიქით. გიკა ძალიან ზუსტად მიუდგა ფორმატს“.

**გია მირზაშვილი:** არ ვლალატობ ამ გალერეა „შარდენს“, წელიწადში ერთხელ მიგროვდება იმდენი ნამუშევარი, რომ გავაკეთო ერთი გამოფენა. მართლა დავიღალე. ასაკს, ალბათ, თავისი მიაქვს. სამი თვე საერთოდ არ მიძინია, მერე დეპრესია. ლექსებს ღამით ვწერდი. ზამთარში...

**– როგორია დღევანდელობა, საქართველო და მხატვრობა?**

– რთული თემაა, რაღაც პერიოდი ნამუშევრები არ იყიდება, მაგრამ მაინც რაღაცას ვახერხებ, ჩემი შემოსავლის ერთადერთი წყარო ეს არის. დალხენილი არა ვარ, მაგრამ ბევრს ვმუშაობ, ხან იქ მიმაქვს, ხან აქ, რაღაც ხდება. მასალა ღირს ძვირი...





**– ახალი ფერები გაქვთ ნახატებში...**

– კი, მდიდარი გახდა ფერის მხრივ, ალბათ, უფრო თამამი გახდა ნამუშევარი. გამოცდილება რაღაცას გძენს. ფაქტურა, მონასმი იცვლება, გამოცდილებიდან გამომდინარე, სითამამე შემოდის. ბევრად უფრო თავისუფლად აკეთებ რაღაცას, მეტის უფლებას აძლევ შენს თავს. საერთოდ, ზღვარს არ რთულია, სულ უნდა იფიქრო. ცოტა ხანიც რომ მოეშვა, ამის დროც არა გაქვს. წვალებაა, მაგრამ თან ბედნიერებაა, როცა შენს საქმეს აკეთებ.

**– უცხოეთში წასვლა არასდროს გიცდიათ, იქ ხომ ბევრად უფრო ფასდება ხელოვანი?**

– მე ჩემი ქვეყანა მიყვარს... ჯარისკაცი ვარ და აქ ვიბრძვი. არ გავცვლი სალსა კლდეებსა სხვა ქვეყნის სამოთხეზედა... ყველა წავიდა, გაიქცა. ჩვენ ხომ უნდა ვიყოთ აქ, არა?! აქედან არასოდეს არსად არ წავალ... არც იმაზე ვზრუნავ, რომ უცხოეთში გამოიფინოს ჩემი ნახატები, ჯერჯერობით ასეა.

**– ფასდება ... ?**

– ... ?

**– ... ?**

– ... ?

**– ... ?**

– ... ?

**–

დეა თავბერიძე

# ქართველი მოდელი ესპანეთიდან

**Carlo pignatelli, Reyman, Schwarzkopf, Fly division espana, SABARIZ Hairtists – მსოფლიოში ცნობილი ამ ბრენდების წარმოჩენა ესპანეთში ქართველ მოდელს გიო გელაშვილს უხდებოდა. ის ჯერ მხოლოდ 20 წლისაა, თუმცა საკმაოდ ცნობილ დეფილეზე უამრავჯერ გამოსულა. ესპანელებისთვის ჯორდად მონათლული გიო პროფესიონალი მოდელია.**

თბილისი 6 წლისამ დატოვა და, მშობლებთან ერთად, ესპანეთში გაემგზავრა. იმ პერიოდში ძალიან განიცდიდა იმ ფაქტს, რომ პატარა ძმაკაცებს ასე ადვილად მოწყვიტეს... ბავშვობას იხსენებს: ესპანეთში ჩასულს მეგობრები და თბილისი ძალიან მენატრებოდაო, – თუმცა დრომ თავისი ქნა, ესპანეთსაც შეეგუა და ახალი მეგობრებიც გაუჩნდა... თბილისელი ძმაკაცები კი მხოლოდ 8 წლის შემდეგ საქართველოში ჩამოსულმა მოინახულა, რამდენიმე თვეში მათთან განშორება ისევ მოუხდა, თუმცა ამჯერად უფრო იმედიანად იყო დამშვიდობებისას. მეგობრებს გამოუცხადა, – აკადემიას დავამთავრებ თუ არა, საცხოვრებლად აქ დავბრუნდებიო... პირობა, შეასრულა, თბილისს რამდენიმე თვის წინ ისევ დაუბრუნდა, დღეს გიო უნივერსიტეტში არქიტექტურულზე სწავლობს.

**გიო გელაშვილი:** თავიდან აქ დაბრუნებული უცნაურად ვგრძნობდი თავს, მერე ნელ-ნელა მივეჩვიე. ბოლოს ყველაფერი გავიხსენე... რაღაცნაირი სითბო ვიგრძენი, უცნაური განცდა იყო, გადმოცემაც კი არ შემიძლია...

**– იქნებ მომიყვე, როგორ დაიწყო და წარიმართა შენი სამოდელო კარიერა?**

– პირველად როდესაც ქუჩაში გამაჩერეს და რეკლამაში გადაღება მთხოვეს, 11 წლის ვიყავი. მერე დეიდას მეგობარმა, რომელიც ბარსელონაში საკმაოდ ცნობილი სამოდელოს მოდელია, მითხრა: Carmen Gil Backstage-ის სამოდელო აკადემიის დამფუძნებელთან, მსოფლიოში ცნობილ მოდელთან, თავად კარმენ ხილთან უნდა მიგიყვანოო და დაურეკა. ტელეფონზე ზერელე პასუხი მიიღო, – ხომ იცი ყველას ვერ ვიყვან, მაგრამ მოიყვანე, გავესაუბრები. აუცილებლად მომიტანოს პორტფოლიო, შევათვალიერებთო... მივედით, როდესაც კარი გაგვიღეს და შევედით, ამ ქალმა იმ წამსვე კივილი დაიწყო, – ვაიმე ეს რა საოცრება მოვიდაო. უკან მივიხედე, ჩემ გარდა კიდევ ხომ არავინ შემოსულა-მეთქი... უცებ ეს ქალი მომვარდა, – აყვანილი ხარო. ცოტათი დავიბენი, ვიცოდი, რომ მოვეწონებოდი, მაგრამ ასე უცებ, ამგვარ რეაქციას არ ველოდი. ჩემი ფოტოებიც მოვიტანე-მეთქი, ვუთხარი, დაბნეულობა რომ გამეფანტა. რად მინდა ფოტოები, აქ არ ხარო? ასე მოვხვდი ბარსელონას ყველაზე ცნობილ სამოდელო აკადემიაში.

**– ამან განაპირობა შემდგომში ცნობილ ბრენდებთან თანამშრომლობა?**

– ეს იყო აკადემია, სადაც მოდელობასთან ერთად ძალიან ბევრი რამ გვასწავლეს. ფოტო, სიარული, მეტყველება, ყოველივე ის, რაც პროფესიონალად გაყალიბებს. აკადემიის დამთავრების შემდეგ კი იქვე დამტოვეს სამუშაოდ. სამწუხაროდ, ყველას არ ტოვებენ. მე გამიმართლა... ამას მოჰყვა საკმაოდ ცნობილ დიზაინერებთან მუშაობა. „ბენატელეს“ საქორწილო კოსტიუმების ფირმამ მიმიწვია, ვიმუშავე „შვარცკოფისთვის“, „პრონობიესთვის“... წამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე კი კასტინგზე გავიმარჯვე, „სონის“ რეკლამაში უნდა მიმეღო მონაწილეობა, 600 კაციდან ოთხნი გავედით, მაგრამ თბილისში გამოცდები მენყებოდა და აქ წამოსვლა ვარჩიე. აქ მეგობრებმა ამის გამო დამცინეს კიდეც. ეს რა გაკეთე, ასეთ რამეს ხალხი ნატრობს, შენ კიდევ შანსი არ გამოიყენეო. ჩემზე მეტად, მგონი, ისინი განიცდიან...

**– გამოდის, მოდელობას შეეშვი?**

– არა, რას ამბობთ, ვერ შევეშვები, რადგან ძალიან მიყვარს ეს საქმე. ჩემი პროფესიაა. კარგად ვგრძნობ თავს პოდიუმზე, თუმცა, როგორც გავიგე, აქ რაღაცნაირად უყურებენ მოდელ ბიჭებს. ამ პროფესიას ვერ აღიქვამენ ნორმალურად. მართალი გითხრათ, ვერ ვხვდები, რატომ, ამით ხომ არაფერს აშავებ? ჯერჯერობით არც ერთ დიზაინერს არ დავკავშირებივარ, მაგრამ უახლოეს ხანში აუცილებლად ვეწვევი მათ და ამ ეტაპზე ჩემს სამოდელო კარიერას აქ გავაგრძელებ.

# საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“

**ყოველწლიური საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ წელს ძალიან ბევრ სტუმარს ელის და თბილისელებს საკმაოდ საინტერესო დღეებს ჰპირდება. ფესტივალი ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ ცენტრში 22 სექტემბერს გაიხსნა და 26 ოქტომბრამდე გაგრძელდება.**

ბოლო დროის ფესტივალებიდან არც ერთი არ არის ისეთი ხანდაზმული როგორც „შემოდგომის თბილისი“, – ამბობს მუსიკალურ-კულტურული ცენტრის ხელმძღვანელი ვახტანგ კახიძე. ფესტივალი წელს ოცდამეერთეჯერ ტარდება. „შემოდგომის თბილისი“ პირველად 1993 წელს ჩატარდა.

**ვახტანგ კახიძე**: ფესტივალი თბილისის სიმფონიური ორკესტრის 20 წლის იუბილეს ეძღვნება. გარდა ამისა, წელს აღინიშნება 5 დიდი კომპოზიტორის იუბილე – რიხარდ ვაგნერის, ჰექტორ ბერლიოზის, იოჰანეს ბრამსის, ჯუზეპე ვერდისა და სერგეი რახმანინოვის. ამიტომ თითოეული კომპოზიტორის ნაწარმოებებს წარმოვადგენთ. ასევე, ფესტივალზე აღინიშნება გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორისა და პიანისტის ნოდარ გაბუნიას იუბილე – 80 წლისთავი. ამ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ მისი შვილი ნატალია გაბუნია და მისი მოსწავლეები. მსოფლიოში აღიარებულ მუსიკოსები გვყავს მოწვეული. საინტერესო კონცერტები იქნება. ყველა გემოვნების მსმენელზეა ეს ფესტივალი გათვლილი. ამიტომაც მოუთმენლად ელოდებიან ხოლმე. ერთგულ მსმენელთან ერთად ძალიან ბევრი უცხოელი მსმენელიც გვყავს. მიხარია, რომ ბევრი ახალგაზრდაც მოდის ჩვენთან, ეს მისასალმებელია, ამიტომაც, შესაბამისად, ვემზადებით, რომ სათანადო დონეზე წარვადგინოთ ეს ყველაფერი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სერიალში ინტრიგები გრძელდება

## კატო და დიტო ერთმანეთს შორდებიან?!

**მსახიობებს ჟურნალისტებისთვის ინტერვიუს მიცემა აკრძალული აქვთ. სიახლეებზე ჯერ ვერ დაგელაპარაკებით, მაგრამ სერიალში ისეთი რამეები ხდება, ეკრანს ვერ მოსწყდებითო, ამბობენ. არადა ამ ზაფხულს „ჩემი ცოლის დაქალების“ გულშემატკივრები ერთმა ამბავმა ააფორიაქა. სერიალი იხურებაო, თუმცა, როგორც გაირკვა, გართობის მოყვარე თბილისელებმა მორიგი ჭორი ააგორეს. ქალაქში გავრცელებული ხმა რომ უსაფუძვლოა, ამას „ჩემი ცოლის დაქალების“ გმირები სულ ცოტა ხანში ახალი სეზონის დაწყებით გვამცნობენ. რეჟისორ გიორგი ლიფონავას თქმით, მეოთხე სეზონში ბევრ ახალ სახესა და უამრავ ინტრიგას ნახავთ. გასულ სეზონსაც ხომ მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ყველას ახსოვს ცვლილება და ხალხის ფორიაქი, ამ გმირის წასვლით რეჟისორმა მცდარი სვლა გააკეთა, სერიალი პოპულარობას დაკარგვასო, როგორც ვნახეთ, რეჟისორის მარკეტინგული გათვლები ბევრად მომგებიანია, ვიდრე ხალხის შეფასება. ქართულ ტელესივრცეში „ჩემი ცოლის დაქალები“ ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ სერიალად რჩება.**

**გიორგი ლიფონავა**: არ ვიცი, რატომ ალაპარაკდნენ სერიალის დახურვაზე, ჩვენ მსგავსი იდეა ნამდვილად არ გვქონია, სეზონი ჩვეულებრივად გაგრძელდება, საიდან წამოვიდა ეს ჭორები ვერ გეტყვით.

**– რა სიახლეებს სთავაზობთ მაყურებელს ამ სეზონში?**

– მეოთხე სეზონი გაცილებით კარგია ხარისხობრივად, ვიდრე წინა, სიახლეებით, ახალი პერსონაჟებითა და ახალი ინტრიგებით. ეს პოპულარობა, ალბათ, ყველაზე უფრო იმან განაპირობა, რომ ძალიან ნამდვილია, ძალიან შეესაბამება იმ სინამდვილეს, რომელშიც ვცხოვრობთ. ჩემი აზრით, ეს არის მთავარი. კონკრეტიკაზე არ გადავალთ, მაყურებელი ყველაფერს ტელეეკრანებზე ნახავს.

სანამ მაყურებელი ყველაფერს ტელეეკრანით ნახავს, მანამდე „პრაიმტაიმი“ რამდენიმე საიდუმლოს გაგანდობთ. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, „ჩემი ცოლის დაქალების“ მთავარი გმირი, ნინა, ანუ ანა ტყებუჩავა რეალურ ცხოვრებაში გათხოვდა და ახლა სერიალსა და ცხოვრებაში ერთდროულად არის ორსულად... ამჯერად მასა და დათოს გარემონტებულ სახლში ვიხილავთ და ამ სიახლეს კარგი პურმარილითაც აღვნიშნავთ. სერიალში სხვა უამრავი სიახლეცაა. ახალ-ახალი სიყვარულებით, სერიოზული ოჯახური პრობლემებითა და ჩახლართული ინტრიგებით... ახალი სეზონი ძალიან დაძაბული იქნება... ჩვენთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ კატო და დიტო ერთმანეთს შორდებიან, დაცილების მიზეზი უკრაინელი გოგონაა. დიტო კიევში მიემგზავრება, კატო კი თბილისში რჩება, თუმცა მარტოობა არ კლავს, მის ცხოვრებაშიც მალე გამოჩნდება ახალი პარტნიორი... ეს პარტნიორი მილიონერი ბიზნესმენია... დანარჩენ საიდუმლოს

„პრაიმტაიმი“ ამ ეტაპზე თავისთვის შეინახავს და მომავალ ნომერში გაგანდობთ, მანამდე კი თქვენთან ერთად მოუთმენლად ელოდება ამ ჩახლართული ინტრიგების სერიალში განვითარებას...

## 28 სექტემბერს „რუსთავი 2“-ის ეთერში „ჩემი ცოლის დაქალების“ ახალი სეზონი იწყება

**EXCLUSIVE**

## „სერიალში ისეთი რამეები ხდება, ეკრანს ვერ მოსწყდებით“

# ეროვნული სამოსის დღე საქართველოში

ქართული სამოსის დღე და ქართული საბრძოლო ხელოვნების ფესტივალი თბილისში 29 სექტემბერს გაიმართება. ფესტივალი ქართული საბრძოლო ხელოვნების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად, ხოლო 29 სექტემბერი ეროვნული სამოსის დღედ დამკვიდრდება. ამ დღეს ეროვნულ ტანსაცმელში შემოსილი მოქალაქეების მონაწილეობით საზეიმო მსვლელობა მოეწყობა. კოსტუმირებული მსვლელობა რუსთაველის გამზირზე 3 საათზე მოეწყობა. ფესტივალი, რომელიც პირველად იმართება, ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს.

მარი ონეზაშვილი, ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი: „კოსტუმირებულ მსვლელობაში ჩაერთვებიან ღონისძიების სტუმრები სხვადასხვა რეგიონებიდან და წარმოადგენენ საკუთარი კუთხისთვის დამახასიათებელ სამოსსა და აღჭურვილობას. მსვლელობა დასრულდება რიყის პარკში, სადაც ფესტივალის მეორე ნაწილი დაიწყება. ქართული საბრძოლო ხელოვნების საჩვენებელ წარმოდგენებთან ერთად, მოეწყობა შეჯიბრი მშვილდოსნობში, ძალის გამოცდაში, გაიმართება სხვადასხვა ტრადიციული თამაშობები. ასევე, მოეწყობა ქართველი მჭედლების ნამუშევრების გამოფენა, ამ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ფოლკლორული. ასე რომ, წინ ძალიან სასიამოვნო დღე გელით“.

ფესტივალი საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „შავფაროსნების“ ინიციატივითა და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის მხარდაჭერით ტარდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View
დეა თავგერიძე

# სანდრო ბახუაშვილი:

## „მახსენდება საქართველო, ჩემი მშობლიური მხარე და ხშირად ეს მუსიკალურ ინტონაციებზეც აისახება“

რუსკა დათუკაშვილი

როცა პატარა იყო, ამბობდნენ, მშობლებივით მხატვარი გამოვაო, მაგრამ ასე არ მოხდა. სანდრო მუსიკამ გაიტაცა და პროფესიად პიანისტობა აირჩია. მერე აღმოაჩინა, რომ საფორტეპიანო კომპოზიციების შეთხზვაც შეუძლია. დღეს მის მიერვე დაწერილ მუსიკას ესპანეთში აჟღერებს და მსმენელთა აპლოდისმენტებსაც უხვად იღებს. ის მადრიდის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტია. ქართველი სტუდენტი ესპანეთში მასტერკლასებს ატარებს და ბევრ ახალგაზრდას გზის გაკაფვაში ეხმარება. უცხოეთში უკვე 8 წელია, რაც მშობლებთან ერთად გადასახლდა. ამბობს, აქ დროებით ვარ, მალე ჩემს ქვეყანას დავუბრუნდებიო. თუმცა ვიდრე ეს მალე მოვა, ხელოვანების ოჯახი შემოქმედებასა და ესპანურ ცხოვრებაზე სპეციალურად „პრაიმტაიმის“ მკითხველისთვის მადრიდიდან...

El arte viene en familia desde Georgia

EVA ALCARRIA

SOCIEDAD

Zaza, Tamara y Sandro, una familia de artistas de Georgia en Guadalajara

La Casa repasa la historia de la tauromaquia

Renovación de parte de la junta directiva

**სანდრო ბახუაშვილი:**

– მასტერკლასებზე ძირითადად ის ახალგაზრდები მოდიან, რომლებსაც კონცერტი აქვთ ან კონსერვატორიაში აბარებენ, თუმცა დასწრება ყველასთვის შესაძლებელია. არაა აუცილებელი, პროფესიონალი შემსრულებელი იყოს. მოდიან მოყვარულებიც, რომლებსაც უნდათ მუსიკის სამყაროში ღრმად ჩაიხედონ და ამ ხელოვნებას ეზიარონ... ესპანელები მონდომებული მოსწავლეები არიან. შეიძლება მათ ნიჭი არ მოსდევთ, ისე როგორც ქართველებს, მაგრამ მონდომება და ხელოვნების სიყვარული ნამდვილად აქვთ. ძალიან შრომისმოყვარეები არიან. მოსწავლეები ჩემთან სახლშიც მოდიან, ისინი ასაკით უფრო პატარები არიან. ერთი 8 წლისაა, მეორე – 7-ის. უკვე 2 წელია, ჩემთან დადიან. მე მათ ელემენტარულ თეორიას ვასწავლი – სოლფეჯიოს, აკორდებს, გამებს და ვცდილობ, მუსიკა შევაყვარო. ვცდილობ, ისინი ყოველთვის შევაქო, არ აქვს მნიშვნელობა, მას ეს საუკეთესოდ გამოსდის თუ არა. მთავარია, რომ მას მონდომება დაუფასო და საბოლოო შედეგიც შესანიშნავი გამოვა.

**– მუსიკის გარეშე, როგორც ვხვდები, არ შეგიძლიათ.**

– მუსიკა ჩემი ცხოვრების ნაწილია, როცა 5 წლიდან უკრავ, სხვანაირად ვერც იქნება. ეჩვევი უკვე და ნელ-ნელა ხვდები, რომ მუსიკის გარეშე არ შეგიძლია. ჩემს შემთხვევაში ასე მოხდა. ძალიან მიყვარდა დაკვრა, ინსტრუმენტთან საათობით ვიჯექი ხოლმე, მერე კი თავისით გახდა განუყოფელი ნაწილი. დღესაც, ზაფხულობით, როდესაც ძირითადად სახლში ვარ, 6 საათი ვმეცადინეობ. კონსერვატორიაში, როცა სწავლაა, მაშინ დღეში 2-3 საათი გამომდის დაკვრა. ამიტომ ვცდილობ, უქმე დღეები მაქსიმალურად გამოვიყენო და შაბათ-კვირას ვიმეცადინო...

**– საკუთარი კომპოზიციების წერა რამდენი წლისამ დაიწყეთ?**

– მაშინ ჯერ კიდევ საქართველოში ვცხოვრობდით, პირველი კომპოზიცია თბილისში დავწერე, 14 წლის ვიყავი... მახსოვს, მომიწონეს და ამან უფრო მონდომებული გამხადა. დროთა განმავლობაში, როცა კარგად შევისწავლე ჰარმონია და კომპოზიციის აგების ხერხები, ბევრად აქტიურად დავიწყე საკუთარ ნაწარმოებებზე მუშაობა. უფრო მიადვილდებოდა და უფრო ადვილად გადამქონდა ჩემი ფიქრები და გრძნობები ფურცელზე, ნოტებში. ამჯერად რამდენიმე სონატა, ფანტაზია და პატარ-პატარა პიესები მაქვს. ჯამში, 25 ნაწარმოები გამოდის. ახლაც ახალ კომპოზიციაზე ვმუშაობ. აქ მსმენელი მეტწილად მიცნობს, ამიტომ, როდესაც ჩემი კონცერტის შესახებ იგებს, ყოველთვის აინტერესებს, ახალს რას დავუკრავ. აქცენტი ჩემს ნაწარმოებებზე ხშირად კეთდება.

**– თუ გაიხსენებთ მსმენელს, რომელიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდათ?**

– როგორ არა, ერთხელ, კონცერტის შემდეგ ერთი ქალბატონი მოვიდა ძალიან თბილი მადლობა გადამიხადა და მკითხა, – ვინ არის თქვენი შთაგონების წყარო? საოცრად უკრავთო... თვალები ცრემლიანი ჰქონდა... ის ქალბატონი არასოდეს დამავიწყდება....

**– რა უპასუხეთ?**

– ვფიქრობ, მას ჩემს პასუხზე მეტად ამ კითხვის დასმა უნდოდა... საერთოდ კი, ჩემს ნაწარმოებებს არავის ვუძღვნი, უბრალოდ, ვფიქრობ ცხოვრებაზე, იმაზე, რაც ირგვლივ არის და რაც ყოველდღიურად ხდება ჩემს ცხოვრებაში. ვცდილობ, ყველა ჩემი ფიქრი და განსაკუთრებული გრძნობები კომპოზიციაში გამოვხატო. მახსენდება საქართველო, ჩემი მშობლიური მხარე და ხშირად ეს მუსიკალურ ინტონაციებზეც აისახება. ხშირად უთქვამს კიდეც მსმენელს, იგრძნობა ქართული სული, ქართული ჰანგებიო.

ქართული სული და ჰანგები იმ ნამუშევრებშიც იგრძნობა, რომელსაც სანდროს დედა თამარა საბიაშვილი უკვე წლებია, ესპანეთში ქმნის. ამ ნამუშევრებმა დროთა განმავლობაში ესპანეთის საზღვრებიც გაარღვია და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში დაიდო ბინა...

**თამარა საბიაშვილი:**

– ვფიქრობ, საკუთარი ნიჭის გამოსავლენად და მით უმეტეს, ხელოვანებისთვის ევროპა საუკეთესო ადგილია. ჩვენც ამ მიზნით გამოვემგზავრეთ აქ და ესპანეთი ავირჩიეთ, თუმცა ჩვენი ქვეყნის ნოსტალგია სულ იყო და ახლაც არის.... გარემოსთან შეგუება ადვილი არ აღმოჩნდა, ბევრი რამ გვიშლიდა ხელს, მათ შორის ენის ბარიერიც. ყველაფერი უცხო იყო ჩვენთვის. შემდეგ ნელ-ნელა ესპანური ავითვისეთ. ჩასვლის დღიდანვე აქტიური ცხოვრება დავიწყეთ, სანდრომ მალევე პირველი კონცერტი გამართა, სადაც თავისი ნაწარმოები დაუკრა, მეც გამოფენა მოვაწყვე. ამას ჩემი მეუღლის ნახატები მოჰყვა. ასე გაგვიცნო ხალხმა. ამ შემოქმედებით გაცნობას პრესა და ჩვენი ინტერვიუები დაერთო. აქტიურად ვიბეჭდებოდით ესპანურ გაზეთებში. თავიდან ხალხი ძალიან დაგვეხმარა, ყველა ისეთი გახსნილია, კონტაქტური, შენ გამო არასდროს არაფერს არ დაიზარებენ. ხელოვნებას კი განსაკუთრებულად აფასებენ, ძალიან უყვართ მხატვრობაც, მუსიკაც, თეატრიც და არასოდეს იშურებენ ფინანსებსა და დროს ნამდვილი ხელოვნებისთვის. აქ განსაკუთრებულად ეტრფიან ხელოვნებას. საქართველოში ძალიან ნიჭიერი ხალხი ცხოვრობს, ქართველებს საოცარი თვისება აქვთ არაფრისგან ნამდვილი სასწაული შექმნან. აქ კი ამგვარი რამეები ძალიან უკვირთ და მათთვის ეს ნამდვილი საოცრებაა. სწორედ ამიტომ მინდოდა ჩემი ნამუშევრების ევროპულ ბაზარზე გამოტანა. ეს ადგილი ხელოვანისთვის ნამდვილი სამოთხეა.

„ქართველებს საოცარი თვისება აქვთ, არაფრისგან ნამდვილი სასწაული შექმნან. აქ კი ამგვარი რამეები ძალიან უკვირთ. სწორედ ამიტომ მინდოდა ჩემი ნამუშევრების ევროპულ ბაზარზე გამოტანა“

„ის ემიგრანტები, რომლებიც აქ ვართ წამოსულნი, ჩვენს ქვეყანას ვემსახურებით და ქართულ საქმეს ვაკეთებთ. ჩვენ საქართველოს სახელი გვაქვს მთელ მსოფლიოში, ქართულ კულტურასა და ნიჭიერებას ვაყვარებთ სხვა ქვეყნის მოსახლეობას“

**– თქვენი ნამუშევრები ძალიან ორიგინალურია. გაიხსენებთ, როგორ დაიწყეთ ბუმბულით მუშაობა?**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბის ოჯახი მადრიდში

– სანდრო 2-3 წლის მყავდა, ბათუმში ვისვენებდით, ჩემი მეუღლის მეგობრებმა გარეული იხვი მოინადირეს, ძალიან ლამაზი და პრიალა ბუმბული ჰქონდა. მაშინ, ეტყობა, რაღაც მოხდა ჩემს გონებაში, ხელოვანს ყოველთვის განსაკუთრებული ხედვა აქვს ხოლმე და უცებ მომივიდა აზრად, რომ ბუმბულებისგან გამეკეთებინა ნამუშევრები... ასე დაიწყო. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე... თავიდან ფერწერა იყო, პეიზაჟებს ვხატავდი, შემდეგ ბალერინების იდეა წამოვიდა, ახლა კი მთლიანად ბუმბულზე ვმუშაობ. მასალას ყველა მხრიდან მოვიპოვებ ხოლმე, მეგობრებიც მიგზავნიან, შემდეგ იწყება ყველაზე რთული – კომპოზიციის დაგეგმვა, ფერების შერჩევა...

**– როგორც ვიცი, აქ ხშირად გამოიფინება თქვენი და თქვენი მეუღლის ნამუშევრები, საქართველოში რომ დარჩენილიყავით, ეზიარებოდით ასე თავისუფლად იმ საქმეს, რომელიც ასე ძალიან გიყვართ?**

– ძალიან მენატრება საქართველო და გული მწყდება, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით არ არის ხელოვანებისთვის ისეთი პირობები შექმნილი, რომ მათ თავი კომფორტულად იგრძნონ, სისტემატურად ჰქონდეთ გამოფენები და ხალხმა მათი ხელოვნება შეიყვაროს, თუმცა ვფიქრობ, რომ ის ემიგრანტები, რომლებიც აქ ვართ წამოსულნი, ჩვენს ქვეყანას ვემსახურებით და ქართულ საქმეს ვაკეთებთ. ჩვენ საქართველოს სახელი გაგვაქვს მთელ მსოფლიოში, ქართულ კულტურასა და ნიჭიერებას ვაყვარებთ სხვა ქვეყნის მოსახლეობას.

**ზაზა ბახუაშვილი:**

– თუ გინდა, რომ რამე ღირებული შექმნა, აუცილებელია ეს პირობა. უნდა ჩართო სული, რომელიც გულთან გაკავშირებს, შემდეგ კი გულს სიგნალი გადააქვს გონებაში. როდესაც ერთდროულად ჩართავ სამივეს, მაშინ იქმნება ნამდვილი შემოქმედება... შენდაუნებურად, ზემოდან მოდის რაღაც „სიგნალი“, რომელიც ახალ ნამუშევარს გაქმნევინებს, გაიძულებს, რომ ხატო. შექმნა და თქვა, ის, რაც გაწუხებს, რასაც გრძნობ, განიცდი. ჩვენ ყოველთვის ვერ ვაკონტროლებთ ამას, როცა მოვა, მოვა. მახსოვს, მთაწმინდაზე სახლში ვიყავით, სანდრო მეცადინეობდა, მე ვუსმენდი. უშუქობისა და არეულობის მძიმე დრო იყო... სანდრო სანთლის შუქზე მეცადინეობდა. რაღაც ძალამ მომთხოვა, რომ დამეხატა... სასწრაფოდ უბრალო ფურცელი ვიპოვე და სანთლის შუქით განათებული პიანინო და გიტარა დავხატე... შთაგონება შენდაუნებურად მოდის. მთავარია, გიყვარდეს სიცოცხლე, გრძნობდე, განიცდიდე და აფასებდე. აფასებდე მარადიულობას და იმ ფასეულობებს, რაც მარადიულობას ქმნის. სიყვარულიც... სილამაზეც... უბრალოდ, ამის დანახვა უნდა შეგვეძლოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საქართველოს ოსკარზე „გრძელ

**ქართველი კინოკრიტიკოსებისა და კინემატოგრაფისტების მიერ შემდგარმა ჯგუფმა ოსკარზე წარსადგენად ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის მიერ გადაღებული ფილმი – „გრძელი ნათელი დღეები“ შეარჩია. ეს არის ფილმი უბრალო ადამიანებზე, რომლებს მორგებული ზუსტი სახეებითა და მსახიობების უნეტარი შესრულებით...**

**„როცა დავბრუნდი, აქ უკვე ის პერიოდი აქტუალური თემა აღარ იყო, ადამიანების ცხოვრებაში სხვა რაღაცები იჭრებოდა. რადგან გავემგზავრე, ეტყობა, ჩემთვის პირადად ეს თემა აქტუალური დარჩა“**

# „გრძელი ნა

**my View**
**დეა თავგერიძე**

**რომ მითხრან, ამ ფილმს მეორედ უყურეო, არასოდეს დავთანხმდები... არ მინდა, მეორედაც ვიმოგზაურო საკუთარ წარსულში და კიდევ ერთხელ განვიცადო ცხოვრების ის სიმძაფრე, რომლისგანაც თავის დაღწევას თითქმის ორი ათეული წელია ვცდილობ... თანამედროვე ქართველ რეჟისორებს კი ვურჩევ, აუცილებლად ნახეთ კინემატოგრაფისტების პროფესიონალური თვალით დანახული 90-იანი წლები. ფილმი, რომელიც არასოდეს დაგავიწყდებათ და თან ბევრ რამესაც გასწავლით... შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ რამდენიმე წუთის განმავლობაში დარბაზის დატოვება გამიჭირდა... თვალი გამსვლელებს შევავლე, სახეზე თითქმის ყველას იგივე ემოცია აღბეჭდვოდა... მოგვიანებით რამდენიმე ჩავწერე კიდეც, აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ... თურმე რა ტყუილად ღელავდა ქართული პრემიერის წინ რეჟისორი ნანა ექვთიმიშვილი, სულ ტყუილად შიშობდა ქართველ მაყურებელზე... უამრავ პრიზს, რომელიც ფილმმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოიპოვა, დღეს ერთი ჯილდოც შეემატა. ეს ქართველი ხალხის გულწრფელი მადლობაა... ქუჩაში გამოსულმა კი მთელი არსებით შევიგრძენი დღევანდელობის სილაღე, სიმსუბუქე, რომელიც ფილმის ნახვამდე რატომღაც გაუსაძლისად მძიმე მეჩვენებოდა, – ესეც ფილმის შემქმნელების დიდი დამსახურება... და სწორედ ამიტომაც ღირს დღეს ამ ფილმის ნახვა... ითქვა, რომ ქართულმა კინომ გადაღეჭა 90-იანი წლები და ამ პერიოდის სიმძიმე, თუმცა ფილმის ნახვის შემდეგ ყველა დამეთანხმება, რომ ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი ნიუანსები, რომელიც თითოეულ ჩვენგანშია დალექილი, ისე რეალურად არავის აღუწერია, როგორც ორი გოგონას მეგობრობის შესახებ მოთხრობილი ისტორიით გვაჩვენეს.**

**ნანა ექვთიმიშვილი:** „მე თვითონ კავშირი მაქვს ამ დროსთან, მაშინ მე აქ ვცხოვრობდი. მერე გერმანიაში წავედი სასწავლებლად, ძალიან მაფიქრებდა, რა დავტოვე უკან, სწორედ ამაზე ფიქრმა მიმიყვანა იქამდე, რომ ეს სცენარი შექმნილიყო. მე ვიყავი ნაწილი ამ ყველაფრისა და ეს არ არის მარტო ჩემი ისტორია, ეს არის ყველას ისტორია, რადგან ის დრო ყველას შეეხო. როცა დავბრუნდი, აქ უკვე ის პერიოდი აქტუალური თემა აღარ იყო, ადამიანების ცხოვრებაში სხვა რაღაცები იჭრებოდა. რადგან გავემგზავრე, ეტყობა, ჩემთვის პირადად ეს თემა აქტუალური დარჩა. ევროპელი მაყურებელი ამ ისტორიაში არ ხედავს სიბნელეს, უიმედობას. ისტორია ესმის და ფილმს მთლიანად პოზიტიურად აღიქვამს. არის ფილმისადმი სხვადასხვანაირი მიდგომა, შეიძლება თემა აირჩიო და ძალიან კარგად გააკეთო, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ შენ უნდა გაწუხებდეს, გესმოდეს ადამიანის განცდების და ეს ბადებს გმირს, რის ჩვენებაც ღირს ეკრანზე მაყურებლისთვის“.

**სიმონ გროსი:** „მე და ნანა უკვე ათი წელია, ერთმანეთს ვიცნობთ და მისი ისტორია ჩემთვისაც ძალიან ახლობელი და ნაცნობი გახდა. ჩემთვის უმთავრესი იყო, პერსონაჟები ყოფილიყვნენ ბუნებრივები და არა ყალბი, მგონი, ამას მივაღწიეთ, რადგან ფილმის ყურებისას ნამდვილი ემოციები იბადება და ეს არის მთავარი“.

**ნანა ექვთიმიშვილი:** „სიმონს ბევრ რამეს ვუყვებოდი საქართველოზე. შოკირებული იყო იმ ამბებით, რასაც ისმენდა, ძალიან ბევრი კითხვა უჩნდებოდა. ჩემ მიერ მძაფრად მოყოლილი ამბები ნეგატიურ ასოციაციას იწვევდა, ხოლო შემდეგ, როცა აქ ჩამოვედით, ძალიან განსხვავებული სურათი დახვდა, ჩემი მოყოლილი და თავისი შთაბეჭდილებები რაღაცნაირად ერთმანეთთან დააკავშირა და ერთი მთლიანი სურათი შეიქმნა... რა თქმა უნდა, ჩემი მომდევნო ფილმიც საქართველოს შეეხება, ეს იქნება ისტორია ერთი ქართული ოჯახის შესახებ. შემდეგი ფილმიც ჩვენი ერთობლივი ნამუშევარი იქნება, ჩვენ დიდი ხანია ერთად ვმუშაობთ, თუმცა ამაზე საუბარი, ვფიქრობ, ჯერ ადრეა, რადგან ისევ ამ ფილმის ციებ-ცხელებაში ვართ... ამ ფილმის შემდეგ მეგონა, რომ ასე მალე გამიჩნდებოდა იმის სურვილი, რომ მსგავსი რამ გაგვეკეთებინა. მართლა მძიმედ ვიმუშავეთ ყველამ, ძალიან დამღლელი იყო. ამიტომ არ მეგონა, მაგრამ უკვე იდეაზე ვმუშაობ, ვწერ სცენარს. ფილმმა მაყურებლამდე მიაღწია და ეს დიდი სტიმულია. მახარებს ის ფაქტიც, რომ ოსკარზე საქართველოს „გრძელი ნათელი დღეები“ წარადგენს. ამაზე არავის არ გვიფიქრია, ეს არ ნიშნავს გამარჯვებას, მაგრამ სასიამოვნოა, რომ ასეთი პატივი ხვდა წილად ჩვენს ფილმს“.



**მარინა ჯანაშია:** „მადლიერების გამოხატვით მინდა დავიწყო ჩემი სათქმელი. მადლობა ქალბატონ ნანას იმისთვის, რომ ისეთი როლი შემომთავაზა, რომელიც ფილმში არასდროს მითამაშია, მკაცრი მასწავლებელი, რომელიც ამავე დროს მექრთამეც არის. ეს ჩემთვის მართლაც ძალიან საინტერესო იყო, მიხარია, რომ ეს როლი მე ვითამაშე. რაც შეეხება თვითონ იმ პერიოდს, ძალიან მძიმე და ტკივილიანი პერიოდი იყო, მაგრამ, მე მგონი, იმიტომაც არის ეს არაჩვეულებრივი სათაური „გრძელი ნათელი დღეები“, რომ ამავე დროს რაღაც სინათლე იყო. სწორედ ის სინათლე, რომელიც იმ ბნელ წარსულში გამოჩნდა, მომავალს ანათებს. ისედაც, წარსული უნდა გახსოვდეს იმისთვის, რომ გიყვარდეს აწმყო, იყურო მომავლისკენ და იარო წინ“.

მილანის ფესტივალისა და უამრავი პრიზის შემდეგ ძალიან ბევრ ქვეყანაშია დაგეგმილი ფილმის გამგზავრება, მათ შორის ყველაზე აქტუალური მაროკოა. მოროკოში მარი და ლიკა გაემგზავრებიან, სწორედ ისინი წარადგენენ ფილმს ფესტივალზე. ესენი არიან პატარა მსახიობები, რომლებსაც შეხება არ ჰქონიათ 90–იან წლებთან, მათ მხოლოდ სმენოდათ ამის შესახებ, მაგრამ პროფესიონალებივით გაართვეს თავი თავიანთ პერსონაჟებს“.

**მარიამ ბოკერია:** 90-იანი წლების შესახებ ვიცოდი რაღაცები, მქონდა გაგონილი, მაგრამ ამ ფილმში მონაწილეობით უფრო კარგად გავიგე, რა მძიმე პერიოდში უწევდა ხალხს ცხოვრება. ეს იყო ჩვენთვის ძალიან საინტერესო 90-იანი წლები, მაგრამ უშუალოდ როცა ასრულებ, სულ სხვა გრძნობა გეუფლება.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ი ნათელი დღეები“ წარადგენს

**მარინა ჯანაშია:** „მადლობა ქალბატონ ნანას იმისთვის, რომ ისეთი როლი შემომთავაზა, რომელიც ფილმში არასდროს მითამაშია“...

**მარიამ ბოკერია:** „ჩემი და ნანას შეხვედრა შემთხვევით ქუჩაში მოხდა. სკოლიდან მოვდიოდი, უცებ მანქანა გაჩერდა. ნანამ ჩემი ტელეფონის ნომერი ჩაიწერა და დროზე შემითანხმდა“

**ნანა ექვთიმიშვილი:** „მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ჩვენს გულშემატკივარს, ყველა ჩვენს მხარდამჭერს. ასევე მთელ ჯგუფს თანადგომისთვის“

EXCLUSIVE

# თელი დღეები“

**– როგორ შეგარჩია რეჟისორმა როლზე?**

– ჩემი და ნანას შეხვედრა შემთხვევით ქუჩაში მოხდა. სკოლიდან მოვდიოდი, უცებ მანქანა გაჩერდა. ნანამ ჩემი ტელეფონის ნომერი ჩაიწერა და დროზე შემითანხმდა, მერე დაიწყო ქასთინგი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მომწონს და ვაფასებ ამ პროფესიას, საბოლოოდ მსახიობობას ნამდვილად არ ავირჩევ. ბიზნესმართვაზე ვაბარებ. თუმცა, გარკვეული გამოცდილებაც მაქვს, ნიკა მაჩაიძის „თამაშში“ ვარ გადაღებული, ასევე, „ყარაბახში“ ვითამაშე ეპიზოდური როლი, ანუ პირველი ნაბიჯი არ ყოფილა, მაგრამ ასეთი სერიოზული და მნიშვნელოვანი პირველი იყო. მიხარია, რომ ამ ფილმს ასეთი დიდი წარმატება ხვდა წილად. პარტნიორიც კარგი შემხვდა. მე და ლიკა ძალიან დავმეგობრდით. ის არა მარტო კარგი პარტნიორი, კარგი ადამიანი და ძალიან კარგი მეგობარიცაა.

**– ორივენი პროფესიონალი მსახიობებივით თამაშობთ.**

– გადაღებამდე იმდენი ხანი ვემზადებოდით, რომ მერე უკვე თამაში ჩვენთვის სირთულეს არ წარმოადგენდა. ძალიან დიდ

ხანს ვუთმობდით ყოველ დეტალს, რომ როლი გაგვეთავისებინა. 90-იან წლებში ჩემი ასაკის ბავშვებისთვის ცხოვრება ძალიან რთული ყოფილა, მიხარია, რომ ვცხოვრობ ამ დროში და არა იქ, იმ სიბნელეში.

**– სიბნელე მაშინდელ ყოფაზეც აისახება, შენი გმირი იმის გამო, რომ ქალიშვილი აღარ არის, ვერ მოდის იმ ადამიანისგან, რომელიც არ უყვარს.**

– ჩვენ რომ თავისუფალ და ლაღ გარემოში გვეცხოვრა, ალბათ, ნათია დაბრუნდებოდა ამ ყველაფრის შემდეგ და მშვიდად გააგრძელებდა ცხოვრებას, მაგრამ ისევ ამ ქართული ტრადიციების გამო დაღუპა არა მარტო თავისი თავი, არამედ სხვა ადამიანიც...

**– დღეს რა ხდება, ამ მხრივ, შენი თაობის ახალგაზრდებში შეიცვალა რამე, თუ ისევ ექცევა ყურადღება ქალიშვილობას?**

– რა თქმა უნდა, ექცევა, ეს მაინც შემოგვრჩა.

**– ე.ი. გოგონა აუცილებლად ქალიშვილი უნდა გათხოვდეს**

– კი და მეც ვეთანხმები ამას... მაგრამ თუ ქმარი არ მეყვარებოდა, მასთან არანაირად არ დავრჩებოდი.

**ლიკა ბაბლუანი:** სკოლაში შემთხვევით აღმომაჩინეს... მერე კი ნანასა და სიმონის დახმარებით განვახორციელეთ. ძალიან საინტერესო იყო გადაღების პროცესი, საინტერესო ადამიანები გავიცანი, მათთან დღესაც ვმეგობრობ. 90-იან წლებს ჩვენ საერთოდ ვერ მოვესწარით, მაგრამ ჩვენი უახლესი ისტორიაა, მშობლებისგანაც გვსმენია ძალიან მტკივნეულად. ფაქტობრივად, მე და ლიკამ ეს 2 თვე 90-იან წლებში ვიმოგზაურეთ... რაღაც-რაღაცები ვიცოდი, სხვებისგან მქონდა გაგებული, ამ ფილმით კი უფრო კარგად გავიგე, როგორ პერიოდში ცხოვრობდნენ. ეს საშინელი პურის რიგები, სიბნელე, მოტაცება.... ძალიან პატარა ასაკში ოჯახის შექმნა. საქართველოსთვის ძალიან მძიმე პერიოდი იყო. ამიტომ გადაღების პერიოდში ძალიან მტკივნეულად აღვიქვამდი იმ დეტალებს, რომელზეც ფილმშია ყურადღება გამახვილებული. ჩემთვის რთული იყო...

**– შენს თავს თუ ხედავ შენს გმირში, რამეთი თუ გგავს?**

– რა თქმა უნდა, ვხედავ, მაგრამ ვფიქრობ, რომ მე დღეს ისე თამამად ვერ მოვიქცეოდი, როგორც ჩემი გმირი იქცევა. იმ დროის გოგონები ძალიან თამამ ნაბიჯებს დგამდნენ. თუმცა ჩემი მეგობრისთვის ყველაფერს გავაკეთებ. საერთოდ, ამ ფილმამდე არსად მითამაშია, პირველია ეს ფილმი ჩემთვის, გადაღებამდე გავდიოდით რეპეტიციებს, რაღაც მოკლე მონაკვეთებს, ნანასა და სიმონის დამსახურებაა, რომ ასე კარგად გავართვი თავი, როგორც მაყურებელი ამბობს. სანამ ამ ფილმში გადამიღებდნენ, მინდოდა მსახიობობა, თუმცა არსად მივსულვარ ქასთინგზე, მაგრამ ახლა არ ვიცი ზუსტად, რას გავაკეთებ მომავალში. ჯერჯერობით ისევ ამ ფილმში ვართ ჩაფლულნი. მახარებს ის ფაქტი, რომ ქართულმა პრემიერამაც გაამართლა და მაყურებელმა ფილმი ძალიან მოიწონა. ახლა მაროკოში მივემგზავრებით მე და ლიკა და ძალიან ვნერვიულობთ, რადგან პირველად მივდივართ ნანას გარეშე, ნანა, ასე ვთქვათ, გვხელმძღვანელობდა, ახლა კი პირველად მარტოებმა უნდა გავართვათ თავი...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N38 (236), ორშაბათი 23 სექტემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

EXCLUSIVE



# სერიალში ინტრიგები გრძელდება

# კატო და დიტო ერთმანეთს ეორდებიან?!

## დაპირისპირება ბათუმის თეატრში

„ეს იყო სუფთა ანგარიშსწორება გიორგი თავაძის მიმართ. ეს არ იყო შემოქმედებითი იდეების ჭიდილი. საბჭოში ამის განხილვა საერთოდ არ ხდებოდა“

## გიკა მირზაშვილის გამოფენა გალერეა „შარდენში“ 10 ოქტომბრამდე გაგრძელდება

## „იქ სამოთხეა... აქ – ჯოჯოხეთი“

EXCLUSIVE

# საქართველოს ოსკარზე „გრძელი ნათელი დღეები“ წარადგენს

ISSN 1987-7404

9 771987 740005

# „გრძელი ნათელი დღეები“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება